საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

**რედაქცია**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

**მთავარი კანტორა**
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24;
მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

შაბათი, 30 იანვარი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 23 (1478)

## დღიური

- იაპონიის პრემიერის კატოს გარდაცვალების გამო პარლამენტის სესია 2 თებერვლამდე გადაიდო.
- ჩემბერლენს პარიზში თათბირი ჰქონდა ბრიანთან.
- დასრულდა ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონური პროფკავშირების ყრილობა.
- ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს მდივანი ამხ. სუელსი კავკასიაში გამოემგზავრა.

„კომუნისტი"-ს
კვირას, 31 იანვარს
**კანტორა ღია იქნება**
ხელისმომწერის მისაღებად
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

**მეცნიერება და ტეხნიკა № 2**
**დაიბეჭდა** და დღევანდელ ნომერთან ერთად **ურიგდება**
„კომუნისტი-"ს **ყველა ხელისმომწერლებს**

შინაარსი:
ექ. მერიმსკი—ახალი საშუალებები ჭლექის წინააღმდეგ, ექ. თ. მამალაძე—ექსპედიცია ანხილოსტომის შესასწავლად ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში, ალ. დევდარიანი—ოქრო ვერცხლის წყალიდან?, მათე ელიონტი—საუბარი ქიმიური მოვლენებზე, გ. აზიმოვი—სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე, პროფ. ბრანდელი—გაფრენა მთვარეზე, ა. კლდიაშვილი—ხას სარელსო გზა—ავტომობილებისათვის. ხელოვნური წვიმა, ცოცხალი დინამო, მოაზროვნე მანქანა, რკინის კუნძული, სახე და ხასიათი, პარიზი—მოსკოვი—პარიზი, ახალი ცნობები ატომის შესახებ, მილიარდები ჰაერიდან, საავტომობილო საქმე, ხელოვნური მზე, ნობელის პრემია, კოპენჰაგენი—ტოკიო, ლითონის ვაგონები, ნახშირისა და რკინის მარაგი, უმოტორო ჰაეროპლანი, უდიდესი ხელოვნური ტბა, ჯადოსნური ოთახები, გადადის თუ არა ჭლექი მემკვიდრეობით, კინოს საიდუმლოებანი, წყალქვეშა კრეისერი, პროფ. სკიპრსკის აღმოჩენა, მეცნიერებისა და ტეხნიკის ქრონიკა.

ცალკე ნომერი—20 კაპ.

## ჩვენი სამეურნეო ამოცანები

ა/კავკასიის ცაკის მიმდინარე სესიაზე წაკითხულ სათანადო მოხსენებმა სრული სურათი გადაგვიშალეს ჩვენი ფედერაციის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. ერთხელ კიდევ აშკარა გახდა ყველასათვის ქვეყნის ეკონომიკის შეუჩერებელი და სწრაფი ზრდა; ჩვენ უახლოვდებით ომის წინანდელ მდგომარეობას.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს დონე თავისთავად ძალიან დაბალი იყო და მისი მიღწევა საბჭოთა ხელისუფლებას ოდნავადაც არ დააკმაყოფილებს. მიღწეულ შედეგების ნიადაგზე ჩვენ ვშლით ფართე აღმშენებლობას მეურნეობის მაღალ საფეხურებზე ასაყვანად.

უკვე შემოსნილია გადაჭრილი ის დებულება, რომ ამიერ კავკასია სასოფლო მეურნეობის მხარეს წარმოადგენს. ეს მეურნეობა შესდგება როგორც ხორბლეულ, ისე ძვირფას და ტეხნიკურ-სამრეწველო კულტურებისაგან. პირველი შეადგენს გლეხური მეურნეობის პროდუქციის 41 პროცენტს ხორბლეულობის წარმოება ჩვენში მეტად ჩამორჩენილია და მას აქვს უმთავრესად შინა მოხმარების და არა საბაზრო ხასიათი. ჩვენ ვანიცდით პურეულის დეფიციტს; საკუთარი პურით სოფელიც ვერ იკმაყოფილებს თავს, ქალაქს ხომ თითქმის სულაც არ აწვდის მას. ჩვენ გარედან შემოგვაქვს დიდძალი პურეული.

საჭიროა პურის მოყვანის საქმის გაუმჯობესება. თანამედროვე სამეურნეო იარაღების შემოღება, დაწმენდილ თესლის [illegible], მიწის ხელოვნური გაყოფიერება, აგრონომიული ცოდნის გავრცელება,—აი რა შეუწყობს ხელს ჩვენი პურეულის ხარისხის აწევას და მისი პროდუქციის გადიდებას. აქეთკენ არის ჩვენი საქმიანობა მიმართული.

მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ტეხნიკურ-სამრეწველო და საერთოდ ძვირფას კულტურათა გავრცელებას. ავიღოთ მაგ., ბამბა. 1925 წ. მისი საერთო პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობაში უდრიდა 9 პროცენტს, მაგრამ მისი ფულადი შემოსავალი აღწევდა 34 პროცენტს. თუ მას მიუმატებთ დანარჩენ ტეხნიკურ კულტურებს, მათი პროდუქციები შეადგენენ მთელი სასოფლო მეურნეობის პროდუქციის 12,1 პროცენტს, მაგრამ მათ გლეხობას მისცეს მთელი ფულადი შემოსავლის 42 პროცენტი. ძვირფასი კულტურები მთავარი წყაროა გლეხობის ფულადი შემოსავლის. გლეხობამ მათგან შარშან მიიღო 61 მილიონი მანეთი. საბჭოთა ხელისუფლებას და თვით გლეხობას კარგად ესმით ამ კულტურების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ამიტომ მათ განსავითარებლად არაფერს იშურებენ. ბამბის ნათესების სივრცემ 1925 წ. გადააჭარბა ომის წინანდელ ნორმას. მეთამბაქოობამ მოგვცა ძველი პროდუქცია. მევენახეობაში გვაქვს 75 პროცენტი, მეაბრეშუმეობაში 90 პროცენტი, ჩაის კულტურამ ფართედ მოიკიდა ფეხი და სხ.

შემდეგში საჭიროა მათი გაფართოვება და უკეთ დაყენება. ჩვენ უნდა სისტემატიური მუშაობა ვაწარმოოთ ტეხნიკურ და ძვირფას კულტურათა მიმდევარ გლეხობის კოოპერატიული გაერთიანებისათვის, მივსცეთ მათ სესხი საკმაო რაოდენობით საწარმოო მიზნებისათვის, მოვაგვაროთ პროდუქციის გასაღების საქმე და სხ.

ცალკე სდგას მესაქონლეობა-მეჯოგეობის საკითხი. ამ დარგის აღორძინებაში გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. მესაქონლეობის პროდუქცია მატულობდა წლიდან-წლამდე: 1923-24 წ. იგი უდრიდა 47 მილ. მან., 1924/25 წ.—48 მილ. მ., ხოლო მიმდინარე წელში შეადგენს 52 ნახ. მილ. მანეთს. საქონლის ჯიშის გაუმჯობესება, საძოვრების საკითხის უკეთ მოგვარება და მესაქონლეობის წარმოების რაციონალიზაცია — ასეთია ჩვენი ამოცანა ამ დარგში.

ტეხნიკურ-ძვირფას კულტურების და მესაქონლეობის განვითარებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ მხრივ, რომ ისინი დიდ შემოსავალს აძლევენ გლეხობას, ხელს უწყობენ მისი ნივთიერი კეთილდღეობის შექმნას, არამედ იმ მხრივაც, რომ ამით იქმნება ნედლეულის მკვიდრი ბაზა ადგილობრივი მრეწველობის გასაშლელად. ჩვენი მრეწველობა გასაგები მიზეზებით გაცილებით უფრო ჩამორჩენილია, ვინემ შიდარუსეთის მრეწველობა,—ეს შედეგია ძველი რეჟიმის. პარტიის და ხელისუფლების ამოცანას შეადგენს წარსულის ამ უკუღმართობის მოსპობა. ნაციონალური მრეწველობის შექმნისა და განვითარებისაკენ მტკიცე კურსი გვაქვს აღებული. აღდგენილია ძველი საწარმოო დაწესებულებანი, ეწყობა ახალი ფაბრიკები და ქარხნები. ამისათვის ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობის ფარგლებში საკმაო თანხებს სდებს როგორც რესპუბლიკანური და ა/კავკასიის მთავრობა, ისე საკავშირო ცენტრი. და ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესი წარმატებით წავა.

ჩვენ გვინდა კიდევ შევეხოთ ერთ საკითხს, რომლის გადაუჭრელათ შეუძლებელია ამიერ-კავკასიის ხალხთა ეკონომიური და კულტურული აღორძინება. ვლაპარაკობთ გზების საკითხზე. რკინის გზების ტვირთმზიდველობის უნარი წარმატებით ვითარდება, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში შარა-გზების საკითხს. ამ გზების მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა ძველი გზების შეკეთება, ახლების გაყვანა. ამ საქმისათვის ბიუჯეტით მიმდინარე წლისათვის გადადებულია 1.600.000 მან. მაგრამ ეს თანხა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. მარტო მთავრობა თავისი საშუალებებით ვერ შესძლებს ამ დარგში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანის სავსებით გადაჭრას. საჭიროა საგზაო მშენებლობაში თვით გლეხობის ჩაბმა, საგზაო ბეგარის გატარების სახით. გლეხობა სასიცოცხლოდ დაინტერესებულია გზების საკითხში და ის არ დაიშურებს მის მოსაგვარებლად თავისი შრომის გაღებას, ეს შეადგენს მის ურყევ ნებისყოფას.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინება მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. ხალხის შემოქმედების ენერგია და თაოსნობა, რომელსაც ფართე გასაქანი მისცა საბჭოთა წყობილებამ, პარტიის და ხელისუფლების ენერგიული მუშაობა, ხალხთა ძმური თანამშრომლობა, საკავშირო ცენტრის დახმარება—უტყუარი საწინდარია იმის, რომ აღმშენებლობის ფრონტზე ახალ-ახალ გამარჯვებებს მივაღწევთ.

# მდგომარეობა მანჯურიაში

ჩინეთის მთავრობამ წინადადება მისცა მუკდენის გუბერნატორს სასწრაფოდ მოაგვაროს კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე

## ჩან-ძო-ლინმა გააუქმა განკარგულება პროფკავშირების დაშლის შესახებ

ჩინელ მშრომელთა პროტესტი ჩან-ძო-ლინის გენერლების მოქმედების წინააღმდეგ

## ჩან-ძო-ლინის არმია განაგრძობს წინსვლას ჩინეთის „დიდი კედლის" იქით

### ამხ. კარახანის პროტესტი

**პეკინი**, 28 იან. 28 იანვარს კარახანმა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ხარბინის გენერალური კონსულის გრანდტის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხარბინში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზის ხაზზე გრძელდება საბჭოთა მუშების და მოსამსახურეების დაპატიმრება. არასრულწლოვან დაპატიმრებულთ აწამებენ.

ზედ დართულ ნოტაში კარახანი აცხადებს:

„მე ენერგიული პროტესტი უნდა განვაცხადო საბჭოთა მოსამსახურეების დატუსაღების გამო და იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რომელთაც ისინი განიცდიან; აგრეთვე პროტესტი უნდა განვაცხადო საბჭოთა მოქალაქეების წამების წინააღმდეგ, რაიცა იმ მიზნით ხდებოდა, რომ მათთვის გამოეტყუებიათ ჩვენება, რომელიც გაამართლებდა ჩინეთის ხელისუფლების ვერაგულ მოქმედებას.

მე უნდა აღვნიშნო, რომ იმ ვერაგულ მოქმედებას, რომელსაც სრულიად უპასუხისმგებლო გენერლები სჩადიოდენ, შეუძლია გაართულოს ჩინეთის მდგომარეობა და გაადიდოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ელობებიან ჩინეთის ხალხს მის ბრძოლაში უცხოელთა ექსტერიტორიალობის გასაუქმებლად. უპასუხისმგებლო გენერლების ძალადობა ხელს უშლის ამ ბრძოლის გაფართოებას და აგვიანებს იმ დღეს, როცა ჩინეთი შესძლებს თავის სუვერენული უფლებების აღდგენას.

გთხოვთ მანჯურიის ხელისუფლებას ტელეგრაფით გადასცეთ სასწრაფო ბრძანება. მოსპოს საბჭოთა მოქალაქეების შეურაცხყოფა, დაპატიმრება და წამება. უაღრესად სერიოზულად ვაქცევ თქვენს ყურადღებას ენერგიული ზომების მიღების აუცილებლობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება უფრო გამწვავებულ მდგომარეობასთან, ვინემ ეს იყო 24 იანვარს.

მოველით დაუყოვნებლივ პასუხს თქვენ მიერ მიღებულ ზომების შესახებ".

კარახანმა ანალოგიური დეპეშა გაუგზავნა ჩან-ძო-ლინს, რომელშიაც მოითხოვს ხარბინის ჯარების მთავარსარდლის ჩან-ხუან-სიანის გადაყენებას.

### კიდევ ერთი ნაბიჯი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე კონფლიქტის მოსაგვარებლად

**მუკდენი**, 28 იანვ. საბჭოთა კავშირის მუკდენის გენერალურ კონსულთან, კრაკოვეცკისთან, მოლაპარაკების შემდეგ ჩან-ძო-ლინმა გასცა ბრძანება პროფესიონალურ კავშირების წინანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე კონფლიქტის მოსაგვარებლად.

### ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშა ჩიჩერინისადმი

**მოსკოვი**, 29 იან. ჩინეთის რესპუბლიკის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ჩენ-იენ-შიმ საგარეო საქმეთა სახ. კომისარს ჩიჩერინს გადასცა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ვან-ჩენ-ტინის დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარემ ნოტის მიღებისთანავე უბრძანა მუკდენის გუბერნატორს მოეხდინა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზებზე ატეხილ კონფლიქტის ლიკვიდაცია. დეპეშაში აღნიშნულია, რომ რადგან აღმ.-ჩინეთის რკ. გზა ემსახურება ორივე რესპუბლიკის ინტერესს, გზის მოსამსახურეები გამსჭვალული უნდა იქნენ ურთი-ერთ გულწრფელობის და სამართლიანობის გრძნობით, რათა ყველა საკითხები გადაწყვეტილ იქნეს ერთსულოვნად.

### ჩან-ძო-ლინის არმია წინ მიიწევს

**პეკინი**, 28 იან. ჩან-ძო-ლინის ჯარების მოწინავე ნაწილმა, ვეისიანის (გო-სუნ-ლინის მომხრის) ჯარებთან უმნიშვნელო შეტაკების შემდეგ, მიაღწია მდინარე ლვანხოს.

ჩან-ძო-ლინის მთავარი ძალები, რიცხვით 50—70 ათასი კაცი, თავმოყრილია შანხაი-გუან და ინჩოუს რაიონში.

უ პეი-ფუს ჯარები, რიცხვით 20 ათასი კაცი, ხონანის პროვინციაში გადავიდნენ ისე, რომ შეტაკება არ ჰქონიათ მეორე სახალხო არმიასთან.

ხანკოუს და პეკინს შორის მიმოსვლა რკინის გზაზე შეწყვეტილია.

### ჩინელ მშრომელთა დემონსტრაცია

**ვლადივოსტოკი**, 29 იანვ. გაიმართა ჩინეთის მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი და დემონსტრაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე მომხდარ ამბების გამო. 4 ათასი დემონსტრანტი გაიმართა ჩინეთის საკონსულოსაკენ, მილიციის რაზმმა შეაჩერა დემონსტრანტები. მაშინ დემონსტრანტებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელიც გაემგზავრა ჩინეთის საკონსულოში და ითხოვა, რომ გადაგზავნილ იქნას საპროტესტო რეზოლიუცია. გავიდა ნახევარი საათი. მოლაპარაკების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული. მაშინ არჩეული იქნა დელეგატი, რომელსაც დაევალა დელეგაციის დაბრუნება. ცოტა ხნის შემდეგ ჩინეთის საკონსულოს შესავალთან გამოვიდა ჩინეთის კონსული და განაცხადა, რომ დეპეშას გაგზავნის.

დემონსტრანტებმა მოითხოვეს, რომ დეპეშა გაგზავნილი იქნას დაუყოვნებლივ მათი თანდასწრებით, რაც კონსულმა კიდეც შეასრულა.

### ჩან-ძო-ლინი და საბჭოთა კავშირი

„პრავდა"-ს წერილი

**მოსკოვი**, 29 იან. „პრავდა" მოწინავე წერილში ზემოდ მოყვანილი სათაურით ეხება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტს და ამბობს:

„ივანოვის და სხვა ამხანაგების განთავისუფლებამ ახალი მდგომარეობა შექმნა. კონფლიქტის სიმწვავე განელდა. მოლაპარაკება ახალ ფაზისში შედის, რადგან მთავარი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. ჩვენი დიპლომატია, ეჭვს გარეშეა, მოახერხებს შედეგიერად და სასარგებლოდ აღმოფხვრას მთელი კონფლიქტი. ზედმეტი ხდება იმ ზომების მიღება, რომელიც ჩიჩერინის ნოტაში იყო აღნიშნული. შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩან-ძო-ლინსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის სრული შეთანხმება იქნება მიღწეული.

ეს მთავრობა, რომელიც ჩინეთის ხალხის დიდ უმრავლესობაში სიმპატიებით სარგებლობს, წინანდებურად დაიცავს ჩინეთის ხალხის შეუზღუდავი სუვერენიტეტის პრინციპს. სწორედ ამიტომ ის ყოველთვის წინ აღუდგება კონტრ-რევოლიუციას, რომელიც თავს ესხმის რევოლიუციის უფლებებს. უცხოელმა იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ თუ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე საბჭოთა კავშირი თავის პოზიციიდან განდევნილი იქნებოდა, თუ იქ თვითმპყრობელური კონტრ-რევოლიუცია მოიკალათებს, ან რუსი თეთრგვარდიელების, ან იაპონელი იმპერიალისტების და სხვების სახით,—ეს ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობისათვის ლახვარის ჩაცემა იქნება.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირის მოქალაქეები და ჩინეთის ფართო მასები დიდი სიხარულით შეხვდებიან იმას, რომ მათ თავიდან აიცილეს მწვავე კონფლიქტი. ჩვენ გამოვხატავთ მტკიცე ნებისყოფას მშვიდობიანობისა და კიდევ მშვიდობიანობისკენ".

## მჭიდრო კავშირი სოფლის ინტელიგენციასთან.

(მომავალი არჩევნების გამო)

ფართე მშრომელი მასების პოლიტიკურ აქტივობის ზრდა დღეს უკვე უდავო ფაქტია. ამ ზრდასთან ერთად ადგილი აქვს საზოგადოების სხვადასხვა ფენების გამოცოცხლებასაც და მათ ლტოლვას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებისაკენ. ამ შემთხვევაში პირველყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობენ გონებრივ შრომის წარმომადგენლები და განსაკუთრებით სოფლის ინტელიგენცია.

ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღორძინებას და ინტელიგენციის ნივთიერ მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესების პირობებში, გონებრივ შრომის მუშაკთა საზოგადოებრივ თვითმოქმედების გამოღვიძება თავისთავად ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ უთუოდ გვაქვს დღეს საქმე ასეთ ფაქტთან და საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა და სათანადო პასუხის გაცემა.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ინტელიგენციის და განსაკუთრებით საშუალო და დაბალ ინტელიგენციის პოლიტიკურ აქტივობის ზრდას საბჭოთა ხელისუფლების გარკვეული სასარგებლო ხასიათი აქვს, ამიტომ იბადება კითხვა, ამ თვითმოქმედებისათვის შესაფერის გამოსავალის მიცემის, მისი ორგანიზაციულ ჩარჩოებში ჩაყენების შესახებ.

ამაზე ჩვენ ჯერ კიდევ პარტიის მეცამეტე ყრილობიდან გვაქვს დირექტივი, სადაც ნათქვამია: **„უკვე შესამჩნევი ხდება სოფლის ინტელიგენციის** (აგრონომი, მიწის მზომელი, ტყის სპეციალისტი, მასწავლებელი) **საზოგადოებრივ აქტივობის ზრდა. ეს ზრდა გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი და უნდა დაექვემდებაროს პარტიის ზეგავლენას ამ ელემენტების პოლიტიკურად აღზრდის და საბჭოთა მუშაობაში ჩაბმის მიზნით".**

მეცამეტე ყრილობის შემდეგ მდგომარეობა შესამჩნევად გამოიცვალა. ჩვენში მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მრავალი ახალი მიღწევება მოიპოვა, მასთან და მასთან ერთად მშრომელი ინტელიგენციის თვითმოქმედებაც შესაფერისად განვითარდა. მაშასადამე, პარტიის მეცამეტე ყრილობის დირექტივას არა თუ არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა, არამედ მას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა სწორეთ ეხლა, როცა ფართე საბჭოთა დემოკრატიის გატარება ყოველდღიურ მუშაობის ამოცანას წარმოადგენს.

ამჟამათ ჩვენში სწარმოებს გაცხოველებული სამზადისი საბჭოთა არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანია და თვით საბჭოთა ორგანოების მიმდინარე მუშაობა ფართე ასპარეზს წარმოადგენს მშრომელი ინტელიგენციის საქმეში ჩასაბმელათ და მათი საზოგადოებრივ ინიციატივის გამოსაყენებლათ.

საკითხი თავისთავად ახალი არაა, მაგრამ უდავოა, რომ ის განმეორებით უნდა იქნას დასმული ჩვენს წინაშე, რადგან აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმ კანტიკუნტი ცნობებიდანაც კი, რომელიც იბეჭდება ჩვენს პრესაში მიმდინარე საარჩევნო სამზადისის შესახებ და არჩევნების ხელმძღვანელ ცალკე ამხანაგების ინფორმაციიდან სჩანს, რომ ბევრ ადგილას სოფლის ინტელიგენცია არ ღებულობს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას მომავალ არჩევნების ორგანიზაციის საქმეში.

ჯერ კიდევ არაა ზოგიერთ ადგილას დაძლეული ის ერთგვარი უნდობლობა ან ერთმანეთისადმი იჭვიანობა, რომელიც თავიდანვე ემჩნეოდა აქა-იქ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებსა და სოფლის ინტელიგენციის შორის. დროა ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ყველა მშრომელთა ჭირ-ვარამის მოზიარე, ყველა პატიოსანი ახალ საზოგადოებრივობის სასარგებლოთ განწყობილი სოფლის ინტელიგენტი უნდა უშუალოდ ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში.

მათ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ჩვენ ძირითად სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის. ვის, თუ არა მასწავლებელს, შეუძლია უხელმძღვანელოს თემაღმასკომის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას? ვის, თუ არა ექიმს, შეუძლია გაუძღვეს სოფლად სანიტარიის, ჰიგიენის და საერთოდ ჯანმრთელობის საქმეს? ასეთივე სამსახურის გაწევა შეუძლია აგრონომს მეურნეობის ახალი ფორმების გავრცელების და განმტკიცების საქმეში.

ყოველივე ამას თანამდებობრივი მოვალეობის მიხედვით, ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ, როგორც მოხელენი, უკვე ეწევა სოფლის ინტელიგენცია. მაგრამ საბჭოთა მოხელეები, სწორეთ იმით უნდა განირჩეოდენ ძველი ტიპის ჩინოვნიკებისაგან, რომ ისინი თავის ცოდნას და ხელობას იყენებდენ როგორც დაწესებულებაში, ისე ამ დაწესებულების კედლებს გარეშე, ე. ი. საზოგადოებრივ ასპარეზზე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

ასეთ ლტოლვას უთუოდ აქვს ადგილი სოფლის ინტელიგენციის წრეებში. ისინი ილტვიან საზოგადოებრივ მუშაობისაკენ. ამიტომ ჩვენი ადგილობრივ ორგანიზაციების: პარტუჯრედების, აღმასკომების და სხვათა ვალია დაიახლოვონ ყველა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილით მოსული სოფლის იტელიგენტი და ჩააბან ისინი ყოველდღიურ აღმშენებლობის მუშაობაში. რომ ამ დაახლოებას უფრო რეალური და სასარგებლო შედეგი მოჰყვეს, საჭიროა სოფლის ინტელიგენციის აღმასრულებელ ორგანოების, გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში შეყვანაც კი.

ვიმეორებთ, ამ მხრივ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და მიმდინარე არჩევნები დაგვანახვებენ, რამდენათ სწორათ შესძლებენ ჩვენი ძირითადი ორგანიზაციები პარტიულ ყრილობის დავალების შესრულებას.

## საბჭოთა პრესა

გაფლანგვების შესახებ პროფორგანიზაციებში.

ამას წინათ ჩვენ ვწერდით გაფლანგვებთან ბრძოლის შესახებ კოოპერაციაში. მაგრამ გაფლანგვებს ადგილი აქვთ არა მარტო ამ ორგანიზაციაში, არამედ პროფკავშირებშიც, განსაკუთრებით მათ ქვედა უჯრედებში. ამის ერთ ერთი მიზეზია ანგარიშიანობის ცუდად დაყენება.

„საჭიროა,—ამბობს „რაბოჩაია მოსკვა",—როგორც ქარხკომზე, ისე სარევიზიო კომისიაზე კავშირების მხრით უფრო სწორი, სისტემატიური და კონკრეტიული ინსტრუქტორობა, განსაზღვრა იმ თანხის, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ქარხკომს თავის განკარგულებაში, განსაზღვრა იმის, თუ მას რომელ წევრს აქვს უფლება საკავშირო ფული ხარჯოს და რა ფარგლებში და ვადით; საჭიროა ფულის შენახვის, დახარჯვის, ანგარიშიანობის, საქმისწარმოების და სხ. წესრიგის გამომუშავება".

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ კერძოდ სარევიზიო კომისიების მუშაობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ კომისიების შემადგენლობა და მათი საქმიანობა ძალზე მოიკოჭლებს.

„კავშირებმა უნდა მიაღწიონ იმას,—განაგრძობს გაზეთი,—რათა სარევიზიო კომისიის ყველა წევრმა იცოდეს თავისი უფლებები და მოვალეობანი, ხოლო, თუ აღმოჩნდება, რომ გაფლანგვა მოხდა სარევიზიო კომისიის დაუდევრობის გამო, საჭიროა პასუხისგებაში მიეცეს არა მარტო გამფლანგველი, არამედ სარევიზიო კომისიაც. ამავე დროს აუცილებელია ისეთი წესის დამყარება, როცა სარევიზიო კომისია ერთ-ორ დღეს თვეში მიანდომებს ვრცელი რევიზიის წარმოებას".

ანგარიშიანობის კარგად დაყენება და სარევიზიო კომისიის ფხიზელი კონტროლი, მის შემადგენლობაში მტკიცე და მომზადებულ ამხანაგების გაყვანა, სარევიზიო კომისიის ავტორიტეტის ამაღლება, თვით მასსის აქტივობა ბოლოს მოუღებენ გაფლანგვებს პროფორგანიზაციებში და შექმნის პირობებს საკავშირო თანხის მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

## სუელსი გამოემგზავრა კავკასიაში

**მოსკოვი**, 29 იანვ. ინგლისის ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს თავჯდომარის მიადგილე **სუელსი**, რომელიც მოსკოვში სტუმრად იყო ჩამოსული, კავკასიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. სუელსი კავკასიაში დაახლოვებით ორი თვე დარჩება, შემდეგ კვლავ მოსკოვში დაბრუნდება.

## ღლენაკრული მთავრობა

კამათი ლიუტერის მთავრობის დეკლარაციის გარშემო

**ბერლინი**, 28 იანვ. ლიუტერის დეკლარაციის გარშემო გამართულ კამათის დროს რეიხსტაგში გამოირკვა, რომ ლიუტერის მიკიბ-მოკიბული განცხადებები არც მემარჯვენეებს აკმაყოფილებს და არც მემარცხენეებს; ნაციონალისტები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ მთავრობის გადაწყვეტილებით ერთა ლიგაში შესვლის შესახებ და აგრეთვე ლიუტერის ბუნდოვან განცხადებებით ახალი მთავრობის კურსის შესახებ საშინაო პოლიტიკაში.

სოციალ-დემოკრატები მთავრობას უსაყვედურებენ, რომ მან არ გამოარკვია გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის ვადა და აღნიშნავენ მთავრობის პროგრამის უფერულობას.

კომუნისტ ჰეერტმა სასტიკად გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ, როგორც მისი რეაქციონური საშინაო პოლიტიკისა, ისე საბჭოთა კავშირისადმი მტრული საგარეო პოლიტიკის გამო. ჰეერტმა აღნიშნა კაბინეთის ცალკე წევრების რეაქციონერობა, ხოლო შტრეზემანი დაახასიათა როგორც საბჭოთა კავშირის მტერი.

კამათის დროს ლიუტერმა მოითხოვა ნდობის ვოტუმი მთავრობისათვის და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ სოციალ-დემოკრატები ლოკარნოს პოლიტიკის ინტერესებისათვის მხარს დაუჭერენ მთავრობას.

რადგან მთავრობის პარტიებს რეიხსტაგში 171 ხმა აქვთ ხოლო ნაციონალისტებს, ტევტონელებს და კომუნისტებს—170 ხმა, მოსალოდნელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს, მთავრობა უმნიშვნელო უმრავლესობას მიიღებს

## გომინდანის ყრილობა

**კანტონი**, 28 იანვ. გომინდანის ყრილობამ დაადგინა გააუქმოს გომინდანის აღმასრულებელი ორგანოები პეკინსა და შანხაიში, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხოლოდ კანტონში იქნეს დატოვებული, ხოლო პარტიის თავმჯდომარის პოსტი მოისპოს.

უზენაეს პარტიულ ორგანოს წარმოადგენს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც უთავმჯდომაროდ იმუშავებს.

შეტანილია წინადადება, რომ პარტიული კრებები სუნ-იატ-სენის ანდერძის წაკითხვით იხსნებოდეს. ყველა პარტიულ ორგანიზაციებში მთავრობის დაწესებულებებში და ჯარის ნაწილებში კვირაში ერთხელ უნდა შესდგეს კრება, რომელიც სუნ-იატ-სენის ხსოვნისადმი იქნება მიძღვნილი. მუშათა და გლეხთა მასებს შორის გაძლიერებული უნდა იქნეს პროპაგანდა.

პეკინის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ რკინის დისციპლინა იქნეს შემოღებული, შესდგეს პარტიის მტკიცე ბიუჯეტი და მუშაობა გაძლიერდეს მუშებსა, მუშა-ქალებსა და არმიაში.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას და მოუწოდებს მთავრობას ახალი კანონმდებლობა შემოიღოს ქორწინების და გაყრის შესახებ.

## ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონერ პროფკავშირების ყრილობა

**პრაგა**, 28 იანვ. დაამთავრა მუშაობა ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფკავშირების ყრილობამ. უმნიშვნელოვანეს საკითხებში სახელდობრ—ეკონომიურ მოთხოვნილებათა კამპანიისა და მთლიან ფრონტის საკითხებში ყრილობამ დიდი ერთსულოვნება გამოიჩინა.

## სარკინისგზო კონფერენცია

**ვარშავა**, 28 იანვ. 22 თებერვალს ვარშავაში გაიმართება სარკინისგზო კონფერენცია საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, იტალიის, ავსტრიის, გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მონაწილეობით. კონფერენციის მიზანია პირდაპირი სამგზავრო და საბარგო სარკინისგზო დამოკიდებულების აღდგენა საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის პოლონეთის გზით.

## განიარაღების კონფერენციის გარშემო

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომი „განიარაღების" შესახებ

**ლონდონი**, 28 იანვ. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აღმასკომმა გაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ესალმება ერთა ლიგის გადაწყვეტილებას განიარაღების კონფერენციის მოწვევის შესახებ საბჭოთა კავშირის მონაწილეობით და გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კონფერენციის მოსაწვევ ადგილათ არჩეულია ჟენევა. აღმასკომი წინადადებას აძლევს ერთა ლიგას წინასწარი კონფერენცია მოიწვიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში და ყველა საერთაშორისო მუშათა სოციალისტურ ორგანიზაციებს მოუწოდებს ერთა ლიგასაგან გადაჭრით მოითხოვონ სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

## პროფინტერნი

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისადმი

**მოსკოვი**, 29 იანვ. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ ყველა ქვეყნის მუშებს და მუშა ქალებს შემდეგი მოწოდებით მიმართა:

„24 იანვარს სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ყრილობა უნდა შემდგარიყო. ყრილობის დღის წესრიგში დასმული იყო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხი; ცნობილია, რომ პროფმოძრაობა გათიშეს რეფორმისტებმა, რომელთაც პოლიციის საშუალებით ხელში ჩაიგდეს დამოუკიდებელ პროფკავშირებისაგან ჩამორთმეული მუშათა სახლები, სტამბები, კოოპერატივები და სხვ.

მრავალი წლის ტერორის მიუხედავათ, სამხრეთ-სლავიის მუშებმა მოახერხეს კლასობრივ კავშირების შექმნა და სოციალ-დემოკრატიულ—პოლიციურ შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება. მაგრამ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ თეთრი ტერორის მთელი საშინელება თავს დაატეხა დამოუკიდებელ პროფკავშირებს. ყრილობის მოწვევის წინ დამოუკიდებელ პროფკავშირების ყველა ხელმძღვანელები ციხეებში ჩაყარეს. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირების და კომპარტიის მთელი ხელმძღვანელი აქტივი, 350 კაცი, სამხრეთ-სლავიის მუშათა კლასის ერთგული მუშაკები, დაპატიმრებული არიან.

რეფორმისტების და სამხრეთ-სლავიის მთავრობის წონასწორმა მუშაობამ თავის მიზანს მიაღწია: დამოუკიდებელ პროფკავშირთა მოძრაობა სამხრეთ-სლავიაში განადგურებულია. რეაქციამ დამოუკიდებელ პროფკავშირებში გაერთიანებულ პროლეტარების მტკიცე რიგებს გამოაკლო საუკეთესო მუშაკები.

მაგრამ რეაქციის გამარჯვება დროებითია. სამხრეთ-სლავიის მუშები თავის რიგებიდან წარმოშობენ ახალ ამხანაგებს, რომელნიც შესცვლიან იმათ, ვინც დროებით გამოთიშულია რეაქციის მიერ. თეთრი ტერორი სამხრეთ-სლავიაში ვერ მოახერხებს მუშათა მოძრაობის ჩაქრობას, როგორც ბულგარეთში ეს ვერ მოახერხა მუშების და გლეხების მტარვალმა ცანკოვმა".

# ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

## ამხ. ლუკაშინის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ლუკაშინი დაწვრილებით შეეხო ორატორების ყველა შენიშვნებს.

— ამხ. კარა იანს,—სთქვა ლუკაშინმა,—თითქოს ეჭვი შესდის იმაში, შევიძლია თუ არა ჩვენ შევადგინოთ მუშაობის კონკრეტული გეგმები. სასოფლო მეურნეობის საპერსპექტივო გეგმები შედგენილია და წარედგინება მახლობელ სესიას; შედგენილია აგრეთვე სამრეწველო გეგმაც.

ყოველ შემთხვევაში მომავალ სესიის ან საბჭოთა ყრილობას წარედგინება მრეწველობის 5 ან 10 წლის გეგმა. ადმინისტრატიული დარაიონება თითქმის დამთავრებულია, ეკონომიური დარაიონება კი გაჭიანურდა, რადგან მას წინ მრავალი დაბრკოლება ეღობება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ახლო მომავალში გამოვნახავთ ეკონომიური დარაიონების ისეთ ფორმებს, რომელნიც შეესაბამებიან ადმინისტრატიულ დაყოფას; სამისო მუშაობა უკვე სწარმოებს.

### მეტი ყურადღება მებამბეობას.

ამხ. ალიევი აღნიშნავს, რომ საჭიროა გლეხობას მივაწოდოთ მუშა-საქონელი, რათა მას შევაძლებინოთ ხელი მიჰყოს მებამბეობას. ამას ჩვენ უკვე ვაკეთებთ, რამდენადაც ხელს გვიწყობენ არსებული საშუალებანი და კრედიტი, მაგრამ მთავარი ყურადღება მებამბეობის რაიონების ტრაქტორიზაციას უნდა მიექცეს. მე საკითხს არა ვსვამ აკადემიურად, მე არ ვლაპარაკობ ტრაქტორიზაციის შესახებ მთიან და სხვა ადგილებში, მაგრამ ძვირფას კულტურის საწარმოო ადგილებში, მებამბეობის რაიონებში, ტრაქტორიზაციის განვითარებას დიდი შანსები აქვს. გლეხებმა ეს იციან და მოუთმენლად მოელიან მის განხორციელებას. ტრაქტორზე მომუშავეთა სათანადო შრომის მომზადება არ არის ძნელი, ტრაქტორის ბაზისები, ტრაქტორის ნაწილების შემოტანა და მათი შეკეთების საქმე ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ და მოვაწესრიგებთ კიდეც.

აქ აღნიშნეს, რომ ბამბის ფასები ძლიერ დაბალია, მაგრამ სახელმწიფოს ამაზე მეტის მიცემა არ შეუძლია, რადგან ბამბის ფასების აწევა მანუფაქტურის გაძვირებას ნიშნავს. უკანასკნელის დაწევა კი შეუძლებელია, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება არსებულ პოლიტიკის კურსს, ხოლო მანუფაქტურის ფასების დაწევა ზიანს მოუტანს მთელს სახალხო მეურნეობას.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მებამბეობისათვის პურის და სამრეწველო საქონლის თავის დროზე მიწოდებას, ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ბამბის მეურნეობის რაციონალიზაციას. ზომები მიღებულ უნდა იქნეს ამ მიმართულებით და არა ბამბის ფასების აწევის მხრით, რაც საზიანო იქნება მთელი მეურნეობისათვის.

### საძოვრების საკითხი.

ამხ. დურგაიანის მოსაზრებიდან საძოვარი ადგილების და მეცხვარეობის შესახებ ლოღიკურად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მეცხვარეობა სრულებით უნდა მოისპოს. მართალია მეცხვარეებს შორის არიან კულაკები, მაგრამ კულაკები არიან მებამბეებს შორისაც. საკითხი უნდა გადწყდეს არა ამგვარად, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად სასარგებლოა სახალხო მეურნეობისათვის ესა თუ ის დარგი. მატყლი ჩვენთვის საჭიროა, სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მეცხვარეობის ეხლანდელი ფორმები, თუ არ შევძლია სხვა ფორმების შექმნა. მომავალში შესაძლო გახდება ამ ფორმების შეცვლა, მაგრამ ჯერჯერობით, სანამ დაბლობი ადგილები მოურწყველია, სანამ მოსახლეობა იძულებულია მთებში გარეკოს თავისი საქონელი, საძოვარ ადგილების არსებული წესით გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა.

ზოგიერთ ადგილებში მიწის ნაკლებობის გამო გლეხები სცდილობენ ხელში ჩაიგდონ საძოვარი ადგილები სათესად. ამას უნდა მოვერიდოთ, რადგან მას სამწუხარო შედეგი მოჰყვება: რამოდენიმე წლის შემდეგ ამ ადგილებში აღარ იქნება არც სათესი და არც საძოვარი ადგილები.

### პასუხი ამხ. პოლოსიანს.

ამხ. პოლოსიანი აღნიშნავდა, რომ 8 მილიონი არ არის საკმარისი ჩვენს მრეწველობაში დასაბანდებლად. მთელი თანხა, რომელიც ჩვენი სახ. მეურნეობის საჭიროების წარმოებათა ხელშია, უდრის 57 მილიონს. ამიტომ 8 მილიონი მანეთი საკმაოდ საკმარისად უნდა ჩავთვალოთ. ჩვენ კმაყოფილი ვიქნებით, თუ ჩვენი მრეწველობის მშენებლობა ასეთი ტემპით წავა წინ.

ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შესახებ პოლოსიანმა საკითხი დასვა, იქნება ეს ორგანო მხოლოდ მომწესრიგებელი და საგეგმო, თუ მას ოპერატიული ფუნქციები მიეცემა. ამხ. პოლოსიანი მეტად ჩქარობს, როცა ცენტრალიზაციას აუცილებლად სთვლის. ჩვენ უარი ვსთქვით მრეწველობის განმგებლობის ცენტრალისტურ მეთოდზე. ამიერ-კავკასიის სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო უნდა იქნეს ისეთი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელს მრეწველობას, მაგრამ უშუალოთ ცალკე წარმოებებს არ განაგებს. ოპერატიული ფუნქციები მას შეიძლება მხოლოდ იმ წარმოებების მიმართ მიეცეს, რომელნიც უზენაესი ხელისუფლების დადგენილებით გამოყოფილი იქნებიან რესპუბლიკის მებლობისაგან.

### ჩვენი ვაჭრობა.

უნდა დავეთანხმოთ ამხ. ერქომაიშვილს, რომ ჩვენი საკონიუნქტურო აღრიცხვა სუსტია, მაგრამ ის თანდათან უმჯობესდება.

ამხ. ერქომაიშვილმა აღნიშნა, რომ მოხსენებაში მე საკმაოდ ვერ გავაშუქე ჩვენი ვაჭრობის საკითხები. ვაჭრობის შესახებ უნდა ითქვას, რომ დაბალი საფეხურის კოოპერაციის ბაზარი 100 პროცენტით გაიზარდა. საბითუმო ვაჭრობიდან თითქმის სრულებით გაძევებულია კერძო ვაჭარი, დასამზადებელი ბაზრის 80 პროც. სახელმწიფოს და კოოპერაციის ხელშია, ხოლო ბამბის დამზადება მთლიანად სახელმწიფოს ხელშია. სახელმწიფო ამზადებს აგრეთვე პარკს, მატყლის დიდი ნაწილი კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ხელში გადის, თამბაქო მთლიანად სახელმწიფოს ხელშია.

ამხ. ლუკაშინი უპასუხებს ამხ. ოსეპიანს მომზადებულ მუშაკების კადრის გადიდებისა და კვალიფიციურ მუშა-ძალის მომზადების შესახებ, და ამბობს, რომ ეს მომზადება უნდა ხდებოდეს გეგმის მიხედვით. ორატორი შემცდარათ სთვლის ამხ. ბალიანის მოსაზრებებს მუშების საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ. მუშები საზღვარგარეთ უნდა გაიგზავნონ განსაკუთრებით ეხლა, როცა ჩვენ ვახდენთ ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციას.

### განმარტება ცალკე შენიშვნებზე.

ამხ. ივანოვის შენიშვნის გამო ამიერ-კავკ. რკ.-გზების მიერ თავისი წინანდელი ინვენტარის 20 პროცენტის დაკარგვის შესახებ, ლუკაშინი აღნიშნავს, რომ ჩვენი გზის აღსადგენათ იხარჯება გაცილებით მეტი, ვინემ სხვა გზებზე, და მეტის მოთხოვნა არც შეიძლება. შემდეგ ამხ. ლუკაშინი ეხება იმ ორატორებს, რომელნიც ლაპარაკობდენ ბამბის დახარისხების შესახებ, და ამბობს:

— შესაძლოა, რომ ბამბის ორგანიზაციებს ჰქონდეთ ტენდენცია ხარისხის დაწევისა და გახარისხების დროს ორივე მიმართულებით ბოროტმოქმედება ხდებოდეს, მაგრამ მიღებულია აუცილებელი ზომები, რომ ასეთი ბოროტმოქმედება მოისპოს. ადგილობრივად და მისაღებ პუნქტებშიც გამოფენილია ნიმუშები და ბამბის მიღების დროს საკითხს ხარისხის შესახებ სამი პირი სწყვეტს: მიმღები, ბამბის მომტანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი.

ამხ. ლუკაშინი ეხება ამხ. შაბანოვის მიერ წამოყენებულ საკითხს შემახის რაიონის მორწყვის შესახებ და ამბობს, რომ ამ საკითხის გადაჭრის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ რაიონის საჭიროებანი. მომავალში ჩვენ არაფერს შენებას არ დავიწყებთ, სანამ ათჯერ არ გავზომავთ და არ გამოვარკვევთ საქმეს. თუ გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მორწყვა აუცილებელია—ეს შეტანილ იქნება 5 წლის გეგმაში.

ამხ. შავერდოვის წინადადებით 1. წევრისაგან არჩეულ იქნა კომისია რეზოლუციის პროექტის შესამუშავებლად ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო.

## ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბიუჯეტი

### 1925-26 წლისათვის

### ამხ. გუსეინოვის მოხსენება

ამხ. ლუკაშინის საბოლოო სიტყვის შემდეგ ამიერ-კავკასიის ფედერაციის 1925—26 წლის ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გუსეინოვი.

ამხ. ორახელაშვილის და გუსეინოვის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 3 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობამ და მრეწველობამ აღორძინება დაიწყო. ეს აღორძინება და ზრდა საშუალებას გვაძლევს შევადგინოთ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი. მიმდინარე წლის ბიუჯეტი დამყარებულია მტკიცე ნიადაგზე, მას აქვს განსაზღვრული ბაზისი, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფოდით წარსულ წლებში.

### საყურადღებო ციფრები.

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა ბრუტო-ბიუჯეტი, ე. ი. ბიუჯეტი 64.808.000 მანეთის რაოდენობით, რომელშიაც შეტანილია გადარიცხვა 1925-26 წლის ადგილობრივ ბიუჯეტისათვის და ნეტტო-ბიუჯეტი, ე. ი. 58.354 000 მანეთის რაოდენობით, ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაურიცხავად. ეს ბიუჯეტი შეცვლილია საკავშირო მთავრობის მიერ: ბრუტო-ბიუჯეტი დამტკიცებულია 67.006.151 მანეთის, ნეტტო-ბიუჯეტი კი 61.147.283 მანეთის რაოდენობით. მე ვრცლად შევეხები ამ ციფრებს, რადგან იგი წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძვლს მიმდინარე წელს. ნეტტო-ბიუჯეტი ამიერ-კავკასიაში წარსულ წელთან შედარებით გაზრდილია 80 პროც-ით; მაშინ როდესაც საბჭოთა რუსეთში იგი გაზრდილია 76 პროც-ით; უკრაინაში—84 პროც-ით. ბელორუსიაში 129 პროც-ით.

მე შევაჩერებ თქვენ ყურადღებას შემოსავლის ზრდაზე. შარშანდელთან შედარებით ეს შემოსავალი გადიდებულია 48 პროც-ით; მაშინ როდესაც სხვა რესპუბლიკებში გადიდებულია უფრო მეტად, სახელდობრ: საბჭოთა რუსეთში—79 პროც-ით, უკრაინაში—69 პროც-ით და ბელორუსიაში—51 პროც-ით. ამის გამო ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის დეფიციტი პროცენტულად მეტია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. თუ განვიხილავთ დეფიციტს 2 წლის განმავლობაში, ჩვენ დავინახავთ, რომ იგი საბჭოთა რუსეთში შარშან 19 პროც-ს აღწევდა, ხოლო მიმდინარე წელს—16 პროც-ს, უკრაინაში წარსულ წელს—10 პრ-ს, მიმდინარე წელს—17 პროც-ს, ბელორუსიაში წარსულ წელს—14 ს, მიმდინარე წელს—40 პროც-ს, ამიერ-კავკასიაში კი წარსულ წელს—41 პროც-ს, მიმდინარე წელს—62 პროც-ს.

გადავდივარ ამიერ-კავკასიის ფედერაციის და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკების ბიუჯეტის ზრდაზე. ფედერაციის ბიუჯეტი წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 127 პროც-ით, სომხეთის—64 პროც-ით, საქართველოს—63 პროც-ით, აზერბეიჯანის—60 პროც-ით. ფედერატიულ ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა აიხსნება მრეწველობაზე, სასოფლო-მეურნეობასა და კოოპერაციისათვის თანხების მიცემით.

მომხსენებელი ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დეფიციტს, და აღნიშნავს, რომ სომხეთის დეფიციტი მიმდინარე წელს გამოიხატება 68 პროც-ში, საქართველოს—67 პრ. აზერბეიჯანის—58 პროც-ში.

ნება მომეცით გამოვაქვეყნო ციფრები, რომელიც ყველა კრებებზე აღინიშნება, სახელდობრ—ხარჯები თვითეულ მცხოვრებზე. საბჭოთა რუსეთში ხარჯები თვითეულ სულზე წარსულ წელს უდრიდა 2 მ. 81 კაპ., მიმდინარე წელს—4 მ. 82 კაპ., უკრაინაში წარსულ წელს—2 მ. 59 კ., მიმდინარე წელს—4 მ. 79 კ., ბელორუსიაში—წარსულ წელს—3 მ. 3 კაპ., მიმდინარე წელს—6 მ. 94 კაპ., ამიერ-კავკასიაში წარსულ წელს—6 მ. 28 კ., მიმდინარე წელს—11 მ. 15 კაპ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ხარჯი თვითეულ სულზე უდრის: სომხეთში შარშან—3 მ. 43 კ., მიმდინარე წელს—4 მან. 65 კ., საქართველოში—წარსულ წელს—4 მ. და 46 კ. მიმდინარე წელს—6 მან. 34 კ., აზერბეიჯანში წარსულში—5 მანეთს 28 კ., მიმდინარე წელს—7 მან. 70 კ.

სულობრივ ხარჯის მხრივ ამიერ-კავკასიას უჭირავს პირველი ადგილი ყველა საკავშირო რესპუბლიკებს შორის, ამიერ-კავკასიის შიგნით კი პირველი ადგილი უჭირავს აზერბეიჯანს.

ამიერ-კავკასიის სულობრივი ხარჯის ასეთი სიდიდე აიხსნება იმით, რომ აქ პატარა ტერიტორიაზე 9 სახელმწიფოებრივი ერთეული გვაქვს თავიანთი ცაკებით, სახ. კომისართა საბჭოებით, კომისარიატებით და სხვა, მაშინ როდესაც, მაგალითად, უკრაინა შეადგენს ერთ რესპუბლიკას. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ამიერ-კავკასიის პოლიტიკური თავისებურებანი.

### შემოსავლის ზრდა.

მომხსენებელი ეხება შემოსავლის ანალიზს უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში და აღნიშნავს შემოსავლის თვალსაჩინო ზრდას, რაც პროცენტებში შემდეგ სურათს იძლევა.

თუ 1923—24 წელს შემოსავალს გამოვხატავთ 100 ში, შემდეგ წელში გვექნება 143 პროც, მიმდინარე წელს 256,6 პროც. გადავიყვანოთ ფულზე: 1923—24 წ. შემოსავალი უდრის—10 მილ. მანეთს, მიმდინარე წელს დაახლოვებით—27 მილ. მანეთს, გადიდებულია 2 ნახევარჯერ. სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ მე აღვნიშნავ, რომ წარსულ წელს იგი ამიერ-კავკასიაში უდრიდა 10.590.000 მანეთს, აკრეფილი იყო მხოლოდ 72,3 პროც. მიმდინარე წელს ეს გადასახადი დაკლებულია 50 პროცენტზე მეტად და 5.135.000 მ. უდრის. საქართველოში იგი უდრის 1.556.000 მანეთს, აზერბეიჯანში—2.744.000 მანეთს, სომხეთში 939.000 მან. საქართველოში დაკლებულია 43,2 პროცენტით, აზერბეიჯანში—54 პროცენტით და სომხეთში—51 პროცენტით.

### სას.-სამ. გადასახადის აკრეფა იგვიანებს.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მაგრამ, მიუხედავათ ამისა და ყოველგვარ შეღავათებისა, გადასახადი ამიერ-კავკასიაში ძალიან ზანტად შემოდის.

15 იანვრისათვის შემოსულია სომხეთში—61,3 პროც., საქართველოში—56 პროც., აზერბეიჯანში—51,2 პროც.

სესიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას. მე აღვნიშნავ, რომ სასოფლო მეურნეობაზე დიდძალი თანხები დაიხარჯა, სახელდობრ 10,168,000 მანეთამდე. თუ ამას დავუმატებთ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხარჯებს, მივიღებთ 14 მილიონ მანეთზე მეტს. გლეხებისაგან კი შემოტანილია 5 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი.

### სოფლის გადასახადის რეფორმა.

განზრახულია მომავალი წლისთვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმა და მისი დაახლოვება საშემოსავლო გადასახადთან. მთავარი პრინციპები უკვე შემუშავებულია ცენტრის მიერ.

სახეშეცვლილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დიდ შემსუბუქებას წარმოადგენს გლეხობისათვის. თვითეულ რესპუბლიკას მინიჭებული აქვს შესწორებების შეტანის უფლება.

### სხვა გადასახადები.

სარეწაო გადასახადის შესახებ აღვნიშნავ, რომ იგი შარშან შესრულებული იყო 94 პროცენტით, მიმდინარე წელს იგი გადიდებულია 16 პროცენტით.

საშემოსავლო გადასახადი უკეთეს პირობებში იკრიფება. წარსულ წელს გადასახადის შემოტანამ გადააჭარბა ნავარაუდევ თანხას 5 პროცენტით. საშემოსავლო გადასახადი მიმდინარე წელს გადიდებულია 20 პროცენტით.

არა საგადასახადო შემოსავლიდან მე შევეხები ტყეების და ვაჭრობა-მრეწველობის შემოსავალს.

ტყეების შემოსავალს ამიერ-კავკასიაში განსაზღვრული ზრდა ეტყობა. 1922—1923 წელს ფაქტიურად შემოვიდა 76,000 მანეთი, 1923—24 წ.—344,000 მანეთი, შარშან—840,000 მან., ხოლო მიმდინარე წლისათვის უნდა შემოვიდეს 1.086,000 მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ უფრო ნაკლებ შემოსავალს ვღებულობთ, ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები, რაც ტყეების დაუმუშავებლობით და აგრეთვე მოუვლელობით აიხსნება, მაგრამ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები ეხლა უკვე სწორ გზას ადგანან, აუმჯობესებენ და რაციონალურ ნიადაგზე აყენებენ სატყეო მეურნეობას.

ტყეების დასამუშავებლად 2 მილიონი მანეთი იყო გადადებული, რაც შესაძლებელს ხდის მათი შემოსავლიანობის საგრძნობლად გადიდებას.

### შემოსავალი ვაჭრობა-მრეწველობისგან.

ეხლა შევეხები საფეიქრო და სამრეწველო დაწესებულებების ანარიცხებს. სამწუხაროდ, ამ დარგში უნდა აღვნიშნო დიდი შეფერხება. 1922 წელს მრეწველობამ ჩვენ ზარალი მოგვცა, 1923—24 წელს 1.000,000 მანეთი მოგება მივიღეთ, გასული წლისათვის კი 3,500 ათას მანეთზე მეტ მოგებას მოველით. თუ ანალიზს გავუკეთებთ ცნობებს მრეწველობის შესახებ, დავინახავთ, რომ შემოსავალს იძლევიან თამბაქოს, არაყის, თევზის, სამთო-ქიმიური და საფეიქრო მრეწველობანი, ხოლო ზარალს იძლევიან: სილიკატის, სატყეო, ტყავეულობის, სამკერვალო, ლითონის და პოლიგრაფიული მრეწველობანი. საჭიროა, რომ ჩვენ მრეწველობის შემოსავლიანობა გავზარდოთ.

1924 წლის შემოსავლიდან მრეწველობის ანარიცხი უდრის 47,2 პროცენტს, 1926 წელს განზრახული გვაქვს 37,6 პროცენტის გადარიცხვა.

როცა მრეწველობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ დიდი დანაკლისი. შარშან ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 45,5 პროცენტი იმისა, რაც უნდა მიგვეღო. ეს უაღრესად არანორმალური მოვლენაა. ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ყოველივე ზომა უნდა მივიღოთ. სავაჭრო წარმოებებში დანაკლისი პატარაა, მხოლოდ 7 პროც., სხვა საკავშირო რესპუბლიკებში კი ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.

როცა შემოსავალზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში პირველად არის შეტანილი „აზნეფტ"-ის საიჯარო ქირა ნავთიან ადგილების ექსპლოატაციისათვის.

შემოდის წინადადება, რომ რადგან ძალიან დაგვიანებულია, გუსეინოვის მოხსენების მეორე ნაწილი ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შესახებ დილის სხდომისათვის გადაიდოს.

### ბიუჯეტის გასავლის ნაწილი.

მომხსენებელი ეხება ბიუჯეტის გასავლის ნაწილს და აღნიშნავს, რომ უკვე საბოლოოთ არის განსაზღვრული სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი. მილიციის, სახალხო სასამართლოების, მასწავლებლების, პირველი და მეორე საფეხურის სკოლების შენახვა მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტზე გადადის. გასავლის ბიუჯეტის საგანგებო ნაწილში შეტანილია ცვლილება იმ მხრივ, რომ ფინანსიური დახმარების გაწევა მრეწველობისა, კოოპერაციისა და ელექტროფიკაციისათვის, რომელიც წინათ საკავშირო ბიუჯეტიდან ხდებოდა, ახლა ამიერ-კავკასიის ბიუჯეტშია შეტანილი.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რათა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შესანახი ხარჯები ამიერ-კავკასიის ბიუჯეტში იქნას გადმოტანილი, რისთვისაც სათანადო შუამდგომლობა უნდა იქნას აღძრული საკავშირო მთავრობის წინაშე.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი წარსულ წელთან შედარებით 80 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა ხარჯები კულტურული საჭიროებისათვის (განათლების კომისარიატისა და ჯანმრთელობის კომისარიატისათვის), რომლებიც შეადგენენ ბიუჯეტის 58 პროცენტს.

შრომის საშუალო ხელფასი წელს შეადგენს 64 მ., ნაცვლად შარშანდელი 50 მანეთისა. მიწისმზომელები, რომლებიც შარშან 44 მანეთს იღებდნენ, წელს 70 მანეთს იღებენ, აგრონომები 53 მანეთის ნაცვლად 100 მანეთს იღებენ.

### საგანგებო ხარჯები

ეხება რა საგანგებო ხარჯებს, გუსეინოვი იუწყება, რომ ამიერ-კავკასიის მრეწველობა წელს „ოლდგენის სესხთან" ერთად მიიღებს 7 ნახ. მილიონ მანეთს, ყველაზე მეტი დახმარება ეძლევა საფეიქრო და ტყის მრეწველობას. საფეიქრო მრეწველობას მიეცემა 3.150,000 მანეთი, სატყეოს—2 200,000, სამთო-ქიმიურს—855.000, სპილენძისას—550.000, ტყავის მრეწველობას—370.000, თამბაქოსას—100.000.

საირიგაციო სამუშაოებისათვის წელს გადადებულია 8 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან საქართველო მიიღებს—1.264.000 მანეთს, აზერბაიჯანი—1.920.000 მ., სომხეთი—1.400 000 მ.; 1.000.000 მანეთი მოხმარდება ალაზნისა და კარა-სახკალის არხების გაყვანას.

სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის საგანგებო წესით გადადებული იქნება 6.814.000 მანეთი

საელექტროფიკაციო მშენებლობისათვის, გარდა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელ.-სადგურისა, ბიუჯეტით გადადებულია 1 150 000 მანეთი, ამ თანხიდან 300.000 მ. მოხმარდება აჭარის-წყალის ელექტრო-სადგურს, 400.000 მან.—ლენინაკანისას. აზერბაიჯანს არაქსზე ელსადგურის ასაგებათ გამოკვლევით მუშაობისათვის მიეცა 200.000 მანეთი.

ამიერ-კავკასიაში საბინაო აღმშენებლობისათვის განზრახულია 4 მილიონი მანეთის გადადება, კომუნალური საჭიროებისათვის—2 მილიონის.

მთელი კავშირის მასშტაბით კოოპერაციისათვის გადადებული 35 მილიონიდან ამიერ-კავკასიას ხვდება 1.220.000 მანეთი. გარდა ამისა „ოლდგენის სესხიდან" კოოპერაცია მიიღებს 800.000 მანეთს.

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ბიუჯეტით შარა-გზების მშენებლობისათვის ამიერ-კავკასიაში გადადებული იქნება 2 ნახევარი მილიონი მანეთი. გარდა ამისა რესპუბლიკანური გზების შესანახად საკავშირო სახკომსაბჭომ შესაძლებლად სცნო 1.600.000 მანეთის გადადება.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

ეხება რა ადგილობრივ ბიუჯეტს, მომხსენებელი აღნიშნავს მის სისუსტეს.

წარსულ წელთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 46 პროცენტით. ადგილი აქვს საგრძნობ დეფიციტს.

მომხსენებელი წინადადებას აძლევს სესიას მხარი დაუჭიროს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის შუამდგომლობას საკავშირო მთავრობის წინაშე დამატებითი თანხების გადადების შესახებ. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოებმა კი თავის მხრივ უნდა მიიღონ ზომები ადგილობრივი ბიუჯეტის შესაკვეცად.

მომხსენებლის აზრით ზოგიერთი ხარჯები (მაგალითად, ხარჯები სახალხო სასამართლოების და მილიციის შესანახად) შეტანილი უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ამხ. გუსეინოვი ამცნობს სესიას, რომ საშემოსავლო ნაწილის გადიდების მიზნით მოსკოვში გადასინჯვას უპირებენ საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებებს.

ჩვენი ბიუჯეტიო,—ამბობს ამხ. გუსეინოვი თავისი მოხსენების დასასრულს,—პირველად წარმოადგენს ყველა ჩვენი საჭიროებათა აღნუსხვას და, თუ მასში არის ზოგიერთი ნაკლულოვანებანი, ისინი მხედველობაში იქნებიან მიღებული მომავალში.

## კამათი ამხ. გუსეინოვის მოხსენების გარშემო

კამათში გამოსული ორატორები უმთავრესად ადგილობრივ ბიუჯეტს ეხებიან.

ისინი საჭიროთ სთვლიან სისწორით გამორკვევას იმისას, თუ რა [illegible] შედის ადგილობრივ ბიუჯეტში და სხვ.

### ამხ. ზეინალოვი

(აზერბაიჯანი)

აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ხშირათ შეაქვთ არასაიმედო შემოსავალი, რომელიც ფაქტიურად არ შემოდის.

### ბალუსტოვი

(სომხეთი)

ბალუსტოვი მოითხოვს სასტიკი ზომების მიღებას იმათ მიმართ, რომელნიც არ იხდიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

### ლაზარევი

(სომხეთი)

ლაზარევი ხაზს უსვამს საბინაო კრიზისის უკიდურეს სიმწვავეს ერევანში.

## ამხ. გუსეინოვის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში გუსეინოვი, ჩერდება რა ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დაგვიანებაზე, ამბობს, რომ უნდა მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რათა მომავალი წლიდან ადგილობრივი ბიუჯეტი ტარდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთდროულად.

უპასუხებს რა ლაზარევს, გუსეინოვი გამოსთქვამს რწმენას, რომ ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭო საბინაო ფონდის განაწილების დროს მხედველობაში მიიღებს სომხეთის, კერძოთ ერევანის საჭიროებებს.

სესია ირჩევს კომისიას რეზოლუციის შესამუშავებლად გუსეინოვის მოხსენების გამო.

სესიის თავმჯდომარე ცხაკაია აცხადებს, რომ შემოვიდა წინადადება—რადგან სესიის მუშაობის დამთავრება საჭიროა დღესვე, მოხსნილ იქნეს დღის წესრიგიდან მოხსენებები სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო ღონისძიებების და აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

დღეს საღამოს გაიმართება სესიის უკანასკნელი სხდომა.

## ცაკის წევრები ნახიჩევანში

ნახიჩევანი, 29 იანვ. 28 იანვარს დილის 7 საათზე სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ ამიერ-კავკასიის ცაკის წევრები: ალამალი-ოღლი, კარინიანი, მუსაბეკოვი, მახარაძე, ლეჟავა, გუსეინოვი და სხვ. მატარებელს შეხვდენ ნახიჩევანის ხელისუფლების წარმომადგენლები ცაკის თავმჯდომარის ბაბაევის მეთაურობით.

დელეგატები სადგურიდან ქალაქში გაემგზავრენ და დაათვალიერეს ვაჟთა და ქალთა პედაგოგიური ტეხნიკუმები, საბავშვო კონსულტაცია, სახალხო სახლი, ქალთა კლუბი, [illegible] სკოლა, ელექტრო-სადგური, საავადმყოფო და სხვ. 1-ნახ. საათზე სახ. კომისართა საბჭოს მოედანზე გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი პასუხისმგებელ მუშაკთა, პროფკავშირების წევრთა, მოწაფეთა და არმიელთა თანდასწრებით. სიტყვები წარმოსთქვეს ლეჟავამ და სხვ., რომელთაც მიტინგი ცხოველი ოვაციებით და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდა. მიტინგის დამთავრების შემდეგ სტუმრები ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკების თანხლებით გაემგზავრენ მახლობელ სოფლებში და შარილის მადაროებისაკენ.

საღამოს 7 საათზე დელეგატების პატივსაცემად გამართულ იქნა ბანკეტი, რომელიც განსაკუთრებული სიცხოველით ჩატარდა.

---

# აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ

კონფლიქტი აღმოს.-ჩინეთის რკინის გზაზე გათავებულია და ინტერესს არ არის მოკლებული შევეხოთ მის მიზეზებს.

იანვრის 17-დან მეტად გამწვავებული მდგომარეობა შეიქმნა ამ გზაზე. ეს გზა ს. ს. რ. კ-ის ხელშეკრულებით ჩინეთთან (პეკინში 1924 წ. 31 მაისს) ერთის მხრით და ჩან-ძო-ლინთან შეთანხმებით (მუკდენში 1924 წ. სექტემბრის 24-ს) მეორეს მხრით, იმავე წლის 8 ოქტომბრიდან ჩინეთ-ს. ს. რ. კ. ურთიერთ განკარგულების ქვეშ იმყოფება. ჩან-ძო-ლინის სამხედ. ძალების გამოსვლებმა მეტად სერიოზული კონფლიქტის სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტებს წარსულშიაც ჰქონდა ადგილი. პეკინის ხელშეკრულებაში გატარებული ჩვენი დათმობანი ჩინეთისადმი მანჯურიის რეაქციონერებმა გაიგეს როგორც შედეგი ჩვენი სისუსტისა. ამიტომ უწინდელი თვითნებობა და აგრესიულობა კვლავ განაახლეს ხაზის ახალ მმართველობის ხელში გადასვლისთანავე. სახელდობრ ჯერ კიდევ 1924 წ. ზოლის იგივე ჩან-ძო-ლინი მხოლოთ ამხ. კარახანის ენერგიულ პროტესტის შემდეგ გახდა იძულებული ხელი აეღო ჩინელ კომერსანტების მფარველობაზე, რომელნიც ხელს უშლიდენ რკ. გზის ნორმალურ მუშაობას, სცდილობდენ რა განსაკუთრებული პრივილეგიები შემოეღოთ თავისათვის. მეორედ—გასულ წელს, როდესაც ხაზის უფროსის ამხ. ივანოვის № 94 ბრძანებით (პეკინის და მუკდენის ხელშეკრულება-შეთანხმების თანახმად) 1925 წ. ივნისის 1-თვის მოხსნილ უნდა ყოფილიყვნენ სამსახურიდან ყველა ის თეთრგვარდიელები, რომელნიც არ გამოარკვევდენ ამ დროისათვის თავის ჩინეთის ან ს. ს. რ. კ. მოქალაქეობას. ამ გარემოებამ თვით რკ. გზის მმართველობის შემადგენლობაში გამოიწვია კონფლიქტი ჩინეთის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა შორის. შავრაზმელ გენერლების ზეგავლენით თეთრგვარდიელთა დასახმარებლად ფორმალ თავმჯდომარის ჩინელ წარმომადგენელ ბაო-გუიცზუნს მიერ გამოტანილ იქნა საბჭ. კავშირის წარმომადგენელ თავმჯდომარის ხელმოუწერლათ ახალი ბრძანება. მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც უარყოფილ იქნა და ეს კონფლიქტიც მოგვარდა საბჭ. კავშირის მტრების სურვილის საწინააღმდეგოთ.

ის გარემოება, რომ თითქმის ყოველ 6 თვეში ერთხელ მეორდება თავხედობა გვაფიქრებინებს, რომ ყოველ ამ გამოსვლებს უფრო ღრმა მიზეზები და ხარისხი უნდა ედვას საფუძვლად. მთელი რიგ ფაქტების მოყვანების და აღ.-ჩ. რკ. გზის სათანადო მნიშვნელობის გათვალისწინებით ჩვენთვის ადვილი გასაგები გახდება, რომ ეს მართლაც ასეა.

რუსეთ-იაპონიის ომამდე ხაზი აღ.-ჩ. რკ. გზის სახელწოდებით შესდგებოდა ორი ნაწილისაგან. მთავარი ხაზი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელიც იწყება ს. ს. რ. კ. საზღვრებთან სადგ. მანჯურიასთან გადაჰკვეთს მანჯურიის შუა ნაწილს და სადგ. პოგრანიჩნაიასთან კვლავ შედის ს. ს. რ. კ-ის საზღვრებში ვლადივოსტოკამდე. სამხრეთის ხაზი, რომელიც იწყება ხარბინიდან (მთავარ ხაზის შუა სადგურია) გადაჰკვეთს სამხ. მანჯურიას ნავთსადგურ დაირენამდე—სიგრძით 954 კილომეტრია. ორივე ხაზი რუსეთის ფულებით იყო აშენებული და რუსეთისვე საკუთრებას შეადგენდა. დამარცხების შემდეგ პორტსმუტის ხელშეკრულებით, რუსეთმა იაპონიას დაუთმო სამხ. ხაზის ნაწილი 704 კილომ. სიგრძით დაირენიდან ჩრდილოეთის მიმართულებით სადგ. კუან-ჩენ-ძიმდე. ეს ხაზი 1906 წლიდან სამხ. მანჯურიის რკ. გზის სახელწოდებით შეადგენს უკვე აქციონერულ საზოგადოების საკუთრებას, რომელშიაც მონაწილეობად იაპონიის სახელმწიფო და კერძო ბანკები შედიან.

ნავსადგ. დაირენი, ვლადივოსტოკი მხედველობაში რომ არ მივიღოთ, წარმოადგენს გარე მსოფლიოსათვის შესავალ კარებს მთელ მანჯურიაში და აღმ. მონღოლეთში. კერძოთ სამხ. მანჯურიის რკ. გზა, როგორც იაპონელთა საკუთრება და დაირენი, რომელიც იაპონიასვე აქვს „იჯარით" აღებული, წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომლის საშუალებითაც იაპონელები თავის პოლიტიკურ-ეკონომიურ გავლენას ავრცელებენ მანჯურიაზე და აქედან მთელ ჩინეთზედაც. მანჯურიაზე ბატონობა, საფუძველია მთელ ჩინეთზე ბატონობისაც. ეს ადვილი გასაგებია თუ გავითვალისწინებთ, რომ დაირენი მანჯურიის და აღმოსავლეთ მონღოლეთის მთელი საქონლის ტრიალის მონოპოლისტია რომლითაც გამოდის... 1910 წ. მისი ვაჭრობის ჯამი გამოიხატებოდა ციფრებში 14 მილ. ლანით. 6 წლით გვიან ქ. დაირენის სავაჭრო ბრუნვა აღწევდა უკვე 140 მილიონს. 1920 წლისათვის კი გაიზარდა უკვე 198 მილიონამდე. 1923 წელს ამ ციფრმა რამდენიმე დაიწია 182.323.125 მანეთამდე, რაც მაინც ადასტურებს დაირენის მნიშვნელობას საქონლის ტრიალში. *)

თუ რა მნიშვნელობისაა ქ. დაირენი, ნათლად ადასტურებს ამას მისი ექსპორტ-იმპორტის პროცენტული შეფარდება ჩინეთის მთელ საგარეო ვაჭრობასთან:

| წლები | ექსპორტი პროც. | იმპორტი პროც. |
|---|---|---|
| 1916 | 10,9 | 9,8 |
| 1920 | 21,6 | 11,6 |
| 1923 | 18,7 | 10,1 |

საგარეო ვაჭრობის აბსოლიუტურ რიცხვებით შანხაის შემდეგ დაირენს პირველი ადგილი უჭირავს.

„ათი წლის სიგრძეზე (1920 წლამდე. შ. ქ.) ამ ქალაქის მიერ მიღწეული რეკორდი უჩვეულო რეკორდია მსოფლიო ვაჭრობაში. დაირენის ზრდას ვლადივოსტოკის იზოლაციაც ხელს უწყობდა, როდესაც მოკავშირეთა ინტერვენციამ ვლადივოსტოკი საბჭ. ფედერაციის საწინააღმდეგო ბრძოლის დასაყრდენ ბაზათ გადააქცია... დაირენმა მოიზიდა ყველა ტვირთი, რომელიც ვლადივოსტოკის მიმართულებით მიდიოდა. 1918—20 წ. წ. გვიჩვენებს სამხ. მანჯურიის რკ. გზებზე ტვირთთა ბრუნვის გაორკეცებას *).

მსოფლიო ომის გათავების და როგორც ამ ამონაწერიდანვე სჩანს შორეულ აღმოსავლეთში საბჭ. კავშირის დამკვიდრების შემდეგ დაირენის და სამხ. მანჯ. რკ. გზის მნიშვნელობაც თანდათან უნდა შესუსტებულიყო. მთელი რიგი ციფრებისა ამ გარემოებას მართლაც ამტკიცებს. აქ უნდა ვეძიოთ აღ. ჩინ. რკ. გზის ხაზზედ მდგომარეობის გართულების მიზეზებიც.

ომამდე სამხ. მანჯ. რკ. გზა ერთგვარად დამოუკიდებელ წამოწყებას წარმოადგენდა. სახელდობრ დაირენში მოსულ ტვირთთაგან 1911—13 წლებში ამ ხაზის სადგურებზე გადიზიდა 98,7 სხვა ხაზებზე მხოლოდ 1,3. ომის დროს, როდესაც განსაკუთრებით სწრაფათ გაიზარდა მისი ტვირთბრუნვა, გაიზარდა აგრეთვე სხვა ხაზებზე და უფრო მეტად აღ. ჩინ. რკ. გზის ხაზზედ მისი დამოკიდებულება. სხვა ხაზებზე გადაგზავნილ იქნა 1914—16 წ. წ. 5,1, 1917—19 წ. წ. 26,2 პროც. ხოლო 1920—23 წ. წ. უკვე 32 დაირენში მოსულ ტვირთისა. ეს დამოკიდებულება საფრთხეს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამხ. მანჯ. რკ. გზისა და დაირენისათვის, რაკი ვლადივოსტოკის და აღ. ჩ. რკ. გზის საბჭ. კავშირის ხელში გადასვლის და ნორმალურ მუშაობასთან დაკავშირებით მანჯურიის და მონღოლეთის ექსპორტ-იმპორტი მიმართულებას შეიცვლიდა ვლადივოსტოკის სასარგებლოთ. მართლაც, როგორც სამხ. მანჯ. რკ. გზაზედ, ისევ პორტ დაირენში ტვირთბრუნვის შემცირებას ვამჩნევთ. სახელდობრ, რკ. გზაზე ტვირთბრუნვიდან შემოსავალი უდრიდა 1916 წ. 23.894.204 იენას. 1920 წ. უკვე 66.562.420 იენას. ხოლო 1923 წ. უცბად დაეცა 35.902.732 იენამდე. დაეცა დაირენის სავაჭრო ბრუნვაც 198 მილიონ მანეთიდან 1920 წ., 182 მილიონამდე 1923 წელს. დაეცა დაირენის „მოიჯარადრეების" შემოსავალიც, რომელსაც ღებულობდენ საბაჟო გადასახადებიდან. დაირენის საბაჟო გადასახადების რაოდენობა კი მთელი ჩინეთის საბაჟო გადასახადების 9% შეადგენს. შემოსავლის შემცირება მოითხოვს შედარებით ადრინდელ ტემპით მუშაობას დაუბრუნდნენ, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი ხდება, რაკი ომიანობის დროს მუშაობის მასშტაბის სწრაფად გაფართოებასთან დაკავშირებით საკმაოდ მოზრდილი კაპიტალები იყო ჩაყრილი როგორც ნავთსადგურის, ისე რკინის გზის გაფართოებაზე. ეს გარემოება უფრო ამწვავებს მდგომარეობას.

ამ კონკურენციასთან დაკავშირებით უდიდესი საფრთხე იბადება იაპონელ ფინანსიურ და კაპიტალისტურ წრეებისთვის მანჯურიაში მათი პოლიტიკო-ეკონომიურ გავლენის შესუსტების მხრითაც. რა თქმა უნდა „იაპონია ვერ დაივიწყებს, რომ 1920 წ. ის ღებულობდა 86,6 % მთელ ექსპორტისას, ხოლო შეტანა ჩრდ. მანჯურიაში 98,4 % იმპორტისა. ის ვერ ურიგდება იმას, რომ ვლადივოსტოკმა 1922—24 წ. წ. მოსტაცა მანჯურიის მთელი გატანის 40% ხოლო შეტანის 12 % *) ეკონომიურ გავლენის ასეთი შესუსტება საწინდარია პოლიტიკურ გავლენის შესუსტებისაც. ეს გარემოება იმდენად მწვავე მდგომარეობას ჰქმნის, რომ 1924 წ. ზაფხულს იაპონიის კერძო ბანკები შეუთანხმდნენ მუკდენის გენერალ-გუბერნატორს ჩან-ძო-ლინს რკ. გზ. ხაზების გაყვანის შესახებ: 1) სადგ. ციციკარიდან (ა. ჩ. რკ. გზის მთავარ ხაზზე ხარბინის ჩრდ. დასავლეთით) ტაონანფუმდე (შიგნით მონღოლეთში) და 2) ტაონანფუდან სამხ. მანჯ. რკ. გზის ხაზამდე სადგ. სიპინ-გაიმდე. „განზრახული ხაზი სერიოზულ მნიშვნელობისაა, რაკი შემოერტყმის რა ხარბინს დასავლეთით იაპონელები გამოჰყავს ა. ჩ. რკ. გზის ცენტრალ ნაწილში და ჰქმნის მათთვის ხელსაყრელ მდგომარეობას მონღოლეთში **) მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ეს ზომა არ არის ძლიერი მნიშვნელობისა რეალურად უკვე არსებულ საფრთხის წინააღმდეგ.

მაგრამ იაპონიის პოლიტიკა ეკონომიურ საფუძველს ჩინეთში ეცლება, ნიადაგი სხვა მხრივაც. სახელდობრ, მისი წილი იმპორტის მხრით მანჯურიაში თანდათან კლებულობს. იმპორტი დაირენში უდრიდა:

| | იაპონიიდან | ჩინეთი | შეე. ა. შტ. | ევროპიდან | სხვა ქვეყ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1920 წ. | 60.4 პრ. | 28,2 პროც. | 7,9 პროც. | 6.7 პროც. | 2.8 პრ. 100 პრ. |
| 1923 წ. | 43,2 პრ. | 31,1 პროც. | 17,9 პროც. | 5.0 პროც. | 2.8 პრ. 100 პრ. |

ამ არა ხელსაყრელ პირობათა დაძლევა უკვე იაპონიის ფინანსისტ-კაპიტალისტთა ხელთ არ არის. მაგრამ ეს წრეები არაპირდაპირი გზით მაინც გამოსავალს ეძებენ და მთელს მანჯურიაზე გავლენის გაფართოების, ექსპანსიის მიზნით ცდილობენ აღმ. ჩ. რკ. გზის ხაზი სამხ. მანჯურიის რკ. გზისათვის უბრალო მისასვლელ გზად გადააქციონ.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ დღევანდელი უწესრიგობა მუკდენის დიქტატორის თავხედობა და პოლიტიკა კი არ არის მხოლოდ, არამედ გარკვეული ძალები სდგანან მის ზურგს უკან, რომელნიც ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას ლამობენ. მართალია ჩინეთის შავრაზმელ გენერლებსაც ვერ მოუთმენიათ იმ მდგომარეობის დაკარგვა, როდესაც თავისუფლად დათარეშობდენ მთელ ხაზზედ, სარგებლობდენ რა როგორც გადასახად-გადამხდელთან საშუალებით, ბოროტმოქმედებდენ მის საკუთარ თანხებით, შემოსავლის სახით აკრეფილ ფულებს ითვისებდენ საკუთარ განდების შესანახ ხარჯების დასაფარავად, ეწეოდენ რა სპეკულაციას ხაზზედ. ქონების გადატანის საფარველ ქვეშ ჩინელ ვაჭრების საქონლის გადატანით, უფასოდ მგზავრობდენ და სხვა.. მაგრამ შეცდომა იქნებოდა დაგვევიწყებოდა, რომ ს. მ. რკ. გზ. აქციონერებს და დაირენის „მოიჯარადრეებს" არა ნაკლებ აწუხებს ის გარემოება, რომ საიმედო პატრონი გამოუჩნდა ა. ჩ. რკ. გზას და წინანდელ მოსყიდულ ადმინისტრაციის საშუალებით მათ შეუზღუდველ ბატონობას და თვითნებობას ალმ. ჩინ. რკ. გზებზე ბოლო მოეღო.

**ჩვენის აზრით ახლანდელ კონფლიქტში ურევია ჩინეთში მოქმედ ამერიკელ იმპერიალისტების და იაპონიურ ეკონომიურ წრეების ხელიც.**

ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ტოკიოში ამერიკელების გაზეთ „ჯაპან-ადვერტაიზერ"-ში გამოქვეყნდა სენსაციური ინტერვიუ ამხ. ივანოვთან, თითქოს „იაპონიის ცდებს აგოს სტრატეგიული მნიშვნელობის რკ. გზები მანჯურიის ჩრდ. ნაწილში, საბჭ. კავშირის მიერ გაეწევა გადამწყვეტი წინააღმდეგობა. და რომ, თუ შეერთ. შტატები ომს გამოუცხადებს იაპონიას, ამ შემთხვევაში საბჭ. კავშირი დაეხმარება მას ბერინგის ზღვით ჯარების გადმოყვანაში". ამერიკელების ეს პროვოკაციული გამოსვლა უდაოთ ამტკიცებს მათ მონაწილეობას დღევანდელ კონფლიქტში; მათ მიერ ეს კონფლიქტი ჯერ კიდევ დეკემბერში მზადდებოდა, როდესაც გენ. ჩან-ზან-სიანის მიერ დაპატიმრებულ იყვნენ რკ. გზის პროფ. კ. ცენ. საბჭოს თავმჯდომარე და სხვა პასუხისმგებელი მომუშავენი. მაგრამ ჩან-ძო-ლინის მდგომარეობის შერყევის გამო კონფლიქტი გადადებულ იქნა და ჩან-ზან-სიანიც იძულებული გახდა მეგობრულ ჰანგებზე ალაპარაკებულიყო.

რა ამოქმედებს ამერიკელ იმპერიალისტურ ჯგუფებს:

უპირველესად აშინებთ ს. ს. რ. კ. გავლენის ზრდა მთელს აღმოსავლეთში.

მეორეც ამერიკის იმპერიალისტებს აშინებთ იაპონია—ს. ს. რ. კ. დაახლოება, რომელიც იაპონიის პოლიტიკურ-ეკონომიურ გაძლიერებას მოასწავებს. ამ უდიდეს საფრთხეს ნათლად გამოხატავს ნიუ-იორკის „ივნინგ-პოსტი" კონსერვატიულ რესპუბლიკანური გაზეთი (1925 წ. ივნისის 25-ს) ეხება რა ჩვენსა და იაპონიის შორის დადებულ ხელშეკრულებას ის სწერს: „დღეიდან ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში საქმე ექნება არა მხოლოდ რუსეთის გავლენის ზრდასთან ამ ქაოტიურ უწესრიგობით მოცულ მხარეში, არამედ რუსეთის გავლენასთანაც, რომელსაც მხარს უჭერს იაპონია. ს. ს. რ. კავშირმა, დაბოლოს, მაინც გამოძებნა ნამდვილი იარაღი, რათა გაარღვიოს დიდ ოკეანეს ის რკინის რკალი, რომელიც გამოიმუშავეს ვაშინგტონის კონფერენციის მიერ რაიონში, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას ღებულობს"*). მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით" როგორც ეტყობა ამერიკელი იმპერიალისტები იაპონიის და ს. ს. რ. კ-ის შორის ცეცხლის დანთებასაც არ მოერიდებიან.

ამ მთელ რიგ ფაქტთა გათვალისწინების შემდეგ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იაპონიის საზოგადოებრივი აზრი მთლიანად და მთავრობის წრეები ჩვენდამი მტრულად იყვნენ განწყობილნი. იაპონია მთლიანად უფრო ნაკლებად მოისურვებს ჩვენთან მდგომარეობის გამწვავებას, ვიდრე ზოგიერთი მისი სამხედრო ჰანგებზე ამღერებული წრეები. ცხადია იაპონია ს. ს. რ. კ. ნედლ მასალის და ბუნებრივ სიმდიდრეთა გარეშე ეკონომიურად ინგლის-ამერიკის მონათ გარდაიქცეოდა. იგი კარგად ხედავს იმ დიდ სარგებლობას, რომელსაც ღებულობს სახალინის ნავთის, მდიდარ სათევზაო ადგილების, ქვანახშირის კონცესიებით და ციმბირის სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებით. მისთვის ცხადია ისიც, რომ ს. ს. რ. კ. მეგობრულ ურთიერთობის გარეშე მისი პოლიტიკურ ეკონომიური წონასწორობა საგრძნობლად შეირყეოდა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტურ ბლოკის სასარგებლოდ.

მაშ ვინა სდგას მანჯურიის შავრაზმელების ზურგთ უკან?

მხოლოდ და მხოლოდ იაპონიის ის ზოგიერთი [illegible] საერთოდ უნდობლად ეკიდებიან, რომელნიც პესიმისტურად უყურებენ ერთი წრეები, რომელნიც ს. ს. რ. კ. დამოკიდებულებას და არავითარ სარგებლობას მასთან დადებულ ხელშეკრულებიდან არ გამოელიან; შემდეგ ს. მან. რკ. გზის აქციონერები და ფინანსისტთა და კაპიტალისტთა ვიწრო ჯგუფები, აგრეთვე მათ გავლენის ქვეშ მყოფი სამხედრო წრეები და ჩან-ძო-ლინის იაპონელი მრჩეველები; დასავლეთულ ჩინეთში მოქმედი ამერიკელი იმპერიალისტები და ის ეკონომიური წრეები, რომელნიც ტოკიოს გაზეთ „ჯაპან-ადვერტაიზერ"-ის გარშემო იყრიან თავს. არის მთელი ის ხროვა, რომელიც ჩან-ძო-ლინსა და მის დამქაშებს ზურგთ უკან არის ამოფარებული.

ს. ს. რ. კ., რომელსაც იმედიანათ შეჰყურებს აღმოსავლეთის მილიონიანი ჩაგრული მასები, შესძლებს ლაგამი ამოსდოს და ამთავრის კიდეც თავ-აშვებულ შავრაზმელ გენერლებს და კიდევ უფრო განამტკიცოს შემდეგში ის მეგობრული ურთიერთობა ჩინეთის და იაპონიის ხალხთან, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1924 წ. მაისის 31-ს ხელშეკრულებით პირველთან და 1925 წ. იანვრის 20-ის ხელშეკრულებით მეორესთან.

შ. ჭ—შვილი.

---

*) ა. ხოდოროვი „Иностранный Капитал и побережье Китая". „Новый Восток" № 8—9.

*) იქვე.

*) ეს და ყველა სხვა ციფრები ამოღებულია ბ. სემიონოვის წერილიდან იმავე ჟურნალში.

**) ვ. კაისაროვი „Железные дороги в Вост. Азии". გვ. 124.

*) გაზ. „პრავდა" № 21 1925 წ.

# სესიის უკანასკნელი სხდომა

## ამხ. შავერდოვის მოხსენება

**ერევანი, 29 იანვარი.** სესიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანის შავერდოვის მოხსენებები: 1) ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შევსების შესახებ მუხლით საბიუჯეტო უფლებებზე და 2) ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულთა სამმართველოების რეორგანიზაციის შესახებ ცალკე რესპუბლიკათა ფინსახკომებათ.

პირველი მოხსენების მიხედვით სესიამ დაამტკიცა მუხლი ამიერ-კავკასიის საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

მეორე მოხსენების გამო სესიამ დაადგინა: აზერბაიჯანსა, სომხეთსა და საქართველოში ფინსახკომის რწმუნებულთა სამმართველოები გადაკეთებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატებათ.

ამის შემდეგ სესიამ ამხ. შავერდოვის მოხსენების თანახმად დაამტკიცა ა—კავკასიის ცაკის პირველსა და მეორე სესიას შორის პრეზიდიუმის მიერ გამოცემული დეკრეტები.

შემდეგ სესიამ მიიღო რეზოლიუციები, შემუშავებული კომისიების მიერ ამხ. ლუკაშინისა და გუსეინოვის მოხსენებების გამო.

## დელეგატების გამომგზავრება

**ერევანი, 29 იან.** ღამის 12 საათზე სესიის წევრები სპეციალური მატარებლით გაემგზავრებიან თბილისში. გზაში მატარებელი 4 საათით შეჩერდება ლენინკანში და ერთი საათით—კარაკლისში.

# უკანასკნელი ცნობები

## „ძირს ლიუტერის მთავრობა!"

**ბერლინი, 28 იანვ.** ლიუტერის დეკლარაციის გარშემო კამათის დროს სიტყვით გამოვიდა ტევტონელების (ფაშისტების) წარმომადგენელი გენნიგი, რომელმაც (ვოლფის სააგენტოს ცნობით) განაცხადა: **„ლიუტერის მთავრობა, რომელიც ატარებს ვერსალის ხელშეკრულებათა განხორციელების პოლიტიკას, დამხობილი უნდა იქნას".** როცა ორატორმა სთქვა: **„ეს არის საკუთარი ერის ჯალათების მთავრობა"**, აღელვებული ლიუტერი წამოდგა და დაუყვირა გენიგს: „მე გიკრძალავთ თქვენ ასეთი სიტყვების წარმოთქმას".

ცენტრის დეპუტატები შემოუხვიენ გენიგს ყვირილით: „გაეთრიე".

თავმჯდომარემ სხდომიდან გამორიცხა გენნიგი. ნაციონალისტებმა ლინდეინერმა და ვალდთუმ მემარჯვენე ოპოზიციის სახელით მწუხარება გამოსთქვეს მომხდარი ინციდენტის გამო.

## ნდობის გამოცხადება ლიუტერისათვის.

**ბერლინი, 28 იანვ.** ლიუტერის მთავრობის რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა 160 ხმით, 149 წინააღმდეგ, თავი შეიკავა 151.

**ლიუტერმა, უნდობლობის გამოცხადების მოლოდინში თანხმობა მიიღო ჰინდენბურგისგან რეიხსტაგის დათხოვნაზე.**

## პრესის აზრი

**ბერლინი, 29 იანვ.** რესპუბლიკანური პრესა ხედავს ლიუტერის დიდ გამარჯვებას იმაში, რომ მიუხედავათ ნაციონალისტების და კომუნისტების ოპოზიციისა, მან მიიღო ნდობის ვოტუმი. ნაციონალისტური გაზეთები სწერენ, რომ ნდობის ვოტუმი, რომელსაც მხარი დაუჭირა მხოლოდ რეიხსტაგის მესამედმა, მტკიცე არ არის. „ლოკალ ანცეიგერი" აცხადებს, რომ „რეიხსტაგი ლიუტერის მეორე კაბინეტს მხარს კი არ უჭერს, არამედ მხოლოდ ითმენს".

„ფორვერტსი" სწერს: „სოციალ დემოკრატებმა თავი შეიკავეს ნდობის ვოტუმის დროს, რაც გამოწვეულია არა პარტიის გაუბედაობით ან კაბინეტის უარყოფით, არამედ დაცდის პოლიტიკით".

## ს.-დ. თავი შეიკავეს

**ბერლინი, 28 იან.** რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა თავი შეიკავოს ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებისგან.

## ფაშისტების წინააღმდეგ

**ბერლინი, 28 იანვარი.** მოზელში, ციურიხში და შაფგაუზენში (შვეიცარია) დაარსდა ფაშისტებთან ბრძოლის ლიგა სახელწოდებით „თავისუფლების ლიგა", რომელშიც გარდა სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ორგანიზაციებისა შევიდენ იტალიელ მაქსიმალისტების და რესპუბლიკანელების წარმომადგენლებიც და აგრეთვე იტალიელ ყოფილ ჯარისკაცთა წარმომადგენლების ნაწილი.

## კომუნისტური დემონსტრაციები

**ბერლინი, 29 იანვარი.** ბერლინის და გერმანიის სხვა მსხვილი ცენტრების კომუნისტებმა და მემარცხენე ორგანიზაციებმა საზოგადოებრივ დარბაზებში და ქუჩებზე გამართეს დემონსტრაციები მეფის გვარეულობისათვის ზარალის ანაზღაურების წინააღმდეგ. ბერლინში და ბრესლაველში მოხდა შეტაკება მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს შორის.

## ბალდვინის სიტყვა

**ლონდონი, 29 იანვ.** ბალდვინი სონდერლენდში წარმოთქმულ სიტყვაში, შეეხო რა მრეწველობის მდგომარეობას, აღნიშნა გაუმჯობესების ნიშნები უკანასკნელ რამდენიმე კვირის განმავლობაში, რაც მისი სიტყვით იძლევა ზომიერი ოპტიმიზმის საბაბს. ბალდვინმა თავი შეიკავა მსჯელობისაგან ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის მოხსენების გამო, წაგრამ მაინც შეეხო ერთ-ერთ მაღაროს მეპატრონეს ლორდ ლონდონდერის სიტყვას, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ დღეებში მესაკუთრეებსა და მაღაროს მუშებს შორის შექმნილ მდგომარეობის პირდაპირ განხილვას რაიონების მიხედვით, ნაცვლად საერთო ნაციონალურ შეთანხმებისა; მისი აზრით ინიციატივა უნდა ეკუთვნოდეს მესაკუთრეებს, რომლებმაც უნდა დასტოვონ ხელფასის ძველი დონე და არ გაადიდონ სამუშაო დრო. ბალდვინი მოუწოდებდა ორივე მხარეს ნახშირის მრეწველობაში არ მიაყენონ ახალი ზარალი ვაჭრობის სხვა დარგებს. მან აღნიშნა, რომ მან, როგორც თავგამოდებულმა პაციფისტმა, მოიწონა გონიერული ჯამ დაწყვეტილება, რომელიც ამას წინად გამოიტანეს რკინისგზელებმა.

## ჩემბერლენ-ბრიანის თათბირი

**ლონდონი, 29 იანვარი.** პარიზში ჩავიდა ჩემბერლენი, რომელმაც ორი საათის განმავლობაში ითათბირა ბრიანთან. როგორც ორივე მინისტრმა განუცხადეს პრესის წარმომადგენლებს, განხილვის საგანს წარმოადგენდა საერთაშორისო საკითხები, ამასთანავე ორივე მხარემ გამოსთქვეს სურვილი განმტკიცებული იქნას თანამშრომლობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის. ჩემბერლენმა დასძინა: „ჩვენ არ შეგვეძლო გამოგვეტანა რაიმე გადაწყვეტილება, რადგან მე არ ვყოფილვარ ლონდონში დაახლოვებით 5 კვირა, ჩემი ურთიერთობა ინგლისის პოლიტიკურ წრეებთან შეწყვეტილი იყო და მე მინდა ხელახლა განვიხილო ყველა ფაქტები". ორივე მინისტრის აზრით განიარაღების წინასწარი კონფერენციის გადადება არაა მოსალოდნელი, თუმცა ეს შესაძლებელია. მოკავშირეთა ვალების საკითხი არ ყოფილა განხილული.

## პრემიერ კატოს დასაფლავება

**ტოკიო, 28 იანვარი.** დაასაფლავეს პრემიერი კატო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ დროებით დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრი ვაკაცუკი.

## ამხ. ივანოვის ბრძანება

**პეკინი, 28 იანვ.** პეკინში მიღებულია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის უფროსის ივანოვის შემდეგი ბრძანება: „ნებას ვრთავ, 21 იანვრის დეპეშის შესაცვლელად 29 იანვრიდან მოძრაობის განახლებას სამხრეთის ხაზზე არსებულ ცხრილის თანახმად.

## ბრილი საბჭოთა კავშირის შესახებ

**ვარშავა, 28 იანვ.** პოლონეთის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარემ ბრილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია ვიდრე უცხოეთში სწერენ. დიდი მიღწევებია სამეურნეო ფრონტზე, ეროვნული საკითხი გადაწყვეტილია შესანიშნავად".

## ახალი ხანა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში

**ვაშინგტონი, 28 იანვარი. სენატმა 26 ხმით 17 წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ამერიკის შესვლას ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში.**

სენატის ეს დადგენილება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი შეთანხმებაზე საერთაშორისო ტრიბუნალის შესახებ, მიიღებენ შეერთებული შტატების ზოგიერთ შენიშვნებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგია: **„საერთაშორისო ტრიბუნალმა შეერთებული შტატების თანხმობის გარეშე არ უნდა გაარჩიოს არც ერთი საკითხი, რომელიც, შეერთებული შტატების აზრით, მის ინტერესებს შეეხება".**

სენატის ეს დადგენილება მოასწავებს დამარცხებას სენატის უმცირესობისას, რომელიც ერთა ლიგის მოწინააღმდეგეებიდან შესდგებოდა. სენატის ოპოზიციონური უმცირესობა სენატორ ბორას მეთაურობით იმ აზრს იცავდა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალი ერთა ლიგის შემადგენელი ნაწილია და როგორც ასეთი წარმოადგენს დიდ სახელმწიფოთა იარაღს მცირე ერების დასაჩაგრავათ.

# საბჭოთა კავშირში

## რუსეთი

### გემის ავარია

**ლენინგრადი, 29 იან.** ინგლისის გემმა, რომელიც ლენინგრადში ქვანახშირი მიჰქონდა, ავარია განიცადა შვეციის ნ. პარების მახლობლად.

### პირდაპირი მიმოსვლა ლენინგრად-კენიგსბერგს შუა

**ლენინგრადი, 29 იან.** 1 თებერვალს იხსნება პირდაპირი სარკინისგზო მიმოსვლა ლენინგრად-კენიგსბერგს შუა.

### სამთომადნო მრეწველობის მუშათა საკავშირო ყრილობა

**მოსკოვი, 29 იან.** სამთომადნო მუშების პროფკავშირის ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა სამთომადნო მრეწველობის მუშათა საკავშირო ყრილობა აპრილში იქნეს მოწვეული.

### კურსები ინჟინრებისათვის

**მოსკოვი, 29 იან.** 27 იანვარს გაიხსნა კურსები რკინის გზის ტრანსპორტის ინჟინრებისათვის.

კურსებზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის 27 გზის ინჟინერი.

### ქიმიური მრეწველობის მუშათა ყრილობა

**მოსკოვი, 29 იან.** 1 თებერვალს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის მუშათა ყრილობა.

### გემი—ტანკი

**ლენინგრადი, 29 იან.** ინჟინერმა სტეფანოვმა გამოიგონა საბუქსირო გემი—ტანკი. ხსენებულ გემს აქვს ორი ღერძი და ორი წყვილი ბორბალი, გემი დიდი სიძლიერისაა.

## უკრაინა

### ახალი გემი დნეპრზე

**კიევი, 29 იანვ.** დნეპრის სანაოსნო სამმართველო აშენებს 6 ახალ გემს ზემო-დნეპრისათვის. გარდა ამისა სორმოვოს ქარხანას შეკვეთილი აქვს 10 რკინის ბარჟა.

## საბჭოთა პარტიულ სკოლების საკავშირო თათბირი

**მოსკოვი, 29 იანვ.** გაიხსნა საბჭოთა პარტსკოლების მეხუთე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელსაც დაესწრო საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერ-კავკასიის, მოლდავიის, მონღოლეთის რესპუბლიკის, ყირიმის და ვოლგის განაპირა გერმანელების რესპუბლიკის საბჭოთა პარტსკოლების 300-ზე მეტი გამგე და მასწავლებელი.

ამხ. ლუნაჩარსკიმ წაიკითხა ვრცელი მოხსენება შემდეგ თემაზე: „მეთოთხმეტე პარტყრილობის საკითხები". მომხსენებელმა განაცხადა, რომ საერთო განათლების და პარტგანათლების საკითხები მჭიდროთ დაკავშირებული არიან ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანებთან. ჩამორჩენილ მუშას უნდა შევაგნებინოთ, რომ მან უარი სთქვას მეშჩანურ მისწრაფებაზე, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ხელში დაგროვილი საშუალებანი ახლავე უნდა განაწილდეს; სახელმწიფო მეურნეობის განვითარების პროცესში მუშას უნდა შევაგნებინოთ, რომ ჩვენთვის საჭიროა ეკონომია, რათა სოციალისტური კაპიტალი შევქმნათ მრეწველობის გასაფართოებლად. ასეთივე დიდი მნიშვნელობის პოლიტ-განმანათლებელი ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე სოფლად, სადაც გვიხდება ბრძოლა საშუალო გლეხის დასაპყრობათ და კულაკის გავლენისაგან გასანთავისუფლებლად.

## მიწა-ტყის მუშაკთა საკავშირო ყრილობა

### ამხ. სვიდერსკის მოხსენება

**მოსკოვი, 29 იანვ.** მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობის დილის სხდომაზე საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ სვიდერსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ 1925 წელს ნათესების სივრცე საბჭოთა კავშირში შეადგენდა 85 მილ. დესეტინას 1913 წლის ნათესების სივრცის 93 პროცენტს; ცხენების რიცხვი საბჭოთა კავშირის ფარგლებში უდრიდა 24 მილიონს ომამდე არსებულ რაოდენობის 75 პროცენტს. ჩქარი ტემპით ვითარდება მსხვილფეხა საქონელი; 1923 წელს ჩვენ ვაღწევდით ომის წინად არსებულ მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის 82 პროცენტს, 1925 წელს კი გადავაცილეთ 100 პროცენტსაც.

მოსავლიანობა გაიზარდა. 1923 წელს საბჭოთა კავშირში საშუალოდ დესეტინაზე მოდიოდა 40 ფუთი პური, 1925 წელს კი 54 ნახ ფუთი.

შეუჩერებლად სწარმოებს სასოფლო მეურნეობის გადასვლა მანქანებზე. 1923 წელს საგლეხო მეურნეობებში იყო სულ 1.700 ტრაქტორი, ხოლო 1925 წელს—11,000. 1926 წ. გლეხობა მიიღებს 20,000 ტრაქტორზე მეტს.

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით განზრახულია აგრონომიულ უბნების მოწყობა შემდეგი რაოდენობით: 1925 წ. - 1900 უბანი, 1926 წ.—2,300, 1927—3.000 და 1928 წ.—3,500 უბანი.

უბნების გარშემო არსდება სასოფლო-სამეურნეო საბჭოები, რომელთა შეწევნით გლეხობის მონაწილეობით ხორციელდება ყველა დასახული ღონისძიებები ჩვენი სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

## ამ. ფედერაციაში

### აზერბეიჯანი

#### ქართული სკოლები

**ბაქო, 29 იანვ.** სახგანათლების კომისარიატის კოლეგიამ საჭიროთ სცნო მომავალ წლიდან ზაქათალის მაზრაში ორჯერ გადიდებული იქნას ქართული სკოლების რიცხვი.

სახ. განათლების კომისარიატი მართავს მოლაპარაკებას საქართველოს სახ. განათლების კომისარიატთან ამ სკოლებისათვის მასწავლებელთა კადრის მიცემის შესახებ.

#### ბრძოლა ეპიზოოტიასთან

**ბაქო, 29 იანვ.** აზერბეიჯანის ცაკმა დაადგინა აკრძალული იქნას აზერბეიჯანის საზღვრებში ასტარიდან დაწყებული სომხეთამდე მსხვილფეხა საქონლის და დაკლულ საქონლის ხორცის გატარება სპარსეთის სანაპირო რაიონებიდან, სანამ ამ რაიონებში შესწყდებოდეს შავი ჭირის ეპიზოოტია.

#### ბამბის გასაწმენდი ქარხანა

**ბაქო, 29 იანვ.** ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტი ევლახში აშენებს ბამბის გასაწმენდ ქარხანას, რომლის ღირებულება უდრის 70.000 მანეთს.

1925 წლ. განმავლობაში გაიხსნ 112 სანიმუშო უბანი.

#### „აზერბეიჯანის ღვინის" საქმე

**ბაქო, 29 იანვ.** „აზერბეიჯანის ღვინის" საქმის გამოძიებიდან გამოირკვა, რომ ზარალი უდრის რამდენიმე ათეულ ათას მანეთს, პორტის და დაწესებულებათა დავალიანება 2 მილ. მანეთს აღემატება; ბევრია არახელსაყრელი ხელშეკრულება და გარიგება და აგრეთვე მიტაცებულია საბჭოთა მამულებში.

დაპატიმრებულებს წაყენებული აქვთ ბრალდება ძველი მუხლების ძალით, რომელნიც გულისხმობენ სასტიკ სასჯელს, თვით დახვრეტასაც.

# ეკონომიური ცხოვრება

## მრეწველობის მდგომარეობა 1925 წ. დეკემბერში

(საქართვ. სახგეგმო კომისიის კონიუნქტურული მიმოხილვიდან)

საანგარიშო თვეში მრეწველობის მთავარი დარგები საგრძნობლად გაიზარდნენ; ეს აიხსნება ერთის მხრივ მუშა-ხელის გადიდებით და მეორეს მხრივ სამუშაო საკალენდრო დღეთა რიცხვის გაზრდით.

### შავი-ქვის მრეწველობა

ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის საგრძნობლად გაზრდის გამო (30,5 პროც.) შავი-ქვის ამოღება 8,1 პროც. გაიზარდა წინა თვესთან შედარებით. სულ ამოღებულია 4,2 მილ. ფ. მადანი, რაც 136 პროც. სჭარბობს 1924 წ. დეკემბრის ამოღებას. რაც შეეხება შავი ქვის გარეცხვას —აქ უფრო მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს—(14,7 პროც.); 1924 წ. დეკემბერთან შედარებით შავი-ქვის გარეცხვა 61,4 პროც. გაიზარდა.

### ქვა-ნახშირის მრეწველობა

ქვა-ნახშირის თვიური ამოღება 6,8 პროც. გადაჭარბებით შესრულდა, წლიური პროგრამა კი 26,4 პროცენტით. ქვა-ნახშირის ამოღება 469,7 ათ. ფუთს უდრის. ნოემბერთან შედარებით 4,7 პროც. გაიზარდა, ხოლო წ. წ. დეკემბერთან შედარებით 33,6 პროც., ქვანახშირის რეალიზაცია წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 11,4 პროც., გასაღებული ქვა-ნახშირის ღირებულება ამოღების 94,2 პროც. შეადგენს, რაც მოწმობს ნორმალურ მიმდინარეობას.

### თამბაქოს მრეწველობა

საანგარიშო თვეში დამზადდა 119 მილ. ცალი პაპიროსი და 4,3 ათ. გირვ. თამბაქო, რაც შრომის ერთეულზე გადაყვანით 121,8 ათ. უდრის. წინა თვესთან შედარებით თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია 7 პროც. გაიზარდა, ხოლო წ.წ. დეკემბერთან შედარებით 128,2 პროც.

პაპიროსის წლიური საწარმოო გეგმა 97, 6 პროც. შესრულდა, ხოლო თამბაქოსათვის—5,6 პროც. გადაჭარბებით. ოქტომბერ-დეკემბერში წლიური საწარმოო გეგმა პაპიროსისა შესრულდა 23,7 პროც. ხოლო თამბაქოსი 27 პროც. საერთოდ გეგმის შესრულება ნორმალურად მიმდინარეობს.

### ტყავის მრეწველობა

ტყავის მრეწველობის დარგმა გამოიმუშავა 3987 მსხვილი და 2981 წვრილი ტყავი, რაც მსხვილ ტყავზე გადაყვანით 4.583 უდრის. ნოემბერთან შედარებით 3,3 პროც. არის შემცირებული პროდუქცია. წ. წ. დეკემბერთან შედარებით ტყავის მრეწველობის პროდუქცია 55,5 პროცენტით გაიზარდა. პროდუქციის რეალიზაცია ნორმალურად მიმდინარეობს—დეკემბერში გასაღებული ტყავეულობის ღირებულება 2 პროც სჭარბობს ამავე თვის პროდუქციას.

### საპნის მრეწველობა

საპნის ქარხნის მიერ დამუშავებულია 14 ათასი ფუთი სარეცხი და 989 თორმეტეული ხელის საპონი და 253 ფ. გლიცერინი 70,9 ათ. მან. ღირებულების (1913 წ. ფასებში) ე. ი., 4,7 პროც. მეტი, ვიდრე ნოემბერში. სარეცხი საპნის დამზადება 76 პროც. გაიზარდა დეკემბერთან შედარებით. საპნის ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია ნორმალურად მიმდინარეობს.

### ქუთაისის მაუდის ფაბრიკა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პროდუქცია უდრის 4,3 ათ. კილოგრ. ნართს, 4,6 ათ. მეტრ მოუთელავ შალს და 11,3 ათ. მეტრ მაუდს, რომლის საერთო ღირებულება 4,8 ათ. მან. შეადგენს. პროდუქციის რეალიზაცია საანგარიშო თვეში 152,1 პროც. გაიზარდა—დეკემბერში გასაღებული საქონლის ღირებულება 113,2 პროც. აღემატება ამავე თვის პროდუქციას.

## პურის შემოტანა ამიერ-კავკასიაში

ჩვენს თანამშრომელს პურის დამზადება-შემოტანის შესახებ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორაში აცნობეს შემდეგი:

— გასული წლის უკანასკნელ თვეებში პურის შემოტანაში ცოტაოდენ დაგვიანებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ სახელმწიფო ბანკის და „ხლებოპროდუქტის" მიერ მიღებულია სათანადო ზომები და მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება.

კერძოთ სახელმწიფო ბანკი, რომელსაც სურს მთლიანად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება პურის ფქვილზე, გარდა საკუთარი პროდუქტებისა, ჩრდილოეთ კავკასიის ბაზარზე ყიდულობს ფქვილს, განსაკუთრებით დაბალი ხარისხის პურის ფქვილს, რადგან ასეთ პურზე წელს მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა.

მესამე ხარისხის პურის მოთხოვნილების გადიდება აიხსნება იმით, რომ შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიის ბაზრის განსაკუთრებული პირობების წყალობით, ჩვენში არ ყოფილა შემოტანილი ხორბლის საკმარისი რაოდენობა და გლეხობა თავის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს მესამე ხარისხის ფქვილით.

გარდა ამისა, სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებული რაიონები, მესამე ხარისხის ფქვილის შედარებით სიიაფის გამო არ ეტანებიან მაღალ ხარისხის ფქვილს.

ამიტომ სახელმწიფო ბანკმა მიიღო სასწრაფო ზომები ჩრდილოეთ კავკასიიდან მესამე ხარისხის ფქვილის დიდი პარტიების მისაღებად. რამოდენიმე პარტია უკვე მიღებულია და გაიგზავნა ადგილებზე, დანარჩენი პარტიები დარიგდება მიღებისთანავე.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ქალაქებს, ისინი სავსებით დაკმაყოფილებული არიან. ფქვილის მიწოდება გრძელდება.

სახელმწიფო ბანკის განყოფილებების გახსნის შემდეგ პური პირდაპირ კოოპერატივებს ეგზავნებათ და ეს გარემოება ხელს უწყობს ზედნადებ ხარჯების შემცირებას.

ბამბის მთავარ სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო ბანკი აგზავნის ხორბალს უშუალოდ ბამბის მთავარ სამმართველოს სახელზე მებამბეობის რაიონებში.

სპეციალური დანიშნულების ხორბლის გადმოტვირთვა ადგილებზე გაძლიერებული ტემპით სწარმოებს და ეს ხელს შეუწყობს ბამბის დამზადების წარმატებით დამთავრებას.

## ელექტროფიკაცია

### აჭარისტანის ელექტროფიკაცია.

აჭარისტანი ელექტრო ენერგიით მეტად ღარიბია. ბათომის ელექტროსადგურები, რომელთა წლიური გამომუშავება არ აღემატება 2.200.000 კლტ., ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნილებას.

წინასწარი გამოანგარიშებით, ოთხი წლის შემდეგ აჭარისტანს დასჭირდება 13.700.000 კლტ. ელექტროენერგია. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეიძლება არსებული სადგურების საშუალებით. ამისათვის საჭირო იქნებოდა ძვირფას მანქანების შეძენა, რთული მოწყობილობა და დიდძალი საწვავი მასალა, ასე რომ წინასწარი გამოანგარიშებით კილოვატი დაჯდება 6,7 კაპ. ეს ისეთი ძვირი ენერგიაა, რომ ჭაობების ამოშრობა, კანალიზაცია და სხვა მრავალი შეუსრულებელი დარჩება.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ერთად-ერთი საშუალებაა თეთრი ნახშირის გამოყენება. ასეთი ნახშირით კი, ე. ი. წყალის ენერგიით აჭარისტანი მდიდარია.

აქ ჰიდრო-სადგურის აგების იდეა დიდი ხანია დაიბადა. ჯერ კიდევ 1910 წლის დაიწყო ყოროლის წყალის გამოკვლევა, მაგრამ ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგების იდეა მხოლოდ დღეს ხორციელდება.

უპირატესობა მიეცა აჭარის-წყალს, რადგან ეს მდინარე არ არის დამოკიდებული მარტო შემთხვევით შენართავებზე, არამედ მდინარე იწყება თოვლიან მთებში; თოვლის დნობა მდინარეს წყალის მარაგს არ აკლებს.

აჭარის - წყალის ჰიდრო - ელექტრო სადგურის აგება დაიწყო 1924 წლის 15 ივლისიდან. ამ ხნის განმავლობაში დახარჯულია 772.871 მანეთი; აქედან 600.000 მანეთი მიღებულია ცენტრიდან, დანარჩენი ადგილობრივ საშუალებებიდან.

ამჟამად უკვე ამოძრავებულია დროებითი ელექტრო - სადგური (210 ცხ. ძალის) მდ. მახუნცეთზე, მოწყობილია აღმშენებლობისათვის საჭირო შენობები, სახელოსნოები, საწყობები და სხვა.

მთავარი სამუშაოა გვირაბის გაყვანა და კარშხალის აგება. გვირაბის გათხრა დაწყებულია. უკვე გაკეთებულია 83 კუბ. საჟ.

პირველ ხანებში სადგურის სიძლიერე იქნება 5.000 ცხ. ძალა, რომელიც გადიდებული იქნება თანდათანობით და 1930 წლისათვის მიაღწევს 11.000 ცხ. ძალას.

აჭარის - წყლის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ენერგია განათების და სამრეწველო მიზნების გარდა გამოყენებული იქნება კანალიზაციის გასაყვანათ, ჭაობების ამოსაშრობათ, ტრამვაის გასაყვანათ და სხვა.

## სამთო-ქიმიური მრეწველობა

### ლიტოგ. ქვა ალბულაღის რაიონში

საქ. ს. მ. უ. საბჭოს სამთო განყოფილებამ დაასრულა ლიტოგრაფიული ქვის მადნების გამოკვლევა ალბულაღის რაიონში, სადაც აღმოჩენილი იქნა ლიტოგრაფიული ქვის დიდი მარაგი. იმ ადგილების არე, სადაც მადნები უდრის 4 კილომეტრს და ქვას მიწის სიღრმეში ძევს 200 მეტრის სისქეზე, აღმოჩენილი ქვის ნიმუშები რამოდენიმეჯერ შემოწმებული და გასინჯული იქნა ლაბორატორიებში, რამაც დაამტკიცა ქვის უტყუარი ღირსება.

ცდებმა დაამტკიცეს, რომ ალბულაღის ლიტოგრაფიულ ქვაზე შესაძლებელია ამოღებულ იქნეს 10 ათასზე მეტი ანაბეჭდი. ამავე დროს ალბულაღის ლიტოგრაფიული ქვა მშვენივრად ითვისებს ლიტოგრაფიულ საღებავებს.

სპეციალისტების დასკვნით, ალბულაღის მადნებს თავისი ღირსებით შეედრება მხოლოდ ზოგილოვენის (გერმანია) ლიტოგრ. ქვა, რომლის მარაგი წარმოებულ ექსპლოატაციის გამო თანდათან მცირდება.

სპეციალისტთა მოსაზრებით, ალბულაღის ლიტოგრაფ. ქვა, თუ შესაფერისად იქნა დაწყებული მისი ექსპლოატაცია, ადვილად და სწრაფად მოიპოვებს ბაზარს არა მარტო საბჭოთა კავშირის ბაზარზე, სადაც მას კონკურენტი არ ჰყავს, არამედ საზღვარგარეთაც.

### გეოლოგიური ინსტიტუტი

უკვე მოეწყო და ამ მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მადნების გეოგრაფიულ და გეოლოგიურ გამოკვლევას და აგრეთვე სპეციალისტების მომზადებას ამ დარგში სამუშაოდ. ვინაიდან გეოლოგიური ინსტიტუტი დაარსდა საბიუჯეტო თანხების განაწილების შემდეგ ინსტიტუტის არსებით დაინტერესებულმა დაწესებულებებმა,—შავი ქვის სამმართველომ და ს. მ. უ. ს. სამთო ქიმიურმა კომბინატმა და სატყეო ტრესტმა გაიღეს 19 ათასი მანეთი, რომელიც მოხმარდება საორგანიზაციო ხარჯებს.

# კოოპერაცია

## წარმოკავშირში

### ამხ-ბა „რუისი"-ს გამოკვლევა.

წარმოკავშირმა მოახდინა მის სისტემაში შემავალი სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბის „რუისი"-ს მუშაობის გამოკვლევა, რომელიც შეეხო, უმთავრესად, ხილის და კომბოსტოს დამზადების ოპერაციებს.

ხილი წელს დაუმზადებია ამხ-ბას თავის წევრთა შორის 1291 ფუთი, რომლის ღირებულება უდრის 1348 მანეთს; ხილის აღნიშნული რაოდენობა მთლიანად გადაბარებული აქვს წარმოკავშირის გორის პუნქტს.

დამზადებულ და ჩაბარებულ ხილში ამხანაგობას მთლიანად აქვს გასწორებული ანგარიში გორის პუნქტიდან. თავის მხრივ ამხ-ბამ უკლებლივ დააკმაყოფილა ყველა წევრები-მეხილეები.

კომბოსტოს დამზადების ოპერაციებს ამხანაგობა ასრულებდა წარმოკავშირის გამსაღებელ პუნქტის დავალებით. ამ დამზადების ანგარიშში ამხანაგობას მიღებული აქვს 800 მანეთი წარმოკავშირის პუნქტიდან, იმ პირობით, რომ ამხანაგობას ერთი თვის ვადაში ჩაებარებია გამსაღებელ პუნქტისათვის 6 [illegible] კომბოსტო.

ამხანაგობას სულ ჩაბარებული აქვს 1331 ფ. კომბოსტო, რაც ხელშეკრულების თანახმად გადაგზავნილია ბაქოს და თბილისის ბაზრებზე. გადაგზავნილი კომბოსტოს ღირებულება უდრის 692 მანეთს. ამრიგად, ამხანაგობამ არ შეასრულა ხელშეკრულება და ვერც გაამართლა წაღებული ავანსები (ამხანაგობაზე დარჩა გაუნაღდებელი 107 მანეთი).

წარმოკავშირის მიერ მიღებულია სათანადო ზომები, რომ ამხანაგობამ გაანაღდოს ავანსი ან პროდუქტებით ანდა დაუბრუნოს ფულად შესაფერი პროცენტის დართვით.

ამხანაგობას წელს სხვა არავითარი ოპერაცია არ უწარმოებია: მას არ აქვს თავისი თანხები, საპაიო თანხა მეტად მცირეა.

ანგარიშწარმოება ამხანაგობაში მეტად არეულია. კომბოსტოს დამზადების ოპერაცია არ არის გატარებული წიგნებში, რასაც გამგეობა და მოანგარიშე ხსნიან „ტეხნიკური" მოუხერხებლობით; მიღებულია ზომები, რომ ოპერაცია დაწვრილებით იქნეს შეტანილი წიგნებში.

# ინჟენერი ი. ანდრონიკაშვილი

(მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს გამო).

ა. წ. 7 თებერვალს ინჟენერთა და ტეხნიკოსთა სექციის ბიუროს განზრახული აქვს გაუმართოს საიუბილეო ზეიმი ერთ-ერთ თავის წევრს, სახელდობრ ინჟ. ანდრონიკაშვილს, რომელსაც უსრულდება სპეციალურ საზოგადო მოღვაწეობის 45 წელიწადი.

ამ 45 წლის მანძილზე ინჟ. ი. ანდრონიკაშვილი დაუღალავ მუშაობას ეწევა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისათვის.

საქართველოს სხვადასხვა ადგილებში გზატკეცილების გაყვანა, შეკეთება, ამ დარგში მუშაობის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა; მას მიახმარა მან თავისი სპეციალური ცოდნა და ენერგია.

გაიხსენეთ კახ. რკ. გზ. გაყვანის ისტორია; ამ საქმის ერთი ინიციატორთაგანი იყო ინჟ. ი. ანდრონიკაშვილი. მან დაიმუშავა ამ გზის მიმართულება და გაატარა ფინანსთა სამინისტროს რკინისგზის დეპარტამენტში. მისი იდეია განხორციელებულია. ბევრი სხვა ამგვარი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს იუბილიარს თავის სპეციალ სფეროში.

თუმცა თავის მუშაობის უმეტესი დრო ინჟ. ი. ანდრონიკაშვილმა გაატარა გზათა სააღმშენებლო დარგში, იგი ამავე დროს ეწევა საზოგადო მოღვაწეობას.

მხურვალე მონაწილეობას იღებს იგი საქართველოში მუსიკალურ სასწავლებლის შექმნაში( ამჟამათ სახელმწიფო კონსერვატორიაში), ქართულ ფილარმ. [illegible] დაარსებაში და მის გაძლიერებაში.

[illegible] ქართული კლუბი [illegible] ტარებელი დაწესებულება იყო, არამედ წარმოადგენდა ერთგვარ კულტურულ ცენტრსაც. ჰკრეფდა მდიდარ წიგნსაცავს, უწევდა ფინანსიურ დახმარებას სტუდენტებს, აწყობდა სიმფონიურ კონცერტებს, ლექციებს და სხვას. ამ კლუბის დასაწყისში ჩვენი იუბილიარი მამასახლისთა თავმჯდომარის თანამდებობაზე იმყოფება და კლუბის მუშაობას თავმჯდომარის უნარი და ელფერი ეტყობოდა.

ინჟ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებს მრავალგვარ სამეცნიერო და საზოგადო დაწესებულებების მუშაობაში და ყველგან ჩვეულებრივი ინიციატივა და სიცოცხლე შეაქვს.

უკანასკნელ წელში მისი ხელმძღვანელობით გადმოითარგმნა საგაკვეთილო დებულება.

მრავალმხრივი და მდიდარია ინჟ. ი. ანდრონიკაშვილის 45 წლის საზოგადო ასპარეზზე მუშაობა და ამიტომ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციის ბიურო დარწმუნებულია, რომ თბილისის საზოგადოება სათანადო ყურადღებით და პატივისცემით შეხვდება ინჟ. ანდრონიკაშვილის 45 წლის იუბილეს.

ზ. ი. მარქაროვი.

# საბინაო კოოპერაცია

სახელმწიფო და პროფესიონალური ორგანოების დახმარებით და აგრეთვე მასსების თვითმოქმედებით საბინაო კოოპერაცია მნიშვნელოვან ორგანიზაციად გადაიქცა საქართველოს კოოპერატიულ სისტემაში.

საბინაო კოოპერაციის არსებობას აქვს მხოლოდ სამი წლის ისტორია.

ამ ხნის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა კოოპერატიულ მშენებლობას და სწარმოებდა საბინაო-სამშენებლო ამხანაგობათა მოწყობა. 1926 წლის პირველი იანვრისათვის „ცენტრომშენი" უკვე აერთიანებდა 22 საბინაო-სამშენებლო ამხანაგობას, 12-ს—თბილისში და 10 ამხანაგობას პროვინციაში.

ამხანაგობათა საკუთარი და საპაიო თანხების ჯამი უდრის 76.678 მანეთს ხოლო წევრთა რაოდენობა 970-ს. „ცენტრომშენ"-ში შემავალ ამხანაგობათა მიერ უკვე აგებულია 60 ბინა, რომელშიდაც ამ ჟამად სცხოვრობენ ამხანაგობათა წევრები; ამ ჟამად შენების პროცესში იმყოფება 26 ბინა.

გასული წლის დამდეგს საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერაციას, რომელსაც აქვს ნორმალური კოოპერატიული წესდება. საბინაო-საიჯარო კოოპერატივთა რიცხვი ამჟამად 200-მდე აღწევს.

უკანასკნელ თვემდე საიჯარო-საბინაო კოოპერატივებს არ ქონიათ ერთი ხელმძღვანელი ცენტრი.

მხოლოდ 12 იანვარს შესდგა საბინაო კოოპერაციის ცენტრის—კავშირის დამფუძნებელთა კრება, სადაც გამოცხადდა 4 საბინაო-საამშენებლო და 3 საბინაო-საიჯარო ამხანაგობის წარმომადგენელნი—სულ 19 კაცი.

დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ აღიარა ერთი გაერთიანებულ ცენტრის არსებობის უცილებლობა, მიიღო ცენტრ. კავშირის ნორმალური წესდება, რომელიც დასამტკიცებლად და აღრიცხვაში გასატარებლად გადაეგზავნა ეკონომიურ საბჭოს. გარდა ამისა დამფუძნებელ წევრებისაგან გამოყოფილ იქნა გამგეობა, საბჭო და სარევიზიო კომისია.

ახალი საბინაო კავშირის მიზანია მუშაობის წარმოება, როგორც საამშენებლო, ისე საიჯარო-საბინაო კოოპერაციის დარგში.

1926 წლისათვის შემუშავებულ პროგრამაში შედის—100 ბინის აგება. ეს გეგმა ემყარება ადგილობრივი დაწესებულებიდან მიღებულ სესხს (300ათასს მანეთს) და ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან სესხის სახით მოცემულ თანხებს (200—300 ათასს მანეთს). აღმშენებლობასთან ერთად იწარმოებს სარემონტო მუშაობაც უკვე არსებული საბინაო არეს აღდგენის და გაფართოების მიზნით.

საბინაო კოოპერატივთა კავშირის ტეხნიკურ მუშაობასთან ერთად კისრულობს კულტურულ - ორგანიზაციულ ხასიათის მუშაობასაც, რომელიც მიმართულ იქნება საკუთარი თანხის დაგროვების საშუალებით ამხანაგობათა ფინანსიურ გაძლიერებისაკენ.

# სასოფლო მეურნეობა

## თესლი მინდვრების დასათესად.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ჯიშიანი ბალახების თესვის შემოსაღებად და გასავითარებლად, სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 1926 წლის საკრედიტო გეგმაში შეიტანა თანხა 90.625 მანეთის რაოდენობით, რომელიც მოხმარდება საუკეთესო ჯიშის ბალახების თესლის შეძენას სათიბ მინდვრების დასათესად. 395 ფუთი სამყური ბალახის შესაძენად გადადებულია 474.000 მანეთი. 325 ფუთი იონჯისათვის—6.500 მანეთი, რუსული ჯიშის ბალახი „ტიმოფეევკა"-სთვის 803 მანეთი; 5.255 ფუთ უცხო ჯიშის ბალახის „ესპარცეტი"-სთვის 25.272 მანეთი, 380 ფუთ „რაიგროსს"-ისთვის—10.640 მანეთი.

## ვაზის მყნობის კურსები.

კონდოლსა და წინანდალში გაიხსნა ვაზის მყნობის შესასწავლი კურსები ადგილობრივი გლეხებისათვის; ასეთივე კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობენ სახალხო მამულების სპეციალისტ - აგრონომები, გაიხსნება კიდევ თელავის მაზრის 7 თემში.

კურსების მიზანია მოამზადოს გაზაფხულის სეზონისათვის გამოცდილი დამმყნელნი. რომელთა ნაკლებობა ამჟამად დიდათ საგრძნობია. დამმყნელთა საჭირო კადრის მომზადების შემდეგ დაუბრკოლებლად იწარმოებს სათბურების მუშაობა. თელავის მაზრის სახალხო მამულების მეურნეობათ გაზაფხულისათვის განზრახვა აქვთ რიხტერის წესით დაამზადონ სამი მილიონი ნამყენი ვაზი.

## ღვინის დამზადება

გასული წლის განმავლობაში საქართველოში მოვიდა 6.000.000 ვედროზე მეტი ღვინო. აქედან შინაურ ბაზარზე გასაღდა ერთნახევარი მილიონი ვედრო.

ღვინოს გლეხებისაგან ყიდულობენ შემდეგი ორგანიზაციები: წარმოკავშირი, სახალხო მამულების ტრესტი, სახელმწიფო სპირტის სამმართველო და ცეკავშირი; სულ ყველა ამ ორგანიზაციებს განზრახული აქვთ შეისყიდონ 1.500.000 ვედრო ღვინო, რომლის ღირებულება უდრის 3.750.000 მანეთს, მაგრამ ფასების აწევის გამო ღვინის საერთო ღირებულებაც მეტი იქნება.

საქართველოს მეღვინეთა კავშირმა ღვინის შემსყიდველ ორგანიზაციებს ღვინოების შესაძენათ დაურიგა თანხები. ეს თანხები განაწილებულია შემდეგნაირად:

ამხანაგობა „დიმს" მიეცა—10.000 მანეთი, „ბაღდადს"—8.000, „ხვანჭკარას"—3.000, „კავშირით - კავშირს"—44.000, „კახეთს"—35.000 და „წინანდალს"—18.000 მანეთი.

სულ საქართველოს მეღვინეთა კავშირმა სხვადასხვა ორგანიზაციებს გაუნაწილა 131.000 მანეთი.

ამას გარდა, მეღვინეთა კავშირი საზღვარგარეთიდან იწერს 20.000 ფუთ გოგირდს და ამდენივე შაბიამანს მეღვინეთა შორის გასანაწილებლად ღვინის ფასის ანგარიშში.

მეღვინეთა კავშირის გარდა, სესხი დაარიგა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა: ვარციხის სახალხო მამულს მიეცა 35.000 მანეთი და ამხ-ბა „იმერეთს"—[illegible] იმ პირობით, რომ ორივე ორგანიზაციამ მხოლოდ გლეხებისაგან შეისყიდიან ღვინო ყოველგვარი შუამავლების გარეშე.

კონიაკის სახელ ქარხანა „კოლხიდა"-ს ბანკმა სესხად მისცა 100.000 მანეთი წარმოების გასაფართოებლად და უმაღლესი ხარისხის კონიაკის დასამზადებლად.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ მოსკოვში გასასყიდათ გაგზავნა 2 ვაგონი კახური ღვინო და ერთი ვაგონი როსტოვში. ქუთაისიდან მოსკოვში გაიგზავნა 15.000 ვედრო.

საპაიო ამხანაგობის ქუთაისის განყოფილებამ ჯერჯერობით შეიძინა 30.000 ვედროზე მეტი.

საპაიო ამხანაგობამ 1925 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაამზადა 300.000 და დასავლეთ საქართველოში 200.000 გრადუსი სპირტი. ცეკავშირი საბჭოთა კავშირის ბაზარზე გასასაღებლად ამზადებს ნახევარ მილიონ გრადუს სპირტს.

# სასოფლო-სამეურნეო ბანკში

## რამდენი კრედიტი დარიგდა 1925 წელში

1925 წლის განმავლობაში ბანკმა კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს მიზნობრივი კრედიტის სახით მისცა 3.000.000 მანეთი. სულ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის გასული წლის განმავლობაში ბანკმა სესხად გასცა 4.300.000 მანეთი.

საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის უმთავრეს ამოცანას შეადგენს საკრედიტო ამხანაგობების დაარსება ადგილებზე, რომელთა საშუალებითაც გლეხი უფრო ადვილად ახერხებს სესხის მიღებას სახელმწიფოსაგან.

ბანკმა მოაწყო 122 საკრედიტო ამხანაგობა, რომელთაც მიეცათ 438.000 მანეთის გრძელვადიანი და 1.435.000 მანეთის მიზნობრივი სესხი.

საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით ბანკმა გლეხებს მისცა ნისიათ 30.000 ფუთი შაბიამანი და 15.000 ფუთი გოგირდი.

ამას გარდა გლეხებმა ნისიათ მიიღეს 220.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები.

ამასთანავე ზოგიერთ რაიონების მოსახლეობას ნისიათ მიეცა 97.000 მანეთის თივა.

მიმდინარე წელში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობის საშუალებით საზღვარგარეთიდან მიიღებს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების (გუთნები, ტრაქტორები და სხვა) პარტიას, რომელიც აგრეთვე მიეცემა საკრედიტო ამხანაგობებს გლეხებზე გადასაცემად.

---

**სამშაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 6 საათ. შესდგება**

**საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი**

**სხდომა**

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

ცაკის მდივანი ს. თოდრია

# პარტიული ცხოვრება

## კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მე-4 კონფერენცია.

### პირველი დღე

იანვრის 29, საღამოს 5 ს. 30 წუთზე გაიხსნა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მე 4-ე პარტკონფერენცია. სხდომას ხსნის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი; თავის მოკლე სიტყვაში იგი ეხება იმ ამოცანებს, რომლებიც დგანან კონფერენციის წინაშე.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს არმიის სარდალი ამხ ლევანდოვსკი. შემდეგ მოხსენებისათვის, „პარტიის მე-14-ე ყრილობის შედეგები“, სიტყვა ეძლევა ამხ. სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც კონფერენცია ხვდება ხანგრძლივი ტაშით.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა გადაიდო მეორე დღისათვის.

## საჭიროა ანგარიშის მოთხოვა

უდავოა, რომ კომუჯრედების ბევრი დადგენილებები და ღონისძიებები ცხოვრებაში არ ტარდება. ეს დადგენილებები მხოლოდ ოქმში იწერება და საქმე ამით თავდება. უჯრედი ან მისი ბიურო არ ადევნებს თვალყურს, არ აქცევს ყურადღებას მათი ცხოვრებაში გატარებას. არ თხოულობს ამა თუ იმ კომისიისაგან, ამხანაგისაგან—აბა, რა გააკეთე შენ, ამა და ამ დარგში უჯრედმა რომ საქმე მოგანდოო.

დადგენილებები კი უჯრედებს ხშირათ უსათუოდ პასუხსაგები გამოაქვთ, და უსათუოდ მნიშვნელობის მქონეც არიან. ჩვენს უჯრედებში კეთდება მოხსენებები დაწესებულების ან წარმოების მუშაობის შესახებ, გამოაქვთ დადგენილება ამ მუშაობის ნაკლულევანებათა გამოსასწორებლათ, მაგრამ დადგენილება დადგენილებათ რჩება და დაწესებულება კი ძველებურათ განაგრძობს მუშაობას; ნაკლი გამოუსწორებელი რჩება.

ქალაქში ამ მხრივ უკეთესია საქმე; რაც შეეხება სოფელს აქ ძვირათ შეხვდებით, რომ უჯრედის დადგენილებამ ხორცი შეისხას.

ასეთ მდგომარეობას ბევრმა უჯრედმა მიაქცია ყურადღება და შემოღებულ იქნა კანტროლის გაწევა, თუ რა გაკეთდა ამა თუ იმ მიღებულ რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებისთვის.

კომისია, ცალკე ამხანაგი თუ უჯრედის ბიურო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამა თუ იმ დადგენილების გატარება, მოხსენებას უკეთებს კრებას—როგორ შესრულა მან უჯრედის დავალება. ამას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. უჯრედი და მისი ბიურო მეტ ყურადღებას მიაქცევს დადგენილების გატარებას.

გარდა ამისა უჯრედებს გამოყოფილი ჰყავთ სხვადასხვა კომისიები, როგორიცაა აგიტ-პროპ. კომისია, ორგკოლეგია, საშეფო კომისია; წამოყენებული ჰყავს ამხანაგები კომკავშირში და ქალთა შორის მუშაობისათვის.

ამ კომისიებს პასუხსაგები დავალებები აქვთ. ეს კომისიები და ცალკე გამოყოფილი ამხანაგები ხშირათ რამდენიმე თვეების განმავლობაში მუშაობენ ისე, რომ ანგარიშს არავის არ აბარებენ; არავინ იცის რას აკეთებს საშეფო კომისია, ან როგორ ტარდება კომკავშირზე ხელმძღვანელობა, როგორაა დაყენებული ქალთა შორის მუშაობა.

ერთ-ერთი უჯრედის მიერ გამოყოფილი ამხანაგი კომკავშირში სამუშაოთ არც კი გაკარებია კომკავშირის უჯრედს, რაც ორი-სამი თვის შემდეგ გამოირკვა. ასეთ ამბებს ბევრს სხვა უჯრედშიც ექნება ადგილი. ამიტომ, როგორც ვსთქვით, უსათუოდ უნდა შემოვიღოთ, რომ ამ კომისიებმა და ამხანაგებმა სისტემატიურათ აკეთონ მოხსენებები ბიუროებსა და უჯრედებში.

უჯრედმა უნდა იცოდეს რა კეთდება ამა თუ იმ დარგში, და ამისდამიხედვით თავთავის დროზე იღებდეს ზომებს შემჩნეულ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლათ. თვითოეული პარტიის წევრი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ უჯრედის მიერ გამოტანილი დადგენილებები ცხოვრებაში ტარდება, და არა მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

## ადგილობრივ ორგანიზაციებში

### დავალება სრულდება

(დ. კულაში, ქუთაისის მაზრა)

კულაშის თემში არსებობს ერთი კომუჯრედი, რომელშიაც ირიცხება 20 წევრი და კანდიდატი; მათში ორი ქალია.

უჯრედის კრებები იმართება ორ კვირაში ერთხელ. კრებაზე დაუსწრებლობის შემთხვევა იშვიათია. გარდა დახურული კრებებისა, თვეში ერთხელ ხდება უჯრედის ღია კრებები, სადაც მოხსენებები კეთდება სოფლის სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე, როგორიც არის: კოოპერაცია, სარწყავი არხის გაყვანა, წყლის განაწილება, გლეხკომის მუშაობა, სოფლის გზების შეკეთება, სამკითხველოების მოწყობა და სხვა. ყოველივე ამ საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უპარტიო გლეხებიც. ამით პარტიულ ამხანაგებსა და უპარტიო გლეხებს შორის მჭიდრო კავშირი მყარდება.

უნდა ითქვას, რომ, უჯრედის წევრების მუშაობა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაცხოველდა, რაც გამოიხატება წევრებზე დავალებული საქმეების სათანადოთ შესრულებაში. თუ წინათ საწევრო გადასახადის აკრეფა გვიანდებოდა, დღეს პარტიული გადასახადი თავის დროზე შეაქვთ წევრებს.

რამდენიმე ხნის წინად უჯრედთან დაარსებული იქნა მოძრავი პარტიული სკოლა, სადაც ჩაწერილი არის და მეცადინეობენ უჯრედის წევრები. სკოლის მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

ჩ.

## საგარეჯოს პოლიტსკოლა

(გარე-კახეთი)

უკვე ერთი თვეა თითქმის, რაც საგარეჯოში დაარსდა პარტსკოლა, რომელზედაც მრავლად დაიარებიან როგორც პარტიულნი, აგრეთვე უპარტიონი, ქალი და ვაჟი. ლექციები იკითხება მდაბიო ენაზე და გაცხოველებულ კითხვებს და კამათს იწვევს.

გ. ზარსიაშვილი.

## დავაარსეთ უჯრედი

(ლეხაურის თემი, გურია)

დღევანდლამდე უნდა ითქვას მართალი, რომ აქ პარტიული მუშაობა ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

შვიდი რვა თვის წინად აქ იყვნენ ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის წევრები, რომლებმაც მოაგვარეს ჩვენს თემში პარტიული მუშაობის საქმე.

ამის შემდეგ ოზურგეთის რაიკომის განკარგულებით აქ ჩამოყალიბდა კომუჯრედი, რომელშიაც შედის ხუთი წევრი და თორმეტი კანდიდატი.

ახლა პარტიული მუშაობა შედარებით კარგადაა დაყენებული. იმართება მორიგი კრებები ყოველ კვირაობით. იშვიათი შემთხვევაა, რომ ჩვიდმეტ ამხანაგში ორი ან სამი დააკლდეს; დაცულია სრული პარტიული დისციპლინა. კრებებზე შუქდება სხვადასხვა საკითხები როგორც პარტიული, აგრეთვე ადგილობრივი საჭირბოროტო კითხვები.

გასულ დეკემბერში აქ იყო გურკომის წარმომადგენელი, რომელმაც მოხსენება გააკეთა იმაზე თუ რა მიმართულებით უნდა აწარმოოს მუშაობა უჯრედმა: თემის საბჭოს მიმართ, კომკავშირისა, ქალთა დელეგატებისა და სხვა.

თემის კომკავშირში ითვლება სამოცდაათამდე წევრი. ამ უკანასკნელ ხანში არსებობს პოლიტწრე, რომელშიც მეცადინეობა თავთავის დროზე მიდის.

## ქალთა შორის

### დელეგატ-ქალთა საქმიანობა

(კულაში, ქუთაისის მაზრა)

ერთი წელია მას შემდეგ, რაც ჩვენს თემში დელეგატ-ქალთა ორგანიზაცია დაარსდა.

თავიდან წრეში 60 წევრი შედიოდა. შემდეგ მუშაობაში გამოირკვა, რომ ზოგიერთი წევრები საქმეს გულგრილად ეკიდებოდენ, და ამიტომ ასეთი პიროვნებები გაძევებულ იქნენ ორგანიზაციიდან. ამან ხელი შეუწყო ორგანიზაციის გაჯანსაღებას. დღეს დელეგატ-ქალთა ორგანიზაცია თვალსაჩინო მუშაობას აწარმოებს. ამჟამად ორგანიზაციაში 40 წევრი ითვლება; აქ შედიან გლეხი-ქალები და სოფლის მასწავლებელი ქალები. ყოველ კვირაში იმართება დელეგატ-ქალთა კრება; წევრები იშვიათად აკლდებიან კრებებს. კრებებს ყოველ თვის ესწრება კომუჯრედის მიერ მიმაგრებული ამხანაგი, რომელიც ხელმძღვანელობს კრებებს და მოხსენებებსაც აკეთებს სხვადასხვა საკითხებზე. დელეგატ-ქალთა თაოსნობით თემის ცენტრში გაიხსნა სამკერვალო, რომლის სახელმძღვანელოთ დაქირავებულია მცოდნე პირი. მოწყობილი აქვთ აგრეთვე ლენინის კუთხე, სამკითხველო. საერთოდ ქალთა ორგანიზაციის მუშაობა ჩვენს თემში დამაკმაყოფილებელია.

ჩხენიშელი კაკო.

## ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

### როგორ ჩავატარეთ ანტირელიგიური კამპანია

(სოფ. საწირე, ქუთაისის მაზრა)

7 იანვარ (ძველი სტილით 25 დეკემბერს), ეგრედწოდებულ შობადღეს თავი მოიყარეს კომკავშირელებმა და მათთან ერთად მრავალმა უპარტიო ახალგაზრდობამ. კომკავშირის შობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომკავშირის უჯრედის მდივანმა. მან აღნიშნა, თუ როგორ უნდა ებრძოლდეს კომკავშირი სარწმუნოებრივ სიბნელეს.

თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ცქიფურიშვილი, რომელმაც გააშუქა საკითხი—არსებობდა თუ არა იესო ქრისტეო. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იესო ქრისტეს მოციქულების მიერ დაწერილ სახარებას და მოიყვანა მეცნიერული თვალსაზრისით ბევრი მაგალითები, რომ იესო ქრისტე ნამდვილათ არ არსებობდა. ამხ. მომხსენებელმა მუქთა-ხორების ბევრი უარყოფითი მხარეები დაახასიათა, რის გამოც კრებაზე დამსწრე ახალგაზრდობა სიცილით თავს ველარ იკავებდა. მომხსენებელს ბევრი შეკითხვები მისცეს, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

საწირელი.

## კომ-კავშირის ბანკის უჯრედში

ბანკის უჯრედი აერთიანებს 15 წევრს. ჰყავს გამოყოფილი ბიურო. ოქტომბრის თვეში მოხდა ბიუროს გადარჩევა, რის შემდეგ ეტყობა უჯრედს გეგმიანი მუშაობა. კრება ხდება სისტემატიურად, ისმება და შუქდება საქმიანი საკითხები, როგორიც არის ადგილობრივი კოოპერაციის მდგომარეობა, გლეხობის, ალმასკომის და სხვადასხვა, რომელ საკითხებზედაც ბიუროს დავალებით აკეთებენ მოხსენებას თვითეული დაწესებულების გამგეები. აგრეთვე უპირველეს ყურადღებას აქცევს უჯრედი შეგირდ-ნოქართა შორის მუშაობას. ამასთან დაკავშირებით უჯრედი ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი ბ. ქ. ჯგუფის კოლექტივებს. აქვს პარტიის უჯრედთან მჭიდრო კავშირი. ამ უკანასკნელ ხანებში დაარსდა პოლიტ-კითხვათა ჯგუფი, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად. აღსანიშნავია ისიც, რომ უჯრედმა პირველ რიგში დასვა მოჯამაგირეთა შორის მუშაობა.

მ. გვასალია.

## ქართველ მუსლიმანთა დამხმარე საზოგადოება

[illegible] წელში, საქართველოში სეიფულა იოსელიანის სპარსეთიდან ჩამოსვლის დროს, დაიბადა ქართველ მუს. კულტურული დახმარების საზოგადოების დაარსების აზრი. საზოგადოების შესაქმნელად წინასწარი მუშაობის ჩატარება იკისრა მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა, ამხ. დ. კანდელაკის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეადგინა წესდების პროექტი. წესდება წარედგინა მთავრობას და ამავე წლის 2 თებერვალს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ იქნა.

1924 წ. 9 მარტს საერთო კრებაზე, არჩეული იქნა გამგეობა და პრეზიდიუმი ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

საზოგადოება მიზნად ისახავს ქართველ მუსლიმანთა ისტორიის თანამედროვე მდგომარეობის მეცნიერულად შესწავლას და აგრეთვე ქართველ მუსლიმანებისათვის კულტურული და ნივთიერი დახმარების აღმოჩენას, როგორც საქართველოს საზღვრებში, ისე საზღვარგარეთ—სპარსეთსა და ოსმალეთში.

ამ მიზნით საზოგადოებას გამომუშავებული აქვს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებებისა.

აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ საზოგადოება აწყობს და აგზავნის ქართველ მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში სამეცნიერო კომისიებს მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. აშუქებს პრესაში მათ თანამედროვე მდგომარეობას და ისტორიულ წარსულს, აარსებს სპეციალურ ორგანოს მუსულმან - ქართველების კულტურულ საჭიროებებისათვის შესასწავლად, ნიშნავს პრემიებს საუკეთესო თხზულებებისათვის, რომელიც გაარკვევს ქართველ-მუსლიმანთა ისტორიულ და თანამედროვე ცხოვრებას, ზრუნავს მათ შორის სწავლა-განათლებისა და საერთოდ კულტურის შეტანაზე. უწევს ღარიბებს ერთდროულ და მუდმივ ნივთიერ დახმარებას, ნიშნავს სტიპენდიებს მაჰმადიან-ქართველ ნიჭიერ ბავშვთათვის. აწყობს საექიმო და იურიდიულ დახმარების ორგანიზაციებს, ხელს უწყობს ლტოლვილთა და აყრილების დაბინავებას და დასახლებას და სხვა.

პირველ ხანებში საზოგადოებამ თავის მზრუნველობის გარეშე დასტოვა ე. წ. სამუსულმანო საქართველო: აჭარა და მესხეთ-ჯავახეთი, რადგან ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება დიდ აღმშენებლობითი და კულტურულ მუშაობას აწარმოებს იქ. უმთავრესი ყურადღება ექცეოდა სპარსეთში, ფერეიდანელ ქართველებისათვის კულტურული დახმარების გაწევას.

ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა გატარებას საზოგადოება უკვე შეუდგა და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქნა: საზოგადოებამ სპარსეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი იქაურ მდგომარეობის გასაცნობად.

27 იანვარს ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შემდგარ საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის მოსმენილ იქნა სპარსეთიდან ახლახან დაბრუნებული წარმომადგენლის მოხსენება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საქართველოში „ქართველ მუსლიმანთა კულტურულად დამხმარე“ საზოგადოების დაარსებას დიდი სიხარული გამოუწვევია სპარსელ ქართველებში და იქ მყოფ ქართველ მოქალაქეთა შორის. ამ საქმეს თანაგრძნობით ხვდება აგრეთვე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. იურენევი და აგრეთვე სპარსეთის ხელისუფლებაც,—იგი მოჰხრეა, რომ ქართველ ხალხმა ძმური-კულტურული დახმარება გაუწიოს ფერეიდანელ ქართველებს.

კონკრეტულად, თუ რაში უნდა გამოიხატოს საზოგადოების მუშაობა კულტურული დახმარების სფეროში, როგორც მოხსენებიდან სჩანს, ამას დაგვანახვებს მომავალი, მხოლოდ პირველ ხანებში შესაძლებელია ქართული ბელეტრისტიული ნაწარმოებების და სახელმძღვანელოების მიწოდება და უახლოეს დროში სამეცნიერო მიზნით სპეციალური კომისიის გაგზავნა ქართველების შესახებ იქ ისტორიული ცნობების შესასწავლად. ამ მიზნით საზოგადოებას განზრახვა აქვს შეუთანხმდეს აკადემიკოს ნიკო მარის შვილს, რომელიც ამ ჟამად სამეცნიერო გამოკვლევებზე მუშაობს ფერეიდანში.

სპარსეთიდან დაბრუნებულმა პირმა თან ჩამოიტანა ფერეიდანელ ქართველების სურათები და სპარსეთში არსებულ რუსეთ-სპარსეთის ბანკის თანამშრომლის მოქ. ჭელიძის წერილები—ფერეიდანელ ქართველების და სპარსეთის ცხოვრებიდან. წერილები შეეხება: მუშისა და გლეხის მდგომარეობას სპარსეთში, კანონს და სასჯელს, საბჭოთა კავშირის მისიას სპარსეთში და სხვა.

ამ შრომის ნაწილი დაიბეჭდება წიგნში „ფერეიდანელი ქართველები“, რომლის გამოცემას აპირებს საზოგადოება.

ამასთანავე მას, განათლების კომისრის სახელზე სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადმოუგზავნია 100-დე სხვადასხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ნივთები, რომლებიც აღმოუჩენიათ 1912 წელს ქ. რაი-რაჯისში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრების დროს.

მოხსენების თანახმად საზოგადოებამ სთხოვა განათლების სახალხო კომისარიატს ათასი მანეთის ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ფერეიდანში გადასაგზავნად. კომისარიატმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა და ამ კვირაში სახელმძღვანელოები და ლიტერატურა გაიგზავნება თეირანში.

## ქალაქის მამულები

ალმასკომის საადგილმამულო განყოფილებას ქალაქის განაპირა უბნებში აქვს მიწები, რომლის მეტი ნაწილი იჯარით არის გაცემული.

მაგალითად განყოფილებას ორთაჭალაში, ნავთლუღში, კრწანისში, დიღომში და ვერაზე აქვს დაახლოებით 25 ბაღი, რომლის სივრცე 230 დესეტინას უდრის. ბაღები იჯარით აქვთ აღებული მებაღეებს. გასულ წელს ბაღებიდან აღებული საიჯარო შემოსავალი უდრის 30 ათას მანეთს.

ქალაქის მიწების სივრცე 3500 დესეტინას აღემატება. აქედან 926 დესეტინა საძოვრებია, რომლებიც განყოფილებას იჯარით ჰქონდა კერძო პირებზე გაცემული. ამ საძოვრებმა განყოფილებას მისცეს 2778 მანეთი შემოსავალი. საერთო საძოვარმა ადგილებმა შემოიტანეს 2 ათასი მანეთი; სათიბებმა, რომელთა სივრცე 800 დესეტინას უდრის, გვალვის გამო არაფერი არ შემოიტანეს. სახნავი მიწების შემოსავალი უდრიდა (150 დესეტინა) 400 მანეთს.

საძოვარ ადგილების სარგებლობისათვის ქირას ახდევინებდენ გამვლელ ჯოგებსაც. ამ წყაროდან შემოვიდა 6 ათასი მანეთი.

სულ საძოვრებმა შემოიტანეს 11.178 მანეთი.

სანიმუშოდ არის მოწყობილი საადგილმამულო განყოფილების მიერ კომუნალურ ქუჩაზე საბჭ. მეურნეობა, რომლის სივრცე 14 დესეტინას უდრის. ამ მეურნეობაში შედის სამრეწველო-საჩვენებელი მებოსტნეობა, მეხილეობა და მეყვავილეობა. გასულ წელს მეურნეობა აწარმოებდა ბოსტნეულის და ხილის ტექნიკურ გადამუშავებას, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. აქვე არის მოწყობილი ბოსტნეულის და ყვავილების ხელოვნური (სადრიო) მოყვანა. მეურნეობასთან არსებობს სარძევე ფერმა, რომელიც საავადმყოფოებს აწვდის საღს და სუფთა რძეს. ფერმას, რომელიც საჯიშე საქონელსაც ზრდის, ამ ჟამად ჰყავს შვეიცარული ჯიშის 14 ძროხა და ხევსურული ჯიშის 4.

ამ მეურნეობის გასული წლის შემოსავალი უდრიდა 57.854 მანეთს, ხარჯები—25 ათას მანეთს.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

**საბჭოების ხელახალი არჩევნები.**

ჭიათურა, 29 იან. საბჭოების საარჩევნო კამპანია დამთავრდა. საანგარიშო სხდომები გაცხოველებულათ ჩატარდა. კრებებს მცხოვრებთა 80 პროცენტზე მეტი დაესწრო.

გლეხები ძალიან დაინტერესებულნი არიან ახალი საარჩევნო კანონით. არჩევნები დაიწყება თებერვლის პირველ რიცხვებში.

**საყოველთაო აღწერა.**

ჭიათურა, 29 იან. სამაზრო ალმასკომის სტატისტიკური ბიურო შეუდგა საყოველთაო აღწერას მაზრაში.

**ზვავი.**

ჭიათურა, 29 იან. 23 იანვარს ღამით „კარუტის“ შავი ქვის მე-4 და მე-6 მაღაროში ჩამოზვავდა მიწა. ზვავის მიზეზია ის, რომ ვერ მოასწრეს მაღაროების კიდეების გამაგრება მარგანეცის ახალი ფენების ამოღების შემდეგ. მსხვერპლი არ არის.

**ახალი შავი ქვის სამრეცხველო ქარხანა.**

ჭიათურა, 29 იან. საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“ შეუდგა ახალი შავი ქვის გასარეცხავ ქარხნის აშენებას ვამძის მაღაროსთან. საძირკველი უკვე ჩაყრილია. სწარმოებს მუშაობა შენობის ზედა ნაწილის ასაყვანად.

**გურიის კომკავშირის კონფერენცია.**

ოზურგეთი, 29 იან. 3 დღის მუშაობის შემდეგ გურიის კომკავშირის კონფერენცია დასრულდა. კონფერენციას დაესწრო 89 კაცი.

ადგილებიდან მოხსენების შემდეგ არჩეული იქნა პრეზიდიუმი 31 კაცის შემადგენლობით. საანგარიშო წლის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი. პრეზიდიუმის ახალ შემადგენლობას მიეცა დირექტივი დიდი ყურადღება მიაქციოს იდეურ მუშაობას სოფლათ.

**ღვინის ექსპორტი.**

ქუთაისი, 29 იან. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის ქარხანა ქუთაისში „მარანი“ ტაშკენტსა და სამარყანდში 8.000 ვედრო ღვინოს გზავნის.

**ღვინის დამზადება.**

ქუთაისი, 29 იან. ღვინის ქარხანა „მარანი“ ყიდულობს ღვინოს გლეხებისაგან. ყიდვა ნაღდათ სწარმოებს. განზრახულია 15.000 ვედრო ღვინის შესყიდვა.

**ფქვილი.**

ქუთაისი, 29 იან. საბჭ. კავშირის სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილების მისამართით მიღებულია ორი ვაგონი ყუბანის ფქვილი.

**სესხები გლეხებისათვის.**

ქუთაისი, 29 იან. სასოფლო-სამეურნეო ბანკის „ქუთაისის განყოფილებამ ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს 28.000 მანეთი მისცა გლეხებისათვის სესხების მისაცემათ.

**ცეკავშირის დამზადებანი.**

ქუთაისი, 29 იან. ცეკავშირის ქუთაისის განყოფილება შეუდგა მოცვის და დაფნის ფოთლის დამზადებას. დამზადებული იქნება რამდენიმე ათასი ფუთი დაფნის ფოთოლი.

**აგრარულ პუნქტის ლიკვიდაცია.**

ქუთაისი, 29 იან. ცეკავშირის ქუთაისის განყოფილება შეუდგა აგრარულ პუნქტის ლიკვიდაციას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ცეკავშირი აძლევს: სამტრედიის მამულს ჯიშიანი ღორებითა და ამერიკული ვაზის სანერგეთი, ფარცხანაყანევის მამულს სანიმუშო მინდვრებითა და ბოსტნებით, და ორპირის მამულს ხეხილის სანერგეთი.

**გაფლანგვა.**

ქუთაისი, 29 იანვ. სადგ. სამტრედიის მე-4 საგადასახადო უბნის მეართელემ პროკოფი სერგიამ ისარგებლა თავისი თანამდებობით და გაფლანგა 4.509 მ. და 22 კაპეიკი. სერგია დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები**

ოზურგეთი, 29 იან. ოზურგეთის სამაზრო ალმასკომის პრეზიდიუმმა გლეხობისათვის გამოჰყო ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები, 1190 დესეტინა.

**გემი „საქართველოს კოოპერაცია“.**

ქუთაისი, 29 იანვ. ცეკავშირმა გადაწყვიტა მოახდინოს გემის „საქართველოს კოოპერაციის“ ლიკვიდაცია მისი ზარალის გამო. გემი მოყვანილი იქნება ფოთის ნავთსადგურში, კომანდა კი დაიშლება. განზრახულია გემის გაყიდვა.

**წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია**

ქუთაისი, 29 იანვ. ქუთაისის ალმასკომის პოლიტგანათლების კომიტეტმა მაზრაში 300 სკოლა გახსნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. სკოლებში დადის 9000 კაცი.

**ცირკის გახსნა**

ფოთი, 29 იანვარი. 8 წლის განმავლობაში ქალაქში ცირკი არ ყოფილა. ეხლა კი გაიხსნა ახალი ცირკი არტისტების კოლექტივისა.

**კედლის გაზეთების გამოფენა**

ქუთაისი, 29 იან. 28 იანვარს ახალგაზრდობის კლუბში ქუთაისში გაიხსნა მთელი მაზრის და ქ. ქუთაისის კედლის გაზეთების გამოფენა.

**შრომის აღრიცხვა**

ქუთაისი, 29 იან. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განკარგულებით ქუთაისის სამაზრო სტატისტიკური ბიურო შეუდგა შრომის აღრიცხვას ქუთაისის და მისი მაზრის დაწესებულებებში.

**ნავთსადგურში**

ფოთი, 29 იან. ფოთის ნავთსადგურში მოვიდენ სახელმწიფო სავაჭრო ფლოტის გემები „ფომინი“ და „ლისკოვსკი“, რომლებმაც ჩამოიტანეს 29 ვაგონი თეთრი ფქვილი და 16 ვაგონი შაქარი. დაიწყო გემების გადმოტვირთვა.

**პროფბიუროს კინო**

ფოთი, 29 იან. პროფბიურო მართავს კინოს ლენინის სახელობის მუშათა ცენტრალურ კლუბში. კინო გახსნილია პროფკავშირთა წევრებისათვის.

## აჭარისტანი

**ერთიანი სამომხმ. საზ-ბა.**

ბათომი, 29 იანვ. ქობულეთის ალმასკომმა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა 10.000 მანეთის გადადების შესახებ სამომხმარებლო საზოგადოების განყოფილებების გასახსნელად სოფლებში.

**ქიმიურ ქარხნის გაფართოება.**

ბათომი, 29 იანვ. ამ დღეებში გერმანიაში მიემგზავრება ქიმიურ ქარხნის დირექტორი ონუფრიადი ახალ მანქანების და ტექნიკურ მოწყობილობათა შესაძენად, რომელიც ქარხნის გაფართოებისთვის არის საჭირო.

**კრედიტები მრეწველობას**

ბათომი, 29 იანვარი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილება აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს აძლევს ნაწილ-ნაწილად 250,000 მანეთის კრედიტს, რაც მრეწველობის აღდგენას უნდა მოხმარდეს. პირველ რიგში გადაკეთებულ უნდა იქნეს ქიმიური და ტყავის ქარხნები.

**ტრამვაი ბათომში**

ბათომი, 29 იანვარი. აჭარისტანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ცენტრიდან მიიღო ცნობა, რომ ცენტრის მიერ დამტკიცებულია წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა და გეგმა ბათომის კანალიზაციისა და ტრამვაის მოწყობისთვის. დამტკიცებული გეგმის თანახმად, ქალაქი პირველ რიგში ტრამვაის ხაზით დაკავშირებული იქნება ფაბრიკა-ქარხნების რაიონებსა, გარეუბნებსა და სააგარაკო ადგილებთან.

**საბჭოთა არჩევნები**

ბათომი, 29 იანვარი. აჭარისტანის ცაკის კომისიამ, რომელსაც საბჭოების არჩევნების ჩატარება აქვს დაკისრებული, თითქმის დაამთავრა მუშაობა მაზრებში. სრულიად აჭარისტანის საბჭოთა ყრილობის მოწვევა ა/წ. თებერვლის შუა რიცხვებისათვის არის განზრახული.

## დიდი ხანძარი გორში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

25 იანვარს, დილის ხუთ საათზე გორის სადგურის პირდაპირ პატარა ფურნეში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი ჩქარა მოედო რამდენიმე შენობას და მთელ უბანს ემუქრებოდა. ადგილობრივმა ხანძართ-მქრობელმა რაზმმა ცეცხლის ჩაქრობა ვერ მოახერხა. სასწრაფოდ გამოძახებული იქნენ თბილისის საყუდლისა და ხაშურის ცეცხლის მქრობელი რაზმები, რომლებმაც სახერხი ქარხნის მუშების ენერგიული დახმარებით, ექვსი საათის ბრძოლის შემდეგ მოახერხეს ხანძარის ჩაქრობა.

დაიწვა სამი კერძო დუქანი, ერთი საცხოვრებელი ბინა და ერთიანი სამომხმარებლო კოოპერატივის დუქანი № 2.

ხანძარის დროს დაიღუპა საექსპორტოდ გამზადებული სამი ვაგონი ხილი.

ზარალი უდრის 25,000 მანეთს, ქონება მხოლოდ კოოპერატივს ჰქონდა დაზღვეული.

მ—ძე.

## წერილები

### ვებრძოლოთ ძველ ადათ-ჩვეულებებს.

(წერილი ქუთაისის მაზრიდან).

სოფელი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია ახალ უქმე დღესასწაულებს. ეგრეთ წოდებული შობა და ახალი წელიწადი, თითქმის ყველგან ძველი სტილით იუქმეს. მცირე გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ კომუნისტურ პარტიის წევრები, მოწინავე უპარტიო გლეხობა და თითო-ოროლა ინტელიგენტები.

მაგრამ უქმობა უქმობათ დარჩეს, აქ იმდენი ბოროტება კიდევ არ იქნებოდა, რომ ამ დღესასწაულებს არ სდევდეს მრავალი ხაზიზღროება და ამ უქმეების ჩატარება არ ანადგურებდეს გლეხის მეურნეობას. სამწუხაროთ სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს, მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენს გაზეთებში იბეჭდება, აშკარაა, რომ სოფლებს წარსული შობა-ახალი წელიწადი არა ერთ და ორ ათეული კაცის სიცოცხლეთ დაუჯდა.

აქ, რასაკვირველია, ანგარიშში არ შედის დაბეგვილ-დაჟეჟილი და ზოგჯერ სამუდამოთ დამახინჯებულნი, რომელნიც მსხვერპლი გახდენ ქეიფსა და კამპანიებში ატეხილ ჩხუბ-დავიდარაბის. როგორც იტყვიან, ცოდვა გამხელილი სჯობია. უნდა ითქვას ამიტომ, რომ აქა-იქ, ზოგიერთი სულმოკლე და პოლიტიკურათ გაუთვითცნობიერებელი კომუნისტებიც ჩაითრიეს ამ დრომოჭმულ ადათების გადახრაში, რაც ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია.

რომ ასეთი მოვლენები წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ხდებოდეს, მას არ ექნება იმდენი ხაზიანი და მავნე ხასიათი, როგორც ეხლა აქვს. საქმე ისაა, რომ სოფლად ხშირია სხვადასხვა სახის საეკლესიო დღესასწაულები, ყოველ თემს, ზოგჯერ თვითეულ სოფელს და ცალკე უბანსაც კი აქვს წელიწადში ერთხელ საკუთარი ეგრეთ წოდებული წმინდანის უქმე, როცა იმართება საერთო ზეიმი, ქეიფობა და ღვინის სმა. არის ყანწების ტრიალ-ტრიალი, იხოცება წვრილი და სხვილი ოთხფეხი, ნადგურდება შინაური ფრინველი.

ყოველივე ამას, როგორც, ზევით ვთქვით, ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მისდევს. ალბათ ბევრს გაუგონია გლეხებისგან ასეთი სიტყვები: „დალოცა ღმერთმა, წელს კაი თემობა იყო, არც კაცი მომკვდარა და არც ვინმე დაშავებულაო“.

ამას ამბობენ გლეხები, როცა დღესასწაული ასე თუ ისე მშვიდათ ჩაივლის. ცხადია ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გამართლებულ იქნას ჩვენს პირობებში. ამას გლეხობის დიდი უმრავლესობა თვითონაც კარგათ გრძნობს. მაგრამ თუ მაინც ვერ აუღიათ ხელი ძველ ადათ-ჩვეულებებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მათში ძლიერ მაგრათ ზის მამაპაპური ტრადიცია და ამ ტრადიციის ხიძლიერეს ხელს უწყობს ერთმანეთის წახედულობა.

ჩვენს [illegible] ორგანიზაციებს მარ[illegible] თავიანთი მუშაობა. რა გზით უნდა მიიმართოს ეს მუშაობა? [illegible] პარტიის წევრები უნდა შეეცადონ, რომ თვითონ სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდენ სხვა გლეხებისათვის ძველი ადათ-ჩვეულებების უარყოფაში. გარდა ამისა, იმ დღეებში, როცა გლეხები უქმობენ ამა თუ იმ დღესასწაულს, საჭიროა ადგილობრივ კულტურულ ძალების ამოძრავება, წარმოდგენების გამართვა, ფეხბურთაობის მოწყობა, კრებების მოწვევა და საინტერესო მოხსენებების გაკეთება და სხვა ასეთები, რომელიც მიიზიდავს გლეხობას და ნაცვლად გადაჭარბებულ ღვინის სმისა და თავპირის მტვრევისა, კულტურულათ გაართობს მათ და ხელს უწყობს სოფლის გათვითცნობიერებას.

მხოლოდ ასეთ საშუალებით და არავითარ შემთხვევაში რაიმე ადმინისტრატიულ ზეგავლენით, დაშინება დაცაცხანებით, ან მით უფრო დაცინვით, არ უნდა ხდებოდეს ბრძოლა სოფლის განმანადგურებელ ძველ, ხავს მოკიდებულ ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ.

ა. აგვრისელი.

### მწყემსები იჩაგრებიან

(წერილი ახალ-სენაკიდან)

ჩვენს მაზრაში მეჯოგეობა ფართედაა გავრცელებული. არის ჯოგები, რომელნიც ეკუთვნიან ამა თუ იმ კერძო პირს და ეს პირები მწყემსების საშუალებით უვლიან ჯოგს. ასეთი მეჯოგეთა რიცხვი არც ისე მცირეა.

მწყემსებათ საერთოდ ჰყავთ 12-22 წლამდე ახალგაზრდები და უფრო ძვირად მოხუცნი.

მწყემსები უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან.

მეჯოგე იმსახურებს მწყემსს 5-6 წლის განმავლობაში და ხშირად უფრო მეტსაც. გასამრჯელოთ აძლევს 2-3 ძროხას. კარგათ მოგეხსენებათ თუ რა ღირსების ძროხები იქნებიან ესენი...

ან განა საკმარისია 5-6 წელიწადში მწყემსმა რაღაც 2-3 ძროხა აიყვანოს, რომელნიც დაახლოვებით იღირებიან არა უმეტეს 80-100 მანეთისა? განა 20 მანეთად წელიწადში ჯოგესთან — უკულტურობაში და დასაშვებია სამსახური და ისიც მეშრომა-ჯაფაში?..

საჭიროა ენერგიული ბრძოლა მწყემსის დასაცავად!..

საჭიროა მიწა-ტყის კავშირმა მჭიდრო დამოკიდებულება იქონიოს მწყემსებთან; სწორედ გამოიკვლიოს მათი ხელფასის და საერთოდ შრომის პირობები და დასდოს ხელშეკრულება მეჯოგეებთან, რომ ადგილი არ ექნეს უზომო შრომას და უფასო სამსახურს.

შეიძლება აქ მეჯოგეების მხრივ წინააღმდეგობა შეგვხვდეს და ეს აუცილებელიც არის. მაგრამ ამ საქმეში უნდა ჩაერიოს მეჯოგეთა ამხანაგობებიც, რომელთა მოვალეობაა აღზარდოს ჩვენში სრულიად კულტურული მეჯოგე.

ბ. უჩანეიშვილი.

### არჩევნების მოლოდინში

(ლეჩხუმი).

ლეჩხუმის მაზრა ეს ერთი წელია, რომ მშვიდობიანად სცხოვრობს. წარსულ წლებში მენშევიკების წყალობით ბრძოლის მეტი არაფერი გაგვიკეთებია. ხალხიც შეწუხებული იყო მათი უპასუხისმგებლო გამოსვლებით. დღეს კი სწარმოებს მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა.

თითქმის ყველა სოფელში გახსნილია სკოლა, შემცირებულია სახ. სამეურ. გადასახადი, მიწის რეფორმა გლეხკაცობის სასარგებლოდაა ჩატარებული, გამრავლდა კოოპერატივთა ქსელი და სხვა. ერთი სიტყვით ამ ერთი წლის განმავლობაში ლეჩხუმის მაზრამ ყოველ მხრივ წინ წაიწია. ხედავს რა ასეთ საქმიანობას, სოფლის მშრომელი გლეხკაცობა, რწმუნდება იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად გამომხატველია მათი ინტერესებისა. ამის თავდებია ეხლახან ჩატარებული 2 სოფლის ღარიბ გლეხების კრება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალ საბჭოთა არჩევნებში, ლეჩხუმის მშრომელი გლეხკაცობა ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ვისთანაა ის და ხალხის ყველა მტრებს ამით საკადრის პასუხს გასცემს

პ. ფრუიძე.

### მხოლოდ ბუჩქები დარჩენილა

ოკრიბა, (ქუთ. მაზ.)

ორი წელია, რაც მე ჯარში ვმსახურებ და სახლში არ ვყოფილვარ. უკანასკნელათ ვიყავი შვებულებით. როდესაც ჩავჯექი ტყიბულის მატარებელში და შევუდექი გზას, ჩემდა განსაცვიფრებლათ ტყის მაგივრათ უბრალო ბუჩქნარს ვუმზერდი. ისეთი სურათი იქმნება, რომ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ფაცხის წნელსაც ველარ იშოვნის ოკრიბელი გლეხი. რა თქმა უნდა, ტყეების განადგურება იმდენით გლეხის შეუგნებლობის მიზეზი არაა, რამდენადაც მიწის სივიწროვის და უვარგისობის. სოფელი წლიდან წლამდე შესამჩნევათ იზრდება. მოსახლეობა მრავლდება. საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი.

ჩემი აზრით აქ დიდი მნიშვნელობა ექნება გადასახლების საქმის მოწესრიგებას. ჩვენში, რამდენადაც ვიცი, მოიპოვება კიდევ ისეთი დაუსახლებელი ადგილები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმიწაწყლო და ღარიბ გლეხების მიერ.

საჭიროა ამაზე მიიღოს ზომები მაზრამ და აღძრას შუამდგომლობა ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე.

გ. ცქიფურიშვილი.

### ჭირი დავამარცხეთ

(წერილი გორის მაზრიდან)

შემოდგომის მოახლოვებამ და მისვლა-მოსვლის გახშირებამ, ჩვენც შემოგვიტანა საქონლის ჭირი. მან უცებ თავი იჩინა მაზრის სხვადასხვა კუთხეებში, რომელნიც დიდი მანძილით არიან დაშორებულნი ერთმანეთისაგან.

ჭირმა ამოჰყო თავი ქვემოჭალის, კავთისხევის, ახალსოფლის, ტყვიავის, ალის, ხაშურის, ტეზრის, ბორჯომის, წაღვერის და ტყვიავის თემებში. მოსალოდნელი იყო, რომ ის სასწრაფოთ მოედებოდა მთელს მაზრას და ისეთივე ხასიათს მიიღებდა, როგორც ეს სხვა მაზრებში მოხდა. მაგრამ გამოიცა ცენტრიდან დებულება საქონლის ჭირთან საბრძოლველად უსასტიკესი ზომების მიღების შესახებ. შესდგა გორში სამეული მაზრის ალმასკომის თავმჯდომარისაგან, მილიციის უფროსისაგან და მაზრის ვეტ-ექიმისაგან. აღმაურდა მილიცია, ენერგიულად შეუდგენ მუშაობას თემალმასკომები, მოიკრიფა მთელი ძალღონე ვეტ-პერსონალმა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მესაქონლეობის უსაშინელეს მტერს.

ყველა მათგანი ერთის მიზნით იყო გამსჭვალული, გასაქანი არ მიეცა ჭირისათვის, საცა იყო გაჩენილი იქვე ჩაეკლა იგი. თვენახევრის ენერგიულმა მუშაობამ, მუდმივ სადარაჯოზედ დგომამ თავისი გაიტანა, მილიციის და საქონლის ექიმების ხელიხელ ჩაკიდებულმა მუშაობამ სძლია ყოველი დაბრკოლებანი.

გლეხებთან გამართულმა საუბრებმა და ახსნა-განმარტებამ ამ ბრძოლაში ჩაითრია მთელი მოსახლეობა და ენერგიულად შეუწყო ხელი ჭირის განელებას.

აი, ამ ენერგიული მუშაობის ბრალია, რომ დღეს უკვე მოისპო მთელს მაზრაში ჭირი, რომელიც 15 სოფელში მძვინვარებდა და დარჩენილია მხოლოდ ერთ პატარა სოფელ კოშკაში, რომელშიაც ამ დღეებში მოიხსნება კარანტინი და მთელი მაზრა თავისუფალი იქნება ჭირისაგან.

შირინბეი.

### ვისი განკარგულებაა ეს?

(ს. ლაშე-ღვერკი, შორ. მ.)

ამ ორი დღის წინათ აქაურ შვიდწლედის მოწაფეებმა თვალცრემლიანი მომმართეს: „ჩვენდა საუბედუროდ სკოლის სახურავი გაიბზარა და გამგე ბლუაშვილმა თითო მოწაფის ექვს-ექვსი მანეთი შემოგვაწერა მის გასაკეთებლათო. თან ყოველ დღე გვემუქრება, თუ ორ დღეში არ მოგიტანიათ, სასწავლებლიდან დაგითხოვთო. ჩვენ არამც თუ ექვსი მანეთი, ექვსი შაურიც არა გვაქვს რვეულების სასყიდლათო, ეს სამი დღეა მივეცით თხოვნა, მაგრამ თხოვნას ვინ უყურებს და იძულებული ვხდებით სასწავლებელი დავტოვოთო“.

რაშია საქმე? ვისი განკარგულებით ხდება ეს? ნუთუ ასეთი ბრძანება სკოლის გამგე ბლუაშვილის მიერ არის გაცემული?! მე არ მგონია, რომ ეს შორაპნის განათლების განყოფილებამ არ იცოდეს და თუ იცის, ისიც ეცოდინება, რომ გლეხს, ექვსი მანეთის გადახდა არც ისე ადვილათ შეუძლია.

იმედია განათლების სახალხო კომისარიატი მიაწვდენს ამ კუთხესაც თვალს და გამონახავს ისეთ საშუალებას, რაც იხსნის გაჭირვებულ გლეხის შვილებს გამგე ბლუაშვილის მუქარისაგან.

გეკალ.

### კერძო ვაჭრები ალაგმულია.

(ს. მედიდკარი, სენ. მ.)

აქ არსებობს 7 წლიანი შრომის სკოლა. როგორც ადგილობრივი ისე მთელი რაიონის მოწაფეობა და გლეხობა შევიწროებული იყვნენ უწიგნობის გამო. მოწაფეს და გლეხს წიგნი რომ შეეძინათ, უნდა გამგზავრებულიყვნენ სენაკში, რომელიც ჩვენგან დაშორებულია 20—25 ვერსით.

მანძილზე მგზავრობა იწვევდა ზედმეტ ხარჯებს და უხერხულობას, რის ზედმეტ ხარჯებს და უხერხულობას, რის გამო მრავალი მოწაფეები რჩებოდენ უწიგნოთ. ბანძაში კი კერძო ვაჭართან ვერ იშოვიდა წიგნებს. და თუ იშოვიდა ორმაგი ფასი უნდა გადაეხადა.

გარდა ამისა ჩარჩი ხშირად ხმარებიდან გამოსულ სახელმძღვანელოს აჩეჩებდა გლეხს, რის გამო ადგილი ჰქონდა აყალ-მაყალს, რომელსაც საქმე ზოგჯერ მილიციამდეც მიუყვანია.

გარდა მოწაფეებისა და გლეხებისა არა ნაკლებ უხერხულობას განიცდიდენ მასწავლებლებიც.—მაგრამ ასე იყო წინეთ, ხოლო ასე არაა ეხლა.

საერთოდ მაზრის მასშტაბით წიგნების გავრცელებისა, სკოლებისთვის სახელმძღვანელოს მიწოდებისათვის მიუქცევია ყურადღება სახელგამის სენაკის წიგნის მაღაზიის გამგეს ამხ. დ. ესებუას და მოუწყვია მოძრავი წიგნის მაღაზია გამოცდილ მუშაკის ხელმძღვანელობით, რომელიც ხშირად გვაწვდის ყოველგვარ სახელმძღვანელოს და წიგნებს თბილისის ფასებში.

ეს გარემოება უზომო სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევს, როგორც მოწაფეებში, აგრეთვე გლეხებში.

ძნელი აღსაწერია მოწაფე-გლეხების სიხარული როცა მოძრავი წიგნის მაღაზია შემოდის სოფელში სათანადო ჩასურათებულ მორთულ-მოკაზმულობით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის ასეთ საქმიანობას და ჩვენი ვალიცაა ყურადღებით მოვეპყრათ ამ საქმეს...

გლეხკორი ჭუდიანი.

## სოფლის ქრონიკა

— ქობულეთის სამაზრო ალმასკომმა აღძრა შუამდგომლობა, ჭახათის თემში მილიციის სადარაჯოს მოწყობის შესახებ.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან.** გასულ თვეში საბეითლო სამმართველომ სოფ. მინდაში (აჭარაშია) აუცრა 280 სულ საქონელს.

— **სოფ. ახალგავაზის** (თელ. მ.) გლეხკომმა შეიძინა ტრაქტორი და სამკალი ქარხანა.

— ახალციხის მაზრის სოფლებში ეწყობა კულტსაბჭოები—მასწავლებლების, ქოხსამკითხველოების გამგეთა და თემ-ალმასკომების წარმომადგენლების შემადგენლობით.

— ზუგდიდის მაზრაში უკვე დასრულდა საბჭოთა არჩევნებისათვის წინასწარი მზადება.

— **ხიდის აგება.** რაჭის ალმასკომმა დაადგინა გაზაფხულამდე დაამთავროს მდ. კრიხულაზე ხიდის აგება.

# პროფკავშირებში

## კიდევ შემფ.-საკონფ. კომის. მუშ. შესახებ

თანახმად მოქმედი დებულებისა, შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის კომპეტენციაში შედის მთელი რიგი ისეთი საკითხების და კონფლიქტებისა, რომელნიც აღმოცენებულ არიან მხოლოდ შრომის და კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევის ნიადაგზე.

რაც შეეხება მუშა-მოსამსახურის სამსახურში მიღების, მისი თანამდებობის ტარიფიკაციის, ან და მის მუდმივ შტატში ჩარიცხვის წინ გამოცდის და სხ. საკითხებს, ყველა ესენი უშუალოდ შედის ადმინისტრაციის კომპეტენციაში, როგორც საერთო წესი, თუ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ამისათვის არ არის გათვალისწინებული რაიმე სხვა წესი.

ჩვენი შემფასკომები კი უმეტეს შემთხვევაში სრულიად უკანონოდ ერევიან ამ წმინდა ადმინისტრატიულ სფეროში, რაც დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელსა და შემფ.-საკონფლიქტო კომისიას შორის ბადებს უთანხმოება-უსიამოვნებას და დაუსრულებელ უნაყოფო ბრძოლას.

ამას გარდა შემფასკომები ერევიან ხშირად ამა თუ იმ მუშაკის პერსონალურ ტარიფიკაციის საქმეში. ეს კი შემფასკომის კომპეტენციაში სრულებით არ შედის.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიებს გამოაქვთ დადგენილებები მუშა-მოსამსახურის დათხოვნის შესახებ მათ წინააღმდეგ წამოყენებული სისხლის სამართლის ხასიათის ქმედობის ბრალდების გამო წინდაწინ მანამდის, სანამ ეს ბრალდება სასამართლოს წესით და განაჩენით დადასტურებული იქნებოდეს.

ეს კი აშკარა შეცდომაა და დაუშვებელიცაა.

აქვს თუ არა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას უფლება გაარჩიოს დისციპლინარული ხასიათის სასჯელის საკითხები, (როგორიცაა, მაგალითად, მუშა - მოსამსახურისათვის სამსახურისადმი გულგრილობისა და დაუდევრობის გამო საყვედურის გამოცხადება, ერთ (მაღალ კვალიფიკაციის) თანამდებობიდან — მეორე (დაბალ კვალიფიკაციის) თანამდებობაზე გადაყვანა, სამსახურიდან გადაყენება და სხ...)? როგორც ვიცით, ხშირად კოლხელშეკრულებებში და შინაგან მოწესრიგებათა წესებში ასეთი უფლებები ენიჭებათ შემფასკომებს. ამაზე პასუხი იქნება შემდეგი: თუმცა ყველა ამგვარ ზომების მიღების უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციას, მაგრამ თუ კი ამ უფლებებს იგი უთმობს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს, ამის წინააღმდეგ შრომის კანონმდებლობის თვალსაზრისით ჩვენ არაფერი გვეთქმის და შემფასკომებს ასეთი მუშაობის წარმოება შეუძლიან. ეს საკითხები მხოლოდ მაშინ არ ექვემდებარებიან შემსაკონფლიქტო კომისიებს, როცა ისინი კოლექტიურ ხელშეკრულებებში და შინაგან მოწესრიგებათა წესებში არ არიან გათვალისწინებული.

ჩვენმა უმაღლესმა პროფ-ორგანოებმა უნდა გააცნონ, ასწავლონ ეს წესები შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების მუშათა ფრაქციებს და ამით ხელი შეუწყონ ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის განმტკიცებას.

სხივი.

## უსარგებლო ტრადიციების წინააღმდეგ

თითქმის ყველა მაზრებში უკვე ჩატარებულია ადგილობრივ პროფორგანიზაციების კონფერენციები და ყრილობები და ჩვენ გვაქვს საშუალება ვსთქვათ ორიოდე სიტყვა მათ ღირსება - დეფექტებზე. ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად სწორად გაიგეს ადგილობრივად პროფმუშაობის ახალი გეზი, ყრილობების ახალ დემოკრატიულ ნიადაგზე მოწყობის საკითხი და ყრილობათა დღის წესრიგი და სხ. როგორც ვიცით, აუარებელი ცირკულიარები და მოწოდებები დაიწერა და დაიგზავნა თავის დროზე ადგილებში პროფკავშირთა საბჭოს და პროფკავშირთა ცენტრ. გამგეობათა მიერ იმის შესახებ, რომ პროფკონფერენციებს და პროფყრილობებს ჰქონოდათ მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი, სერიოზული სახე და ელფერი, რომ მათ დღის წესრიგში დაისვათ კონკრეტული და საკავშირო მასისათვის საჭირბოროტო საკითხები, რათა ყრილობის დარბაზი არ გადაქცეულიყო მხოლოდ „სალაპარაკო დარბაზად“ და მხიარულ სანახაობად და სხ...

ადგილებს ევალებოდათ ყოველივე ფორმალური, ჩინოვნიკური მხარე კონფერენციებისა ენაცვალებინათ მისი შინაარსიანობა - საქმიანობისათვის.

მაგრამ ერთია ხელმძღვანელ პროფორგანოთა კეთილი სურვილი და სულ სხვაა სინამდვილე. ძველი ადათ-ჩვეულებები ჩვენი საკავშირო მუშაობისა გამოდგა უფრო მტკიცე და ურყევი, ვიდრე ჩვენი, მართლაც, ლამაზი სურვილები.

ყველგან საკონფერენციო დარბაზები ძველებურად მორთულ-მოკაზმულნი არიან და გეგონებათ, რომ ისინი ემზადებიან საზეიმოდ და არა საკავშირო, შავი და უაღრესად პასუხსაგებ საქმისათვის. დარბაზები! მორთვა-მოკაზმვაში კი იხარჯება აუარებელი საკავშირო თანხა; მაგრამ ამას ვინ აქცევს ყურადღებას! თვით ყრილობათა გახსნას ეძლევა საზეიმო სახე, ჯერ ყრილობის პრეზიდიუმის და საპატიო თავმჯდომარის არჩევნებს ყრილობა ანდომებს რამოდენიმე საათს და ატარებს დიდის „პომპით“. შემდეგ იწყება დაუსრულებელი მისალმებანი; უწინარეს ყოვლისა ყრილობას ესალმება გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ ც. გ. წარმომადგენელი და სხვები, ვისაც „ენა მოქნილი აქვს“ და ლაპარაკიც ესიამოვნება ზოგჯერ ადგილკომების მდივნებიც არ რჩებიან სხვებზე უკან. მათაც უყვართ ლაპარაკი რასაკვირველია, და ასე. ამგვარად, ყრილობის პირველი სხდომა (თუ მეორეც არა) მთლიანად ხმარდება ამ [illegible] „საზეიმო“ ლაილაობას“.

ყოველივე ამის შემდეგ იხსნება ყრილობა. ცხადდება დღის წესრიგი. ხშირად ამ დღის წესრიგში ყველაფერია, გარდა დღიურ საჭირბოროტო საკითხებისა. საქმიანი მხარე ყრილობისა კი მიმდინარეობს შაბლონურად უსიცოცხლოდ, უფეროდ, მაგრამ ყრილობის დასასრული კი იღებს [illegible] განსაკუთრებული ზეიმ ბანკეტის სახეს. ყრილობა ხშირად თავდება „მეგობრული ვახშმით“ და „პურ-ღვინით“. მოვიგონოთ მაგალითისათვის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ყრილობა და სხვებიც.

საჭიროა ამ „პროფყოყოჩობა“-ს და „ტუთიყუშობა“-ს მოვუღოთ ბოლო ჩვენ პროფკონფერენციებს და პროფყრილობებს უნდა მივსცეთ უფრო მეტი საქმიანი და სერიოზული, ვიდრე დღემდე იყო, სახე.

გამა.

## პროფესიონალური ქრონიკა

### აფხაზეთის პროფსაბჭოში

— **მუშათა კლუბების ბიბლიოთეკების ცენტრალიზაცია.** პროფსაბჭოს კულტკოლეგიამ დაადგინა, გააუქმოს ცალკე პატარ-პატარა ბიბლიოთეკები მუშათა კლუბებში და ლიტერატურის უდიდეს ნაწილს თავი მოუყაროს ცენტრალური მუშათა კლუბის თავარ ბიბლიოთეკაში, საიდანაც შემდეგ დაარსოს მოძრავი ბიბლიოთეკები და მოაწყოს წიგნების შერჩევა-მიწოდება კლუბებისათვის.

### აჭარისტანის პროფსაბჭოში

— **კულტგანყოფილების გამგის დანიშვნა.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა რა ის მდგომარეობა, რომ საორგანიზაციო და კულტურული განყოფილების გამგეობას ერთი ამხანაგი ვერ ასწრებს და საკმაო ხელძღვანელობას ვერ უწევს ორივე განყოფილების მუშაობას, 5—იანვრის სხდომაზე დაადგინა დროებით კულტ განყოფილების გამგედ დაინიშნოს ამხ. სტრუგალკი.

— **გაზეთი „ფუხარა“ პროფსაბჭოს ორგანოდ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა გაზეთი „ფუხარა“ გამოაცხადოს აჭარისტანის პროფსაბჭოს ორგანოდ.

— **სამკურნალო ქ/განყოფილების მოხსენება.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოხსენება გააკეთა სამკურნალო ქ/განყოფილების გამგემ ამხ. ცხოიძემ განყოფილების მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ განყოფილებამ 1 ოქტომბრიდან გახსნა ახალი ამბულატორია და აფთიაქი ბეტონის ქარხანაში. განყოფილებას განზრახული აქვს დაზღვეულებისათვის ბინებზე დახმარების მიცემის სისტემის შეცვლა. ქაობის ამბულატორიისთვის გამონახულ უნდა იქნეს შესაფერისი ბინა.

ამხ. ცხოიძის მოხსენების შემდეგ მოხსენება გააკეთა კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო ამბულატორიების, აფთიაქებისა და სამკურნალო ქ/განყოფილების დასათვალიერებლად და მათი მუშაობის გამოსარკვევად. დათვალიერებულ იქნა ცენტრალური ამბულატორია, საბავშვო ამბულატორია, პორტის ამბულატორია, საბიდონო ქარხნის ამბულატორია, „ნევტესინდიკატ“-ის ამბულატორია, ქაობის ამბულატორია, პირველი საბჭოთა საავადმყოფო და სამკურნალო ქ/განყოფილება.

პრეზიდიუმმა სამკურნალო ქ/განყოფილების და კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და განყოფილების მუშაობის გასაუმჯობესებლად დაადგინა:

1) გადატანილ იქნეს ცენტრალური ამბულატორია მუშათა რაიონში.

2) დაევალოს განყოფილებას შრომის კომისარიატთან და დამზღვევ სალაროსთან ერთად გადასინჯოს ექიმების ბინაზე დახმარების გაწევის საკითხი, მათი ხელფასის მოსამატებლად.

3) საჭიროდ სცნო ჩაქვში ექიმის გაგზავნა.

4) წინადადება მისცა განყოფილებას ქაობის ამბულატორიის კარგ შენობაში გადატანის შესახებ.

5) განყოფილებას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს 1 საბჭოთა საავადმყოფოს საწოლებისათვის საჭირო ნივთების შეძენას და შენობის გათბობას; გახსნას საავადმყოფოში ფსიქიატრიული განყოფილება და 6) ჩატარებულ იქნეს განყოფილების მიერ 1926 წელში ყველა მუშა-მოსამსახურის საექიმო შემოწმება.

— **საკლუბო აქტივის მოსამზადებელი კურსები.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ბათომის ცენტრ. მუშათა კლუბში დაარსდა საკლუბო მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

# წითელი ჯვარი

## წითელი ჯვარი ციფრებში

(მომავალი ყრილობის გამო)

საქართველოს წითელი ჯვრის ცეკას პრეზიდიუმი, წინა ყრილობის დავალების თანახმად, დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოების მუშაობაში ფართო მასის ჩაბმას. ვინაიდან საამისო კამპანია ჯერ სავსებით არ დამთავრებულა, საბოლოოდ დამუშავებული ციფრები საზოგადოების წევრთა შესახებ საზოგადოებას არ მოეპოვება. მაგრამ ვარაუდით შეიძლება ითქვას, რომ წინა წელთან შედარებით წევრთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და უდრის 50,000.

პრეზიდიუმს არა ნაკლები მუშაობა გაუწევია ადგილობრივ განყოფილებათა საქმიანობის გასაძლიერებლათ და წლის განმავლობაში რესპუბლიკის მასშტაბით ქვე-კომიტეტთა რიცხვი გაზრდილა 12-მდე. ამგვარად დღეს, გარდა ავტონომიურ და საკავშირო რესპუბლიკებისა, არსებობს 13 სამაზრო ქალაქის განყოფილებათა კომიტეტი: თბილისში, ქუთაისში, გორში, ოზურგეთში, ფოთში, ზუგდიდში, ახალციხეში, სიღნაღში, თელავში, ჭიათურაში, სენაკში, დუშეთში და ონში.

კერძოდ ცალკე განყოფილებების მდგომარეობა ასეთია:

**აფხაზეთის** წითელი ჯვრის წევრთა რაოდენობა აღწევს 5.000-ს. წლის განმავლობაში აქ დაარსებიათ 15 სოფლის პუნქტი და 11 საექიმო-სასანიტარო დაწესებულება; მათ შორის ამბულატორია ქ. სოხუმში. ყველა ამათ გაუტარებიათ წლის განმავლობაში 70 ათასამდე ავადმყოფი. საერთოდ აფხაზეთის წითელი ჯვარი დიდის პოპულიარობით სარგებლობს გლეხობაში. მას წლის განმავლობაში დაუხარჯავს 50.505 მ. 54 კ.

**აჭარისტანის** წითელი მთვარის საზოგადოების წევრთა რიცხვი აღწევს—4,000-ს. კომიტეტის წლიური ბრუნვა უდრის—30.530 მან. და 54 კაპ., რომლიდანაც მას საექიმო სასანიტარო საქმეზე დაუხარჯავს 3.708 მან. 39 კაპ.

**სამხ. ოსეთის** წითელი ჯვრის კომიტეტი აერთიანებს 400 წევრს. მისი თანხების ბრუნვა არ აღემატება 491 მან. 77 კაპ.

**ქუთაისის ქალაქის და სამაზრო კომიტეტს** ჰყავს 5.000-დე წევრი. მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევს იქ არსებული დისპანსერული ტიპის სამალარიო ამბულატორია, სადაც მუშაობს 2 ექიმი, 1 ლაბორანტი და ორი ფერშალი. ამ ამბულატორიაში დღიდან დაარსებისა, გაუტარებიათ 3.075 ავადმყოფი, რომლებიც გამოცხადებულან 42.612-ჯერ; მათ შორის ქალაქის მცხოვრებლები იყვნენ 2.718 და დანარჩენნი—სოფლელები: მამაკაცები—902, დედაკაცები—1.027 და ბავშვები—1.146. ამბულატორიას უფასო მკურნალობასთან ერთად დაუხარჯავს 25 კილომდე ქინაქინა. კომიტეტს აქვს საექიმო პუნქტი ორპირში, რომლითაც სარგებლობს 22 სოფელი; მასში გატარებულა 306 ავადმყოფი, რომელთაც 5.692-ჯერ მიუღიათ უფასო საექიმო რჩევა და წამალი.

**გორის განყოფილების** წევრთა საერთო რიცხვი არ აღემატება 2.000 კაცს, კომიტეტმა მხოლოდ ახლა შესძლო დაარსებია საექიმო პუნქტი ბობნევში. მისი შემოსავალი უდრის—13.457 მან. 91 კაპ.

**ოზურგეთის ორგანიზაციაში** წევრთა რიცხვი—500-დე წევრი, რაც აიხსნება იმით, რომ გლეხობა გაცნობილი არ არის წითელი ჯვარის ამოცანებთან. კომიტეტს თავის საქმიანობაზე დაუხარჯავს—1.400 მანეთი.

**ფოთის კომიტეტს** ჰყავს—500 დე წევრი. 15 ივლისს მას შეუქმნია ერთი ამბულატორია ფოთის ახლოს, სადაც საექიმო დახმარება აღმოუჩენია 1.755 ავადმყოფისთვის. ამ ხნის განმავლობაში მას ჰქონია 1.139 მან. 77 კაპ.

**ჭიათურის განყოფილების** წევრთა რიცხვი 2.000 უდრის. მაზრაში არსებობს 5 ქვე-კომიტეტი. წლის განმავლობაში მას ჰქონია—1.769 მან. 13 კაპ.

**სენაკის განყოფილების** წევრთა რაოდენობა დღემდე გამოურკვეველია. სამაზრო კომიტეტის წლიური შემოსავალი უდრის—1.825 მან. 88 კაპ.

**სიღნაღის განყოფილების** მუშაობა სუსტია. მას შეუგროვებია 1.128 მან. 28 კაპ. და ამ თანხიდან 889 მან. 55 კაპ. დაუხარჯავს ულარიბესი გლეხობის დახმარებაზე. წევრთა რიცხვი აქ გამოურკვეველია.

**თელავის განყოფილების** მუშაობა, რომელსაც—500-დე წევრი ჰყავს და დაუხარჯავს 246 მან., აგრეთვე სუსტია.

**დუშეთის განყოფილების** კომიტეტის მუშაობა სუსტია.

**ონის განყ. კომიტეტი** ცენტრიდან სიშორის გამო სუსტად მუშაობს. მისი მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატა ცენტრიდან გაგზავნილ 1000 მან-ის წამლების უფასოდ დარიგებაში.

**ზუგდიდის განყ. კომიტეტი** შედარებით ახალი ორგანიზაციაა. მას უკვე 1000-ზე მეტი წევრი ჰყავს.

**ახალციხის და ბორჩალოს სამაზრო კომიტეტი** დაარსდა წლის ბოლოს.

სულ რესპუბლიკის მასშტაბით წითელ ჯვრის შტატში ითვლება 271 თანამშრომელი, რომელთაგან 176 მუშაობს საექიმო-სასანიტარო დარგში.

1925 წელს რესპუბლიკის მასშტაბით მოქმედებდა—84 სამკურნალო დაწესებულება, რომლებმაც უფასო დახმარება აღმოუჩინეს 174 ათასამდე ავადმყოფს.

ცენტრალურ კომიტეტის სალაროში 1924—25 წლის ხარჯთ-აღრიცხვით უნდა შესულიყო 199,837 მან. 92 კაპ. გასავალი კი იმავე ხარჯთ-აღრიცხვით უდრიდა 241,764 მან. ამგვარად დეფიციტი უდრიდა 41.946 მან. 84 კაპ. სინამდვილეში კი სულ შემოვიდა 160,177 მან. 65 კაპ.

# სახალხო კომისართა საბჭოში

### სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის განყოფილების გახსნა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა წარმოადგინა სახალხო კომისართა საბჭოში იუსტიციის და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით დებულების პროექტი ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების გახსნის შესახებ. დებულება დადასტურებულია საერთო წესით.

### ექვსთვიანი იურიდიული კურსების შესახებ

იუსტიციის სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე ექვსთვიანი იურიდიული კურსების ცალკე მოწყობის შესახებ. სახკომსაბჭომ დაავალა იუსტიციის, განათლების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატებს გამოარკვიონ, თუ რამდენად შესაძლებელია სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გამოყენება იუსტიციის ორგანოებისათვის მომუშავეთა მოსამზადებლად.

### სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოღება ახალქალაქში

სახალხო კომისართა საბჭომ დასტოვა ძალაში ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის დადგენილება მაზრაში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოღების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად შესაძლებლად იქნა ცნობილი აღნიშნულ მაზრაში საქონლის გაწყდომისაგან დაზღვევის შემოღება. ხოლო რადგან ახლა მომავალში მოწვეული იქნება სამაზრო საბჭოების ყრილობა, საჭიროდ იქნას ცნობილი ამ საკითხის ყრილობაზე დასმა.

# ქრონიკა

### თბ. აღმასკომში

— **შენობათა დაზღვევა.** თბ. აღმასკომმა გადასდო 18.925 მან. აღმასკომის შენობათა დასაზღვევად.

— **ხიდი მდ. არაგვზე.** აღმასკომმა დაადგინა ააგოს მცხეთაში მდინარე არაგვზე დროებითი ხიდი მცხოვრებლების მიმოსვლის გასაადვილებლად.

### მიწათმოქმედების კომისარიატში

— **„ტყის დღე“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა მიწათმოქმ. სახალ. კომისარიატის და მიწა-ტყის კავშირის გამოცემა „ტყის დღე“.

— **ტყის მოწყობა.** 1925 წლის განმავლობაში სატყეო განყოფილებამ მოაწყო თელავის სატყეო, სივრცით 26,700 ჰექტარი.

— **რკინის გზა ახმეტაში.** მიწათმოქმ. კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება რკ. გზ. სამმართველოსთან ახმეტაში რკინის გზის გაყვანის შესახებ.

— **სატყეო განყოფილება** შეუდგება მიმდინარე წლის გაზაფხულიდან ზემო-სვანეთის სატყეოებში სოჭის ხის გამოკვლევას ქაღალდის ქარხნისათვის.

### სატყეო ტრესტში

— **ტრავერსების დამზადება.** სატყეო ტრესტი ქუთაისის სატყეო რაიონში ამზადებს 10.000 ცალ ტრავერსს.

— **ბზა.** სატყეო ტრესტმა დაადგინა მიმდინარე წელს კახეთის სატყეოებში დაამზადოს 10 ათასი ფუთი ბზა.

### შინამრეწველობა

— **აბრეშუმის ძაფის შეძენა.** შინამრეწ. კოოპერაციის საორგანიზაციო ბიურომ ოზურგეთის საქსოვი ქარხნის საჭიროებისათვის შეიძინა აჭარაში აბრეშუმის ძაფი.

— **შინამრეწველობის არტელი.** საორგანიზაციო ბიურომ შინამრეწველობის არტელად გადააკეთა ქუთაისში შრომის ინსპექციიდან მიღებული საფეიქრო სახელოსნო.

— **საფეიქრო დაზგები.** შინამრეწველ ფეიქართა არტელებისათვის მოსკოვში შეძენილი იქნა საფეიქრო დაზგები.

### საგარეო ვაჭრობის კომისარიატში

— **წამლეულობის მიღება.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო გამოწერილ წამლეულობის ნაწილი.

— **მოტოციკლეტები.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკიდან გამოიწერა დიდძალი მოტოციკლეტები.

### დამზღვევ სალაროში

— **ღამის სანატორიები.** თბ. დამზღვევ სალარომ გადაწყვიტა ააგოს დაზღვეულებისათვის ღამის სანატორიუმი, სადაც ნახევრად ავადმყოფები გაათევენ ღამეს [illegible] მიზნით და დღისას კი წავლენ სამსახურში.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს დამზღვევი სალარო დაასრულებს იანვრის თვის დახმარების გაცემას უმუშევრებზე.

### კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება პროფ. ნათაძის მორიგი ლექცია საზოგადოებათა მეტყველებაში. საღამოს 7 საათზე. ამხ. ნიკიტენკო გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე „ლაბორატორიის წინა პერიოდი დალტონ გეგმაში“.

### სხვადასხვა

— **წითელი ჯვარის ცენტრ. საავადმყოფოსთან** დაარსდა მოარულ სენით დაავადმყოფებულთა განყოფილება.

— **ინვალიდთა ნადების რეგისტრაცია.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა ინვალიდთა ნადების ხელახლი რეგისტრაციის ვადა გააგრძელა 15 თებერვლამდე, რის შემდეგ რეგისტრაციაში გაუტარებელი ნადები მოიხსნებიან აღრიცხვიდან.

### შემთხვევები

— **ქალის გატაცება.** 28 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, საბურთალოში მამედ ოღლის მოსტაცეს ძმის შვილი, ობოლი ქალი 15 წლისა, ხათინა ასანკიზინა.

— **შეპყრობა.** 28 იანვარს შეიპყრეს დავით ხაჩატურიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაპარავი ხარი.

— **მეურმეების გაძარცვა.** 28 იანვარს გომბორის გზასა და სამგორის ქვას შუა გაძარცვეს თბილისიდან მიმავალი მეურმეები.

— **ქურდობა.** 28 იანვარს რტიშჩევის ქ. № 11 გერონტი კიკოძეს მოპარეს პალტო, ღირებული 60 მან., ქურდი ბუზრაძე შეიპყრეს.

— ამავე დღეს რეუტოვის ქ. № 31 გაქურდეს ივანე ჯალალიძის ბინა, ღირებულია 375 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, კონდუქტორის ქ. № 5 გაქურდეს ივანე მარტიროსოვის ბინა.

# ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა

**შულგინას (ბახუტაშვილის) გასტროლი**

პუჩინი იტალიური სკოლის „ვერისტების“-ს წარმომადგენლად ითვლება. ამ სკოლის საოპერო ხელოვნება მიზნად ისახავს ცხოვრების სინამდვილის საოპერო ფერადებში ასახვას. „ვერისტების“ სკოლის ამოცანები პუჩინიმ ყველაზე უფრო დაიცვა თავის ოპერაში „ქალბატონი ბატერფლეი“ (ინგლისურად—„პეპელა“). ოპერის სიუჟეტი აღებულია იაპონიის თანამედროვე ცხოვრებიდან. თვითონ კომპოზიტორმა თავის ნაწარმოებს უწოდა იაპონური ტრაღედია. ამ ტრაღედიის გმირია ახალგაზრდა იაპონელი მოცეკვავე (გეიშა). ის არის გულუბრყვილო ქალიშვილი, რომლისთვისაც ცხოვრებას არ უხლია თავისი სასტიკი ხელი. ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისთანავე ის წააწყდება ყოვლად უგულო, ეგოისტ ადამიანს ამერიკის „განათლებული“ ერის წარმომადგენელს, რომელიც მას შეიყვარებს, მაგრამ მალე მიატოვებს, უღალატებს და ამრიგად გასთელავს მის ფაქიზ, გულწრფელ გრძნობას. ამას ვერ უძლებს ის და პეპელასავით კვდება, როგორც კი იგემებს ცხოვრების პირველ შხამს—მწუხარებას.

ეს როლი თბილისში შექმნა დამსახურებულმა მსახიობმა ქალმა შულგინამ. თუ ვილაპარაკებთ საანგარიშო წარმოდგენაზე, ბატერფლეის პარტია მსახიობ ქალმა მშვენივრად დასძლია. შესრულება მხატვრული იყო როგორც ვოკალური, ისე კიდევ უფრო მეტად სცენიური მხრით. როგორც სჩანს, მომღერალს ხმა დაუსვენებია, რადგან ეხლა უკვე აღარ ვამჩნევთ იმ დეფექტებს, რომელსაც ვამჩნევდით მომღერალის სიმღერაში მისი სცენიური კარიერის დასასრულს.

ხმა მუსიკალურად ისმის, თავისუფლად გადმოდის აუდიტორიაში ბგერები, სიმღერაში დაცულია სრული სისწორე, ფრაზიროვკა მხატრულად არის დამუშავებული. საწყენია, რომ მომღერალმა ქალმა ასე ადრე მიატოვა სცენა, რადგან ვოკალური შესრულების დადებითი მხარეები ჩვენი აზრით შემთხვევითი არ არის. პარტიის სცენიური გადმოცემა ზედმიწევნით სწორია. არ არის არც ერთი ზედმეტი სცენიური ხერხი, ალაგ-ალაგ რეალიზმი პირდაპირ მომჯადოებელია (ქმარის ლოდინის სცენა, იმის შესახებ, რომ მისი იმედები გაცხოველებულია, სცენა ბავშვთან და თვითმკვლელობა). მსახიობი ქალი იპყრობს მთელ აუდიტორიას.

დანარჩენი პარტიები ეპიზოდიურია. ყველა დანარჩენი შემსრულებლები დაკვირვებულად მიუდგენ თავის პარტიებს. კარგია ვოლჩანეცკაია (ბატერფლეის მოსამსახურე—სუზუკა). ის მუსიკალურად ასრულებდა მონოლოგს ლოცვის დროს. პინკერტონი (სინიცკი) ვერ იყო თავის სიმაღლეზე. ბგერის ზედმეტად გაძლიერება მაღალ რეგისტრებში ავნებს შთაბეჭდილებას. მსახიობი კარგად მღერის თავის პარტიას 1 აქტის დუეტში—სცენიური მიდგომა რეალურია. ელიოზიშვილი იძლევა ამერიკის კონსულის სწორ სახეს, მისი ხმაც კარგად ისმის.

თავის სიმაღლეზე იდგენ დემიანენკო და ვნუკოვსკი.

ორკესტრი სტოლერმანის ხელმძღვანელობით იძლევა შინაარსიან მუსიკალურ ილიუსტრაციას.

ა. ბ.

### ხელოვნების ქრონიკა

— **საღამო-მასკარადი.** დღეს სამხატვრო აკადემიის შენობაში, ამ ვე აკადემიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო-მასკარადი.

— **პიოვაროვის ლექცია.** ხვალ. კონსერვატორიის დარბაზში ოდესის კონსერვატორიის ხელმძღვანელი ვ. პიოვაროვი წაიკითხავს ლექციას ფორტეპიანოს სწავლების შესახებ. დასაწყისი დღის 1 ს.

— **მომღერალ ქალის პოპოვას** 15 წლის სცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ხვალ, ოპერის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო. მიდის „ლაკმე“ და მეორე მოქ. „დაისი“-დან.

— **საბავშვო ოპერა.** ხვალ, დილით, ოპერის თეატრში გაიმართება ბავშვებისათვის საოპერო წარმოდგენა: „ჩექმებიანი კატა“.

— **ნინა გრიქუროვას** 20 წლის მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად 1 თებერვალს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი საღამო.

— **„ვინ არის დამნაშავე?“-ს** ჩვენება გაგრძელდება მომავალ კვირაშიაც. დღემდე სამ კინოში სურათი ნახა 35,127 კაცმა.

— **„თამარ ცბიერი“.** რეჟისორი ალ. წუწუნავა შეუდგა მ. ბალანჩივაძის ოპერა. „თამარ ცბიერის“ დასადგმელათ წინასწარ მუშაობას.

— **ეგონ პეტრის კონცერტები.** თებერვლის დამლევს თბილისში ჩამოვა ცნობილი პიანისტი ეგონ პეტრი, რომელიც გამართავს რამოდენიმე კონცერტს.

— **„უბედური ეუგენი“.** რეჟისორი ვახტანგ [illegible] წითელ თეატრში დასადგმელად ამზადებს ერ. ტოლლერის პიესას „უბედური ეუგენი“.

— **„ვინ არის დამნაშავე?“.** ახლო ხანში წითელ თეატრში წარმოდგენილი იქნება „ვინ არის დამნაშავე?“ ალ. წუწუნავას რეჟისორობით.

— **ოპერის თეატრში.** დღეს, წარმოდგენილი იქნება „კარმენ“.

— **კამერულ თეატრში.** ახალი პროგრამა.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** კვირას, 31 იანვარს, დღის 12 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება ასოციაციის გამგეობის სხდომა.

### დღეს კინოებში

| | |
|---|---|
| — აპოლო | „ვინ არის დამნაშავე?“ |
| — არფასტო | |
| — ხოლეი | |
| — მინიონი | „ორი კაპიტანი“ |
| — თაზისი | იგივე. |

# მუშათა ცხოვრება

### როდის დაგვირიგებთ სპეცტანისამოსს

(ა. კ. სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს საყურადღებოდ.)

ყველასათვის ცხადია, რომ სპეცტანისამოსი როგორც საზაფხულო, ისე ზამთრისთვის საჭიროა დარიგებულ იქნეს თავის დროზე და არა საზაფხულო—ზამთარში და ზამთრის—ზაფხულში, როგორც გამოდის ა.—კ. სახალხო კავშირის ოლქის სამმართველოს პრაქტიკაში, სადაც ზამთრის სპეც-ტანისამოსს ურიგებენ ზაფხულში. ზამთრის კი უნდა ყოფილიყო დარიგებული ნოემბერში და იანვარშიც არ არის მიღებული. (მე მხედველობაში მაქვს ამ შემთხვევაში ზუგდიდის მაზრა). ტრაქტებზე ფოსტის დამყოლ თანამშრომლებს ამ სიცივეში უხდებათ ბრიზენტის „პლაჩის“ ჩაცმა, რის გამო ისინი პირდაპირ იყინებიან. არ არის მიღებული მათთვის ზამთრის სპეც-ტანისამოსები. საჭიროა ოლქის სამმართველომ მიიღოს სასწრაფო ზომები და დაუგზავნოს ყველა დაწესებულების ფოსტის თანამშრომლებისათვის ზამთრის სპეც-ტანისამოსები.

გ. ახირებული.

### პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბაში

20 იანვარს აღნიშნულ სტამბის დარბაზში ამხ. ს. თოდრიამ გააკეთა მოხსენება 1905 წ. 9—(22) იანვარში დახვრეტილ მუშების და ამხ. ლენინის გარდაცვალების შესახ. მოხსენების გამო სტამბის მუშებმა მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ამხ. თოდრიას მოხსენება 1905 წლ. 9—(22) იანვრის ამბებზე, ამხ. ლენინზე და ულენინოდ განვლილ ორ წელზე, ჩვენ, მე-3 სტამბის მუშები, ფიცსა ვსდებთ, რომ ღრმა პატივისცემით შევინახავთ 9 იანვრის დაღუპულ მუშების ხსოვნას, წმინდა პატივისცემით შევინახავთ პროლეტარიატის დიადი ბელადის ლენინის ხსოვნას მანამდის, სანამდის თვითეულ ჩვენგანში სძგერს პატიოსანი მშრომელის გული, მუშათა კლასის კაპიტალისტურ მონობისაგან განთავისუფლების მისწრაფებით. ჩვენ ვივლით ლენინის მიერ გაშუქებულ გზით ბრწყინვალე მომავლისაკენ და არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევთ ამ გარკვეულ და სწორ გზას, ყოველივე იმ ნაკლულევანებას, კი რომელსაც ჯერ კიდევ განვიცდით ბურჟუაზიულ სალტით გარემოცულობისა და ცრუ—სოციალისტების მოღალატეობის გამო, მედგრად და უშიშრად გადავიტანთ და ყოველივე ღონეს ვიხმართ წარმოების განსავითარებლად და ასაღორძინებლად, რათა დაუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ მუშათა კლასს შეუძლიან არამც თუ მარტო ნგრევა ძველი ბურჟუაზიული ქვეყნისა, არამედ ახალი კომუნისტური ქვეყნის აშენებაც ყველა მშრომელთათვის საკეთილდღეოდ“.

მომხსენებელს მუშები შეხვდნენ დიდის აღტაცებით, რის შემდეგ კრება დაიშალა.

სტამბის მუშა ბ—კ.

### ჩაქვის სახ. მამულს დიდი ამაგი დასდო

(წერილი ჩაქვიდან)

ერთი წელია, რაც მიწათ-მოქმედების კომისარიატმა თავის საგანგებო რწმუნებულად ჩაქვში გამოგზავნა ძველი რევოლიუციონერი მოხუცი ამხ. ნიკო დოლიძე. არ შეიძლება მიწათ-მოქმედების კომისარიატს არ უძღვნათ გულწრფელი მადლობა ჩაქვში ასეთი პირის რწმუნებულად დანიშვნისათვის. ამხ. დოლიძემ დღიდან ჩამოსვლისა თავის პირად მოვალეობის გარდა მიზნად დაისახა [illegible] ძალში მყოფი, სასიკვდილოდ განამზადი ადგილობრივი კოოპერატივი გამოეცოცხლებინა და მისთვის შთაებერა სასიცოცხლო სული. მან მართლაც თავის უნაღლო, ენერგიული და დაუზოგავი შრომით სასიკვდილოთ განწირული „მუშკოოპი“ სიცოცხლის მაჯის ცემით აავსო.

აიღო რა ინიციატივა თავის თავზე, სულ მცირე ხანში მან გამოაცოცხლა „მუშკოოპი“. მისი მეოხებით ცეკავშირიდან „მუშკოოპს“ გაეხსნა კრედიტი, შეკეთებული იქნა „მუშკოოპის“ შენობები, ძველ შენობას მოადგა სრულიად ახალი შენობა, სადაც გახსნილი იქნა საპარიკმახერო, სათერძე, საჩექმე და მოაწყო „მუშკოოპთან“ წესიერი სასადილო ახლის სამზარეულოთი და სურსათ-სანოვაგის შესანახ ფარდულებით. გვერდზე გააშენა მუშათა ბაღი კოხტა და ლამაზი. ყველა ამითი ჩაქვის მუშებს საშუალება მიეცა თავი დაეღწიათ კერძო ვაჭრების ბრჭყალებისაგან.

— რომ ნიკო არ გვყოლოდა, ამბობენ მუშები, „მუშკოოპის“ ახალ შენობას, საპარიკმახეროს, სახარაზოს-საჩექმეს ჩვენ ვერ ვეღირსებოდით. მართლაც ჩაქვის მუშებს არას დროს არ დაავიწყდებათ მათთვის ამხ. ნიკოს მიერ გაწეული ეს დიდი ამაგი.

რა გააკეთა მან თავის აქ ყოფნის დროს?. პირნათლად შეასრულა მიწათ-მოქმედების კომისარიატის დავალებანი, მისმა გამჭრიახობამ აღმოაჩინა აქ მრავალი შავრაზმელი, ქურდი და არამზადა და მას მიუჩინა შესაფერი ადგილი...

რა მოგვცა მან საზოგადო ასპარეზზე და რაში გამოიხატება „მუშკოოპის“ საქმიანობა მის აქ ყოფნის დროს წლის ანგარიში გვიჩვენებს შემდეგს:

„მუშკოოპის“ გამგეობამ მისი თაოსნობით 1924 წლის 1-ლ ოქტომბერს ჩაიბარა:

1) ფულად—242—95.
2) საქონელი—5,847—58-ის.
3) ქონება-ინვენტარი—408—70.
4) გავალება სხვადასხვა პირზე 3,570—67.
5) კრედიტორები (ვალი)—6.900—60.
6) დარჩენილ საქონელზე დადებული მოგება—584—57.
7) მოგება—2.543—65.
8) სამეურნეო კაპიტალი 40—80.

**წლის ანგარიშის დროს 1-ლ ოქტომბერს 1925 წლ. გამგეობას ქონდა:**

1) ნაღდი ფული—2,030—19 კ.
2) საქონელი—7,890—30 კ.
3) ქონება უძ. და მოძ.2,452—88 კ.
4) საწარმ. დარგები 1,952—72 კ.
5) დებიტორები—15,702—08 კ.
6) საპაიო ცენტრ.კავშ.—57—86კ.
7) კრედიტორები—24,214—77 კ.
8) საპაიო თანხა—305—85 კ.
9) სხვადასხვა თანხები—2,543—65
10) სპეციალური—139—75 კ.
11) მოგება—3,211—59კ.

ამრიგათ ციფრები ცხადად ღაღადებენ გამგეობის საქმიან მუშაობაზე. ციფრების დაპირდაპირებით და მათგან გამომდინარე დასკვნით ჩვენ ვხედავთ, რომ „მუშკოოპს“ შეჰმატებია უძრავი და მოძრავი ქონება ათასი მანეთების, წლის ბოლოს მოსაგები მოუცია 3,211 59 კაპ. იმ დროს როცა სხვადასხვა მაზრებში „მუშკოოპთა“ პასუხისმგებელმა ზოგიერთმა ამხანაგებმა ანგარიშის დროს აჩვენეს ზარალი. და ამავე დროს ბევრ ალაგს იქნა აღმოჩენილი ბოროტ - მოქმედება გაფლანგვის მხრივ, რისთვისაც პასუხისგებაში იქნენ—მიცემული. ჩვენმა „მუშკოოპმა“ კი ამხ. ნ. დოლიძის მეთაურობით პირნათლად შეასრ. თავიანთი მოვალეობა ამრჩეველთა საკეთილდღეოდ. ჩვენი მუშური მადლობა მას.

დ. გოგუაძე.

### გამოგზავნილი წერილებიდან

— **დროზედ შეაკეთეთ.** 1-ლ უბანში ნიკოლაძის 1 ჩიხში № 12 სახლის პატრონი ნატროშვილი არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის სახლს, რომელსაც შეჰქედება სპირდება. საჭიროა ამას დროზე ყურადღება მიექცეს, რომ მდგურებს სახლი თავზე არ დაენგრეს.

მუშკორი შალი.

### ალამბიო ჯიბგირები

[illegible] ჯიბგირები, იქ სოფლად მგზავრ მუშებს შიშით ვერც კი გაევლებათ. 30 დეკემბერს ერთ მუშას ამოაცალეს ფული, და ჯიბგირი მაშინვე მიიმალა, სადგურ იორზე, რომ მიეელით, ერთმა გლეხმა სოფ. საგარეჯოში მცხოვრებმა ხელი ჩაიყო ჯიბეში, რომ ბილეთი ეჩვენებინა რევიზორისთვის, მაგრამ ამაოდ. და მისთვისაც შვიდი თუმანი ამოეცანცლათ; საჭიროა მილიციამ მიიღოს ზომები.

მუშა ალ. ბ—ლი.

### სწორედ ენერგიული მუშაკი

ნახევარი წელი იქნება მას შემდეგ, რაც ყარაიაზიდან გადმოიყვანეს მე-5 რაიონის უფროსად, ამხ. ვ. ქუთათელაძე. მან მოსვლისთანავე გამოიჩინა ინიციატივა, გახსნა სამკითხველო და „წითელი კუთხე“, იქ უწინ ვერავინ შესძლო მუშაობა და სისტემატიურად ყველა ქუჩებში და ეზოებშიაც სისუფთავე დამყარდა, ამხ. ვ. ქუთათელაძის წყალობით. იგი არის ნამდვილი თავდადებული ადმინისტრატორი, მუშური მადლობა, ასეთ თავდადებულ ადმინისტრატორს.

მუშკორი ალ. ბ—ლი.

— **დაიცავით სისუფთავე.** მუდმივ ჩიხი № 3-ში მოთავსებულია საქონლის ბაკი, რომელიც ეკუთვნის ვინმე ავეტოვს. ამ ბაკში ისეთი სიბინძურეა, რომ პირუტყვის შეყვანაც კი დანაშაულია. ბაკში ერთმანეთში არეულია საქონლის საკვები, ნაგავი, ტალახი დაგროვილი უსუფთაობა. ამ საშინელ ძანძახში, საქონელთან ერთად ღამის გათევა უხდებათ მეურმეებსაც. შესაძლოა გადამდები სენი გაჩნდეს. ავეტიკოვი ამაზე არ ფიქრობს. სანიტარული კომისია ყურადღებას არ აქცევს. სანიტარულმა კომისიამ უნდა შეიაროს და გაახსნოს ავეტიკოვს, რომ სისუფთავე აქაც საჭიროა.

ჟ. შამა.

— **მუშათა უბნები კეთდება.** დღედღეზე ჩვენ ვამჩნევთ რომ მუშათა უბნები თანდათან კეთდება მე-7 უბანში ეტაპის ქუჩაზე აქამდის იყო გაკეთებული პატარა ხიდი, რომელზედაც სიგანით 2 კაცი ერთად ძლივს გაივლიდა. მალე ამ ნაკლს თბილისის აღმასკომმა მიაქცია ყურადღება და ეს პატარა ბოგირი გადააკეთა ნამდვილ ხიდად, რაზედაც ავტომობილები, ურმები და სხვა ეტლები დაიარებიან.

ი. ჯ.

## მუშათა ქრონიკა

### ზეთის სახდელ ქარხანაში

— **წრე.** ზეთის სახდელი ქარხნის ქარხკომმა დაადგინა დაარსდეს კედლის გაზეთის სარედაქციო წრე.

— **ფიზკულტურის წრე.** ზეთის სახდელი ქარხნის ქარხკომმა დაადგინა მიექცეს დიდი ყურადღება ფიზკულტურის წრეს, ვინაიდან მათი მუშაობა მოიკოჭლებს.

— **კულტმუშაობის გეგმა.** ზეთის სახდელი ქარხნის ქარხკომმა დაავალა კულტ-კომისიას შეიმუშაოს ერთ კვირაში კულტმუშაობის გეგმა.

### რკ. გზის უბნ. კავშირში

— **ზედმეტი მუშაობის შესახებ.** საუბნო კომიტეტმა სთხოვა საყუღის ადგილკომს, მუშების მიერ აღძრული საკითხი ზედმეტი მუშაობის შესახებ დაჩქარებით მოაგვაროს.

— **ამბულატორია.** რკ. გზ. საუბ. კომიტეტმა მისწერა ვაჩნაძიანის სადგურის ადგილკომს, მუშა-მოსამსახურეების საექიმო დახმარებისთვის რონოდაში მოაწყოს ამბულატორია და კბილის საექიმო კაბინეტი.

— **იარაღების დამზადება.** რკ. გზ. საუბნო კომიტეტმა აცნობა პჩ/17, რათა მიიღოს ზომები სახელოსნოში და დაამზადოს იარაღები და უზრუნველყოს სახელოსნო მასალებით.

— **ჯამაგირების დარიგების მოწესრიგების მიზნით.** რკ. გზის საუბნო კომიტეტმა მიმართა პჩ/და დ. მეარტელეს რონოდის საბარგო მატარებელზე მიბმით მოაწესრიგოს მუშების ჯამაგირების დარიგება.

— **ადგილკომის გადარჩევა.** რკ. გზ. მოძრაობის დარგის ადგილკომის გადარჩევა მოხდება ორ თებერვალს.

— **ეზოს შემოღობვა.** რკ. გზის საუბნო კომიტეტმა სთხოვა მე-7-დე რაიონის ლიანდაგის უფროსს, სად. საღანლუღიდან მე-11 ვერსზე შემოღობოს დელექარის ეზო და დელექარში გახსნას საპირფარეშო.

# ბიბლიოგრაფია

„მნათობი“,

სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი № 11—12 (19—20).

ეს ნომერი იწყება ახლად გარდაცვლილ ნიჭიერ რუს მგოსნის სერგეი ესენინის რჩეული სამი ლექსით, რომელიც გადმოცემულია **ვალ. გაფრინდაშვილის მიერ.** მიუხედავათ იმისა, რომ თარგმანი ეკუთვნის ჩვენ საკმაოთ ცნობილ, დახელოვნებულ პოეტის კალამს, ლექსები მოკლებულია იმ თავისებურ იშვიათ მომხიბვლელობას, რომელიც ახასიათებს სერგეი ესენინის პოეზიას. ასეთია საზოგადოთ ყოველი თარგმნის ხვედრი და ვალ. გაფრინდაშვილს, ცხადია, ამაზე მეტის მიღწევა არ შეეძლო.

**ა. მაშაშვილის** „Falla“ ჩვეულებრივ მუსიკალურ და ცოცხალი ენითაა დაწერილი. ახალგაზრდა პოეტის ეს ლექსი ბევრათ ჩამორჩება მისივე „დარიალს“, რომელიც დაიბეჭდა „მნათობის“ ერთ-ერთ წინა ნომერში. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე **ვასო გორგაძის** „მარია ვოლკონსკაია“, რომელსაც ავტორი უძღვნის დეკაბრისტების ხსოვნას. ლექსი სადა და მგრძნობიარე ენითაა დაწერილი. სხვა ლექსებ შორის აღსანიშნავია **კოწ. ლორთქიფანიძის** „ნატვრა“, სადაც მოხდენილი მხატვრული ფერადებითაა გადმოცემული დარიალის ხეობა.

„და იცი... წუხელის მე თერგზე ვიფიქრე;
ზვირთებს ხაზმახივით ნაპირებს უკრავდა...
ღამეს, ვით ღამურას—ღლიაში იფრენდი
და მთვარე მოსჩანდა დაბნეულ ნუკრივით“.

**ნიკოლოზ მიწიშვილის** პოემა „შავი ვარსკვლავი“, რომელსაც აზის თარიღი „1922 წელი, სტამბოლი“, მეტად საგულისხმოა, როგორც ემიგრაციაში მყოფ ქართველი პოეტის სულიერ განცდის მხატვრული სურათი.

ბელეტრისტულ განყოფილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **სერგო კლდიაშვილის** „ქალაქი ხევში“. ავტორს, როგორც ეს მის არა ერთ წინანდელ ნაწარმოებიდან სჩანს, ერთობ ეხერხება ყოფა-ცხოვრების სურათების უბრალო და მოხიბვლელი ენით გადმოცემა. ს. კლდიაშვილის ნაწერების ერთ-ერთ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, რომ მისი მოთხრობები იტაცებს მკითხველს. აი, მაგალითად, ერთი დამახასიათებელი ადგილი მის მოთხრობიდან, სადაც ის გვაძლევს პატარა სადგურის ტელეგრაფის მოხელის სურათს: „მართალია, მისი ახალგაზრდა სახე ხანდახან დასერილი და პაპიროსის ქაღალდით იყო აწებებული, რადგან ადგილობრივ დალაქებს ყოველთვის არ ჰქონდათ პირაწყობილი სამართებელი, მაგრამ ეს სრულიადაც არ უფუჭებდა მოხდენილ სახის იერს“.

სამწუხაროთ, ავტორის ამ ნაწარმოებს აშკარათ ეტყობა ერთგვარი აჩქარება. რამდენადაც კარგია მისი პირველი ნაწილი, იმდენათ მოისუსტებს მეორე თავი, რომელიც უფრო საგაზეთო ფელეტონს წააგავს, ვიდრე სერიოზულ ბელეტრისტულ ნაწარმოებს. ასეთ რამეებს მომავალში უნდა ერიდოს „ქალაქი ხევში“-ს ავტორი.

ამავე განყოფილებაში მოთავსებულია **გრ. რობაქიძის** „გველის პერანგი“-ს გაგრძელება, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული და **უპტონ სინკლერის** რომანის „მეფენახშირის“ თარგმანი.

**დ. კლდიაშვილის** „ჩემი ცხოვრების გზაზედ“, რომელიც რაღაც მოსაზრებით ჩართულია ბელეტრისტულ განყოფილებაში და არა მემუარების განყოფილებაში, წარმოადგენს იმ მოგონებათა გაგრძელებას, რომელიც იბეჭდებოდა „მნათობი“-ს წინამიმდევარ ნომრებში. აქ მოყვანილია ბევრი საყურადღებო ცნობები მეფის მხედრობის შინაურ ცხოვრებიდან 1905 წლის რევოლიუციის პერიოდში.

**ელისაბედ ყაზბეგის** მოგონებები მეტად საინტერესოა და ცოცხალი ენითაა დაწერილი. არსებითად კი, უნდა ითქვას, რომ მის მიერ მოყვანილ მოსაზრებებს ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატორულ „სამოხვანცობის“ შესახებ, ნაკლებათ დამარწმუნებელი ხასიათი აქვს და მას არ შეაქვს საჭირო შუქი ჯერ კიდევ ამ ბუნდოვან, საბოლოოთ გადაუწყვეტელ კითხვაში.

დიდათ საგულისხმოა **ს. ხუნდაძის** წერილი: „ფინანსიური კაპიტალი ომის წინა დროის რუსეთსა და ევროპაში“. ავტორი აქ ეკამათება ცნობილ რუს ისტორიკოსს ამხ. მ. პოკროვსკის რუსეთში მონოპოლიურ კაპიტალიზმის წარმოშობის დროის და მისი ხასიათის შესახებ.

ამხ. პოკროვსკის მტკიცებით თანამედროვე კაპიტალიზმის ყოველგვარი ნიშნები რუსეთში „უკვე გვაქვს მთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში და აუცილებლად კი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში“. ამაზე ამხ. ხუნდაძე სრულიად სამართლიანად შენიშნავს: „ფინანსიური კაპიტალიზმის ეპოქა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში იწყება მე-19 საუკუნის მიწურულებიდან და მე-20 დასაწყისით“. ამ აზრს ავტორი შესაფერისად ასაბუთებს. მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილ რუსეთს არ შეეძლო ეთამაშნა მონოპოლიურ კაპიტალიზმის წინამორბედის როლი.

არ შეიძლება არ შევჩერდეთ **ამხ. ვ. ბახტაძის** მეტად საყურადღებო კრიტიკულ წერილებზე, სადაც ის ეხება სადღეისო საკითხს ახალ ლიტერატურაში, „თანამგზავრობას“. ავტორი პაოლო იაშვილის სიტყვიდან მოყვანილ ამონაწერით ამტკიცებს, რომ ბევრ ქართველ მწერალმა ვერ გაიგო სიტყვა „თანამგზავრის“, ვერც პოლიტიკური, ვერც ლიტერატურული შინაარსი. ამხ. ვ. ბახტაძე სწერს:

„როდესაც პ. იაშვილს ჩვენ ვეძახით თანამგზავრს, ეს ნიშნავს: პაოლო იაშვილი არის ისეთი პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში იღებს რევოლიუციას, ემხრობა მას, არის მისი თანამგზავრი. მხოლოდ ამას ნიშნავს ეს და სხვას არაფერს. ყოველ შემთხვევაში არა იმას, რომ პაოლო იაშვილი ყოს თანამგზავრი, მმდევარი ზოგიერთ რევოლიუციონერი მწერლების, კომუნისტ მწერლების“.

თავის კრიტიკულ წერილის მეორე ნაწილში, ამხ. ვ. ბახტაძე არჩევს დემნა შენგელიას, როგორც მწერალს, აქ ავტორი, სხვათა შორის ეხება მეტად საყურადღებო და ჯერ კიდევ ბევრისათვის საკამათო საკითხს ფორმალური და სოციალოგიური მეთოდის შესახებ ლიტერატურაში. ამხ. ვ. ბახტაძე სავსებით სწორათ აყენებს კითხვას:

„შეიძლება ითქვას—ფორმა აძლევს სახეს, სულს,—ნაწარმოებს; შინაარსი, საგანი კი აზრს... უპირველეთ ხელოვნება არ არის; უმეოროთ კი არაფერია, ან და მხოლოდ უაზრობა“.

ამრიგათ ჩვენ ვღებულობთ ერთსაც და მეორესაც. ჩვენთვის არ არსებობს ან ერთი, ან მეორე, არამედ ერთიც და მეორეც. ფორმა არ შეიძლება მოვაშოროთ შინაარსს, შინაარსი მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას უფორმოთ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე **რაჟდენ კალაძის:** „1905 წელი და ქართული მწერლობა“. ავტორი აქ იხილავს ქართული ხელოვნების სისუსტის მიზეზებს. ქართულმა სიტყვა-კაზმულ ლიტერატურამ ვერ მოასწრო რევოლიუციის ასახვა და 905 წელმა მას სრულიად მოუმზადებელს მოუსწრო. ამხ. რ. კალაძე სწერს: „900-იან წლებში ქართული მწერლობა ერთიანათ ეროვნულ იდეიას შერჩა და, როცა ქართველმა ხალხმა 905 წელს კლასობრივი წითელი დროშა აღმართა, იგი ამაზე სახტად დარჩა“.

ამხ. რ. კალაძის წერილს მისდევს **ამხ. დ. გვაზავას:** „დეკაბრისტები“, სადაც ავტორი აღნიშნავს დეკაბრიზმის მნიშვნელობას რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, არჩევს 1825 წლის ამბოხების კლასიურ შინაარსს და ჩერდება ამ ამბოხების დამარცხების მიზეზებზე.

ჟურნალში მოთავსებულია **ვალ. გაფრინდაშვილის** წერილი პოეტ სერგეი ესენინის გარდაცვალების გამო, რომელიც წარმოადგენს ესენინის პოეზიის მოკლე კრიტიკულ განხილვას.

საერთოდ, „მნათობის“ ეს ნომერი, როგორც ყოველთვის, მხატვრულ ლიტერატურის და კრიტიკის მდიდარ კრებულს წარმოადგენს.

„მნათობი“ წინ მიდის გაუმჯობესების გზით.

ვანო.

# თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან

## № 15

29 იანვარი, 1926 წ. ქალ. თბილისი,

**ს. ს. ს. რ. ტერიტორიალური სამმართველოს უფროსის ა. წ. 28 იანვრის № 206 ფოსტა-დეპეშის თანახმად, 1905 წ. დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევამდე სამხედრო მომზადების ჩატარების მიზნით**

**ცხადდება**

1. ყველა მოქალაქენი, დაბადებულნი 1905 წელში, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე დილის 9 საათისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და სამხედრო მომზადების მიზნით სამოსწავლო პუნქტზე მისაწერათ თანახმად ქვემო აღნიშნულისა:

| რაიონების დასახელება | გამოცხადების დრო | გამოცხადების ადგ. |
|---|---|---|
| ქ. თბილისის 1-ი და 2-ე სამილიც. უბანი | ა-წ. 2 თებერვალს | თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრები პუნქტი სადგურის ქ. № 24. |
| „ მე-3 და მე-4 „ „ | ა-წ. 3 „ | |
| „ მე-5, მე-6 და მე-7 „ „ | ა-წ. 4 „ | |
| „ მე-8 და მე-9 „ „ | ა-წ. 5 „ | |
| „ მე-10 და მე-11 „ „ | ა-წ. 6 „ | |
| „ მე-12 „ „ | ა-წ. 7 „ | |
| ბორჩალოს მაზრის ლიუქსემბურგის რაიონი | ა-წ. 5 თებერვალს | ქ. ლიუქსემბურგის სამოსწავლო პუნქტი |

**შენიშვნა:** ეს მუხლი არ ვრცელდება: 1905 წ. დაბადებულ მოქალაქეებზე, რომლებიც მსახურობენ ამ.-კავკასიის რკინის გზებზე და ჯარში გაწვევამდე მომზადებას გადიან საგანგებო წესით. ბ) საგანგებო კომისიის 1905 წ. დაბადებული თანამშრომლებზე, რომლებიც წვევამდე სამხედრო მომზადებას გადიან სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ჯარის ერთეულებში, თანახმად მუშათა და გლეხთა წითელ არმიის მთავარ სამმართველოს 1925 წ. 24|6 № 41822 ცირკულიარისა.

2. ყველა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები და აგრეთვე ყველა საშუალო სასწავლებლების მოსწავლენი, დაბადებულნი 1905 წ., თანახმად ამ განცხადებისა, შეკრებაზე გამოცხადებისაგან არ თავისუფლდებიან და გაწვევამდე სამხედრო მომზადება უნდა გაიარონ საერთო წესით, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის 1905 და აგრეთვე 1904 წ. დაბადებულნი სტუდენტები, შესაცვლელად თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის 1926 წ. 14—1 № 14 განცხადებისა, რაიც იყო გაკრული სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში და გამოქვეყნებული პრესაში (გაზეთებში: „ზარია ვოსტოკა“ № 1078 და „რაბოჩაია პრავდა“ № 11|857 ა. წ. 15 იანვრიდან, „კომუნისტი“ № 12 და „მუშა“ № 947 ა. წ. 16 იანვრიდან) უნდა გამოცხადდენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და უნივერსიტეტის სამოსწავლო პუნქტზე მისაწერათ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქ. № 24) ამა განცხადების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დღეებში.

3. შესამოწმებლად გამოცხადებისას წვევამდელებმა უნდა იქონიონ თან: პირადი წიგნაკი ფორმა № 4, რომელიც მათ მიიღეს გაწვევის უბანზე მიწერის დროს და პირადობის მოწმობა: ავადმყოფებმა კი, გარდა ამისა, მოწმობა, გაცემული რაიონის ექიმის ან სამკურნალო დაწესებულების მიერ. პირადი წიგნაკი ფორმა № 4-ის ნაცვლად, ვისაც ასეთი არ აქვს, უნდა იქნას წარდგენილი მეტრიკული ამონაწერი ან მოწმობა დაბადების წლის შესახებ.

4. ყველა სახელმწიფო (სამოქალაქო), საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი და წარმოებანი ვალდებულნი არიან განთავისუფლონ სამსახურიდან ამ განცხადების პირველ მუხლში აღნიშნულ დღეებში მათთან სამსახურში მყოფი მოქალაქენი, რომლებსაც ეხებათ გამოცხადება.

5. სამედიცინო კომისიის მიერ ვარგისად ცნობილი და ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადების გასავლელად დანიშნულნი, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ სათანადო წერტებზე სამეცადინოთ, ამისათვის მტკიცეთ განსაზღვრულ დღეებში და საათებში. მეცადინეობა სამოსწავლო წერტებზე დაიწყება ა|წ. 19 თებერვალს და დამთავრდება ა|წ. 5 მარტს.

6. ყველა 1905 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომლებიც მოერიდებიან თავის დროზე გამოცხადებას, თანახმად ამ განცხადებისა, ან მოქალაქენი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მორიდებულთა დაფარვას, პასუხს აგებენ ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით და, გარდა ამისა, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის დროს კარგავენ ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათით სარგებლობის უფლებას.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი
ხაჯვარელიძე.
თანაშემწე მშვიდობაძე.
სამობილიზაციო ნაწილის უფროსი
სიდამონ-ერისთავი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

ორშაბათს, საღამოს 5 ნახ. საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. სახალხო სახლი) კირკის ქუჩ. გაიხსნება ქ. თბილისის **საშეფო საზოგადოებათა პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია.**

**დღის წესრიგი:**

1) საშეფო საზოგადოებათა მუშაობის ფორმები და მეთოდები.
2) თბილისის კომიტეტის საშეფო ბიუროს ანგარიში.
3) წესდების დამტკიცება.
4) არჩევნები.

მანდატებს კონფერენციისათვის იძლევიან რაიონული საშეფო საზოგადოებანი.

საშეფო საზოგადოებათა თბილისის ბიუროს თავმჯდომარე
ე. ახრიბეკოვი.

— მუშათა ახალ კლუბის შენობაში იანვრის 31-ს, დილის 10 საათზე მოწვეულია საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის წევრ-უმუშევართა საერთო კრება.

— სახ. უნ. ახ. ლენ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს ყველა უჯრედების წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ დღეს, 30 იანვარს, დღის 4 საათზე მოწვეულია გაერთიანებული უჯრედების კრება. დღის წესრიგი: ამხ. გ. ნუცუბიძის მოხსენება: ახალგაზრდობის მუშაობის შესახებ. დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ა|წ. 1 თებერვალს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-2 რაიონის ყველა პოლიტსკოლების თავმჯდომარეთა და ინსპექტორების თათბირი.

ყველა მამასახლისები და ინსპექტორები დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდენ.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 30 იანვარს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მე-2 რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

მდივნის მოადგილე წითლიძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის გაფართოებული პლენუმი.

რაიკომის ყველა წევრების და უჯრედთა მდივნების დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბზიაშვილთან.

ხარებოვი გიორგი, ესიკაშვილი სიმონ, მჭედლიშვილი ნინა, ისკანდარიანი ისაკი, ხოჯაევა ელისაბედ, შავიძე ვარლამ, კაციტაძე არჩილ, ზესტაევა ანტონინა, მანუკოვი არსენ.

ქალაქის რაიკომი.

— დღეს, 30 იანვარს, საღამოს 6 საათზე, შესდგება ქალაქის რაიონულ საშეფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) ა|წ. პირველი მეოთხედისათვის მუშაობის გეგმის დამტკიცება.
2) მიმდინარე საქმეები.

ამხ. ავაკიანის, გველესიანის და ნიკოლაევის დასწრება სავალდებულოა.

რაიონულ საშეფო საბჭოს თავმჯდომარე მირიჯანაშვილი.

— კვირას, 31 იანვარს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტში შესდგება საღამოს საბჭოთა პარტიულ სკოლების პოლიტიკური ეკონომიის კურსების ხელმძღვანელთა კრება.

ვალდებული არიან გამოცხადდენ ყველა სკოლების ხელმძღვანელები, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზეა მეცადინეობა, უნდა გამოცხადდენ აგრეთვე შტატში არსებული რაიონული პროპაგანდისტები.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბარსეგოვთან.

1. ბოკერია ვარლამ, 2. გუსევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, 3. გუსეინ ზადე-გულ-კული, 4. ქყონია დავით, 5. იმედაშვილი ივანე, 6. რაზმაძე შალვა იოსების ძე, 7. გვანცელაძე ნიკოლოზ, 8. ტერ-გევონდიანი იოსებ.

---

ძველი ამხანაგები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა მახლობლებს ძვირფას ამხანაგ და მეგობარ

**სერგო კილაძის**

ტრაგიკულ გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პანასკერტის ქ. № 26. 1350-1—1

---

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება სოციალურ დაზღვევის დარგში საუკეთესო მუშაკის

**ამხ. სერგო კილაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას, 31 იანვარს.
გამოსვენება ბინიდან—ყ. პანასკერტის ქ. № 26, შუადღის 11 საათ.
1347 1—1

---

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და პატივსაცემი თანამშრომელი ამხ.

**სერგო კილაძე**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პანასკერტის ქუჩა, № 26 კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.
ნ. 694 2—1

---

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო მწუხარებით იუწყება, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა სამმართველოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ.

**სერგო გაბრიელის ძე კილაძე**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან პანასკერტის ქუჩა, № 26, კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.
ნ. 694 2—1

---

ჯანსახკომის დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ 28 იანვარს ტრაგიკულად გარდაიცვალა სოციალურ დაზღვევის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და წარჩინებული მუშაკი

**სერგო გაბრიელის ძე კილაძე**

გამოსვენება კვირას, დილის 11 საათზე, საკუთარი ბინიდან, პანასკერტის ქუჩა, № 26 ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1346 2—1

---

საქ. შრომის სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა საქ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზღვევის სამმართველოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე

**სერგო გაბრიელის ძე კილაძე**

გამოსვენება საკუთარ ბინიდან პანასკერტის ქუჩა, № 26 კვირას, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე.
ნ. 693 1—1

---

გულდათუთქულნი პელაგია (პოლინა) ალექსის ასული შვილებით—ცოცა, ბუბა და ნინა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 27 იანვარს, 3 საათზე მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლე და დანარჩენების საყვარელი მეგობარი მამა ექიმი

**იროდიონ (ილიკო) ამბროსის ძე ცეხანოვსკი**

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში, საბურთალოს ქ. № 28. დაკრძალვა—კვირას, 31 იანვარს, 4 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე.

---

ალექსანდრე გრიგორის ასული გვერდწითელისა თავისი შვილებით და შვილიშვილებით გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც სცა პატივი

**პლატონ ივანეს ძე გვერდწითელის**

ხსოვნას. 1341

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ანნა დიმიტრის ასული შვილებით და სიძით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი დაუვიწყარი

**შიო პეტრეს ძე მიქაძის**

წლის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი კვირას, 31 იანვარს დილის, 11 საათზე კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში.
1345—1—1

---

ღრმად დამწუხრებული შვილები: კონსტანტინე, შალიკო, მარიამი, რძალი ნატაშა და დარუა, შვილიშვილები: ამბროსი, ევგენია, ლობა და გიორგი დემურიშვილები და სიძე ლადო კიკნაძე აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

**ეკატერინე აბრამის ასული დემურიშვილი**

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 31 იანვარს, გამოსვენება პრიუტის ქუჩა № 22 წმინდანინოს სასაფლაოზე დილის 11 საათზე
2—1

---

**წინადადება ეძლევა**

**მოქ. ალექსანდრე დიონისეს-ძე კევლიშვილს**

(გაზეთ „კომუნისტი“-ს ყოფ. კონტრაგენტი ქ. ონში, რაჭა)

**ერთი კვირის განმავლობაში**

გამოცხადდეს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული) ანგარიშების გასასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება სათანადო ზომები.

**მოქ. კევლიშვილზე გაცემული მოწმობა 1925 წ. მარტის 27 თარიღით № 463**

**ჩაითვალოს გაუქმებულად**

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.
3—1

---

აპოლო
არტისტო
სოლეი

**35.127 კაცმა**

ინახულა 8 დღის განმავლობაში სურათი

**„ვინ არის დამნაშავე?“**

რათა ყველას მიეცეს სურათის ნახვის შესაძლებლობა, სურათის ჩვენება გრძელდება მეორე კვირისათვისაც
სალარო ღიაა საღამოს 4 ნახ. საათიდან
პირველი სეანსის დასაწყისი—5 საათზე და 45 წუთზე.
ჩქარა: „არტისტო“-ში და „სოლეი“-ში: „ნიბელუნგები“
„აპოლო“-ში—„КИРПИЧИКИ“

0—10 ნ. 609

---

რუსთაველის თეატრი: კვირას, 31 იანვარს

**დეზერტირკა**

სამშაბათს, 2 თებერვალს

**ლამარა**

გრ. რობაქიძის
ნ. 690 2—1

---

სახელმწიფო ოპერა | დღეს, 30 იანვარს

**კარმენ**

კვირას, 31 იანვარს
დილას
— ოპერა —

**კატა ჩექმებით**

და დიდი საბალეტო დივერტისმენტი
პერინის სტუდიის მონაწ.

**საღამოს ევგენია მეთოდის ასული პოპოვას**

სცენიურ მოღვაწეობის 15 წლის თავის აღსანიშნავად
1. ლაკმე
2. დაისი (2 აქტი)

2-1 ნ. 691

---

წითელი თეატრი | კვირას, იანვრის 31

მეოთხედ შექსპირის

**ჭირვეული ცოლის მორჯულება**

კატარინა—დამსახურებული მსახიობი აბაშიძე ტასო.
პეტრუჩიო—მელოვანი მ.
დადგმა: მ. მიაურელისა
დეკორაციები და ტანისამოსი ა. ზდანევიჩისა
**ადგილების ფასი სახალხოა**
დასაწყისი სა. 8 საათზე
1—1 ნ. 689 ადმინისტრატორი ნ. ჯანკვატაძე

---

**სამხატვრო აკადემიის**

ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ
ა|წ. იანვრის 30-ს გაიმართება აკადემიის შენობაში
(გრიბოედოვის ქ. № 22)

**დიდი მხატვრული-სანიღბო**

**საღამო**

საღამო დაიწყება სა. 10—საათიდან
1 საათიდ. ვახშამი—კაბარე 1 საათიდ.
კონფერანსიე: ა. კახიძე
საღამოს დიასახლისები:
1. ე. გომართელი
2. ტ. ფალავა
3. ტ. საყვარელიძე

2—2

---

**შინ. საქ. სახ. კომისარიატი**

იწვევს იმ პირთ და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა

**ვაჭრობაში**

თბ. გამასწორებელ სახლებისთვის მიმდინარე წელში მისაწოდებელ ხორცის და მწვანილეულობის შესახებ და სახელდობრ: ხორცის, კარტოფილის, ლობიოს, ხახვის, მწვანილის, საჭმელი ზეთის და სხვ. იჯარა შეიძლება აღებულ იქნეს ერთის მიერ ყველა სანოვაგეზე და ნაწილობრივადაც. იჯარის პირობების და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნობებს იძლევა შინსახკომისარიატი ყოველ დღე. ვაჭრობა დანიშნულია ამა თებერვლის 6 ს დილით 12 საათისათვის. სამი დღის შემდეგ ხელმეორე ვაჭრობის მოხდენით. ნება დართულია ვაჭრობის დღემდი წერილობითი განცხადებათა შემოტანა.

შინ. საქ. სახ. კომისარიატი

3—2 ნ. № 680

---

**მოწაფეთა საყურადღებოთ**

გამოვიდა და იყიდება

**ფ. ი. მიხალევსკის**

**„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“**

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—12

---

დოქტორი ზ. [illegible]

ფილტვების, გულის და ციების [illegible] მთის მზით [illegible] და ტუბერკულინ[illegible] და სინათლის- ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

---

**დ. აგაშა**

**კბილის ექიმ**

**ა. ნადარეიშვილმა**

განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

---

ელექტრონით და სინათლით

**სამკურნალო**

საწოლებით რენტგენის [illegible]

**მიხეილ გედევანიშვილის სახელობის**

ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

---

**ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი**

ამით აცხადებს, რომ ის 2 თებერვალს, 1926 წ., დღის 12 საათზე სახლში, № 30 ფომინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის სოლომონ ჩაჩანიძის მოძრავ ქონებას—ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 110 მანეთად, კავშირის „უნიონი“ ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის 1 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 19 იანვრის, 1926 წ., თარიღით, № 262 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1340 1—1

---

**ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი**

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში თბილისის ქუჩის მე-2 შესახვევში, სახლ № 1 დანიშნულია 9 თებერვალს 1926 წ. დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობა ამბაკო სულაქველიძის ქონების, ერთი დივნის და ექვსი კრესლოსი—შეფასებულის 40 მან. დიდი სარკის—20 მან., ორი დიდი დასაკიდებელი ლამპების კოლპაკებით—10 მან., სასადილო მაგიდის—15 მან., კუშეტკის—5 მან., ფარდაგის—25 მან. და საჭურჭლე შკაფის—5 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან, თბილისის კომუნალური ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ.

ნ. 692 1—1

---

**ექ. ე. მ. მძინარიშვილი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი**

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღით 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

---

ექიმი **გ. ა. ლუკოვსკი**

**სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.**

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. ზურგ.

---

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

**შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი**

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

---

პროფესორი

**გრ. მუხაძე**

დასასვენებლად გაემგზავრა ქ. სოხუმში. თბილისში დაბრუნდება თებერვლის მეორე ნახევარში.

25—1

---

ექიმი **ჯალალოვი**

**კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.**

**შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.**

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

---

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი**

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

---

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-კაჭები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 საათამდე

ბელგიის ქუჩა № 1.

---

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.** დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

---

**კბილის ექიმი**

**ფ. თ. რატიან თუხარელისა**

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. მარჯანიშვილის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

---

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბოთ-მონდი). გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის- სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

---

მედიცინის დოქტორი

**ა. ა. მონსე**

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

---

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

**კანისა და ვენერიული სნეულებან**

**(სიფილისი „606“—„914“)**

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მახლის ზემოთ აფთიაქის პირდაპირ.

---

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33, **იღებს ავადმყოფებს**

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებებით) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

---

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. ღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

---

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი

**მ. წინამძღვრიშვილი**

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

---

ექიმი

**დ. ა. გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32
25—1

---

**დაეკარგა** 1. ა. ლ. კ. კავშირის წიგნაკი № 12072, 2. წითელ-არმიის მეოთხე ტერლეგიონის მოწმობა, 3. წითელ-არმიის 33 დივიზიონის პოლიტ.-განყოფილების წიგნაკი, 4. პარტიული მანდატი ქარელის რაიკომისა, 5. ა. ლ. კ. კავშირის ბიუროს წევრობის საბუთი, 6. სილარიბის მოწმობა, 7. პირადობის მოწმობა მოცემული სკრის თემისაგან, 8. გლეხკომის თავმჯდომარეობის მოწმობა, 9. აღმშენებლთა კავშირის წიგნაკი № 23, 10. სკრის თემის საბჭოს წევრობის მოწმობა, 11. გლეხკომის მოწმობა, ვანო გრიგოლის ძე თომაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1351

---

**დაეკარგა** პირადობის მოწმობა, სამსონ ქრისტეფორეს ძე ჯონაძის სახელზე. ჩ. გ.
1—1 1338

---

**დაეკარგა** განსაკუთრებულ რკ. გზის აღრიცხვაზე აყვანის მოწმობის მონაპერი „ვ“ № 50969, ტიგრან მამაცევის სახელზე ჩ. გ. 1—1 1348

---

**დაეკარგა** სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი ფორმა № 4. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ნებიერიძის სახელზე ჩ. გ.
1—1 1349

---

**დაეკარგა** სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 3159 გაცემული მე-2-ე უბნის კომისარიატიდან კონსტანტინე ბარნაბას ძე ცირეკიძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1339

---

**დაეკარგა** სამხედრო რეგისტრაციის ფურცელი, მოცემული თბილისის მეოთხე რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ № 804 და სხვადასხვა ქაღალდები ივანე დავითის ძე თვარაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1342

სტამბა „[illegible]“-ს [illegible] წულუკიძის ქუჩა № 4